# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

10 ოქტომბერი ოთხშაბათი 2012 №240 (13 846) ფასი 80

## მილანელებმა კალაძეს მიულოცეს

2

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან ყიფიანი

# ვისურვებდი, ყაველაშვილი ჩემს გვერდით იყოს



მიხეილ ყაველაშვილი (მარცხნივ) და ლევან ყიფიანი

10

- ზვიად სიჭინავას მიმართ ჩემი დამოკიდებულება საქმიანი და კანონიერია
- ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობაში ჩარევა გამორიცხულია
- წინამორბედებს რომ არ დავემსგავსოთ, ამის წამალი რევანშიზმზე უარის თქმაა

*ინტერვიუ სპორტის მინისტრობის კანდიდატთან*



## ფინელები გვემუქრებიან

პაატელაინენმა, დაცვაში კარგად დგახართ, მაგრამ უნდა მოგიგოთო...

3

## რა უთხრა სანიკიძეს გრეგ პოპოვიჩმა?



12

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული ფეხბურთი

## ● ეროვნული ნაკრები

# ყველა მწყობრშია, ნაკრები ერთჯერადად ვარჯიშობს

**საქართველოს ეროვნული ნაკრები ფინეთში უკვე სრული შემადგენლობით არის შეკრებილი. თემურ ქეცბაიას განკარგულებაში 24 ფეხბურთელია. გუშინ საქართველოს ნაკრებმა ჰელსინკიში ჰიკ-ის სათადარიგო მოედანზე ივარჯიშა. ფინეთ-საქართველოს შესარჩევ მატჩამდე ჩვენი ნაკრები ერთჯერად ვარჯიშებს გამართავს.**

ქართული დელეგაცია იქაური საცხოვრებელი და სავარჯიშო პირობებით კმაყოფილია. საბედნიეროდ, ყველა გამოძახებული ფეხბურთელი მწყობრშია. შეგახსენებთ, ქეცბაიას სიაში იძულებითი ცვლილება უკვე განხორციელდა – ტრავმირებული **დავით კვირკველია ირაკლი მაისურაძემ** შეცვალა.

ფინეთ-საქართველოს შეხვედრა 12 ოქტომბერს თბილისის დროით 19 საათსა და 30 წუთზე დაიწყება და მას უკრაინელი **ევგენი არანოვსკი** განსჯის.

საქართველოს ნაკრები ამ მატჩისთვის შემდეგი შემადგენლობით ემზადება:

მეკარეები: **ნუკრი რევიშვილი (კრასნოდარი, რუსეთი), როინ კვასხვაძე (ზესტაფონი), ომარ მიგინეიშვილი (ტორპედო, ქუთაისი);**

მცველები: **უჩა ლობჟანიძე (კრივბასი, უკრაინა), აკაკი ხუბუტია (გაზ მეთანი, რუმინეთი), გურამ კაშია (ვიტესი, ჰოლანდია), ზურაბ ხიზანიშვილი (ქაისერისპორი, თურქეთი), ალექსანდრე ამისულაშვილი (კრასნოდარი, რუსეთი), გიორგი ფოფხაძე (ბაკი, აზერბაიჯანი), გია გრიგალავა (ვოლგა, რუსეთი), გულვერდ თომაშვილი (დილა, გორი);**

ნახევარმცველები: **მურთაზ დაუშვილი (კარპატი, უკრაინა), ირაკლი მაისურაძე (მეტალურგი, რუსთავი), თორნიკე ოქრიაშვილი (ილიჩევეცი, უკრაინა), ალექსანდრე კობახიძე (არსენალი კიევი, უკრაინა), დავით თარგამაძე (ილიჩევეცი, უკრაინა), ჯაბა კანკავა (დნიპრო, უკრაინა), ლევან ყენია (კარპატი, უკრაინა), ნიკა ძალამიძე (იაგელონია, პოლონეთი), ჯანო ანანიძე (სპარტაკი მ. რუსეთი), ალექსანდრე გურული (დილა, გორი), დავით დევდარიანი (ორჰუსი, დანია);**

თავდამსხმელები: **ლევან მჭედლიძე (ემპოლი, იტალია), ირაკლი სირბილაძე (ინტერ ტურკუ, ფინეთი).**

**ლევან ჯანეზაშვილი**



თემურ ქეცბაია

## ● სპორტიდან პოლიტიკაში







მილანიდან პოლიტიკაში წასული სპორტსმენები: ჯანი რივერა, ანდრეი შევჩენკო, ჯორჯ ვეა...

# მილანელებმა კახა კალაძეს მიულოცეს

## როსონერის ექსწევრი საპრეზიდენტო არჩევნებს უმიზნებს

როგორც ცნობილია, საქართველოს ნაკრებისა და "მილანის" ყოფილ ფეხბურთელს **კახა კალაძეს** კოალიცია „ქართული ოცნების" ლიდერმა, **ბიძინა ივანიშვილმა** მთავრობის მომავალ შემადგენლობაში რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრისა მეორე ვიცე-პრემიერის პოსტი შესთავაზა.

კალაძეს ყოფილმა თანაგუნდელებმა, "მილანის" ვარსკვლავებმა **ჯენარო გატუზომ** და **ალესანდრო ნესტამ** მინისტრობა მიულოცეს. ეს კალაძემ რუსულ გაზეთ "იზვესტიასთან" განაცხადა.

კალაძის წარდგენას იტალიური მედია გამოეხმაურა. სხვათა შორის, კალაძე „მილანის" პირველი ფეხბურთელი არ არის, ვინც პოლიტიკაში გადაერთო: "როსონიერისა" და იტალიის საფეხბურთო ნაკრების ფეხბურთელი **ჯანი რივერა** 1969 წელს ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა, როდესაც "მილანმა" ევროპის ჩემპიონთა თასის მოგება მეორედ იზეიმა. ის 1987 წელს ქრისტიან-დემოკრატიულ პარტიაში გაწევრდა და იტალიის პარლამენტის ქვედა პალატაში აირჩიეს. 1994-1996 წლებში იყო პარლამენტის მდივანი, 1996-2001 წლებში – თავდაცვის სამინისტროს მდივანი. რამდენჯერმე შეიცვალა პარტია: "პატო სენიდან" "დემოკრატებს' შეუერთდა, 2005 წლიდან არის ევროპის პარლამენტის წევრი, 2008 წელს ცენტრისტულ პარტიაშია.



...და კახა კალაძე

ფეხბურთი პოლიტიკაზე გაცვალა **ჯორჯ ვეამაც**. "ოქროს ბურთის" მფლობელმა ლიბერიელმა თავდამსხმელმა 2005 წელს საპრეზიდენტო არჩევნებშიც კი მიიღო მონაწილეობა, მაგრამ ხმათა მხოლოდ 41,2 პროცენტი დააგროვა, როდესაც მის კონკურენტს, ჰარვარდის უნივერსიტეტდამთავრებულ ეკონომიკის ყოფილ მინისტრს, ელენ ჯონსონ-სირლიფს ამომრჩეველთა 57,9 % მიემხრო.

ვეა მიხვდა, რომ განათლების არქონის გამო დამარცხდა და სკოლაში ატესტატის ასაღებად 39 წლის ასაკში (?!) დაბრუნდა, რომელიც ფეხბურთის გამო მიატოვა. 2007 წლიდან კი ფლორიდის ერთ-ერთ კოლეჯში სწავლობს, რათა საპრეზიდენტო არჩევნებში კიდევ ერთხელ მიიღოს მონაწილეობა.

**ანდრე შევჩენკოზე** წერენ, რომ პოლიტიკოსობა ახლა გადაწყვიტა. არადა, 1998 წელს კიევის "დინამოს" მოთამაშეები დაიყაბულა და უკრაინის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში მთელი გუნდი გააწევრიანა! 1999 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში **ლეონიდ კუჩმას** აქტიური მხარდამჭერი გახლდათ, 2004-ში კი **ვიქტორ იანუკოვიჩის**. ახლა **ნატალია კოროლევსკაიას** პარტია "წინ-უკრაინას!" შეუერთდა, რომელიც იანუკოვიჩის ოპოზიციაშია და ყოფილი პრემიერის, **იულია ტიმოშენკოს** გათავისუფლებას ითხოვს.

**მერაბ მამულაშვილი**

## ● ასაკობრივი ნაკრებები

# ტესტი და სუპერ გოლი მცხეთა პარკზე

საქართველოს 19 და 17-წლამდელთა ნაკრები – ორივე გუნდს მალე ევროშესარჩევის მატჩები ელის, გუშინ კი ერთმანეთში ითამაშეს "მცხეთა პარკზე". შეხვედრა 19-წლამდელთა ნაკრებმა მოიგო 2:1.

იმისდა მიუხედავად, რომ ეს ტესტ-მატჩი იყო, ორივე გუნდის ფეხბურთელებმა შეუპოვრად ითამაშეს. **გიორგი დევდარიანის** გაწვრთნილი 17-წლამდელთა ნაკრები მანამდეც იყო შეკრებაზე ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ ცენტრ "ბასაზე". დევდარიანმა ფაქტობრივად უძლიერეს შემადგენლობას მოუყარა თავი, **კახა კაჭარავას** 19-წლამდელებში კი ბევრი დებიუტანტი იყო, მწვრთნელმა არაერთი ფეხბურთელი გამოსცადა გუშინდელ მატჩში.

პირველი გოლი 19-წლამდელებმა გაიტანეს – ხარიხადან ასხლეტილ ბურთზე **ნიკა კაჭარავამ** ითამაშა ხეირიანად.

ორმხრივი შეტევები იყო, უმცროსები უფროსებს არაფერს არ უთმობდნენ, თუმცა ამ ასაკში ორი წელი პატარა სხვაობა არ არის და მაინც იგრძნობოდა 19-წლამდელთა მცირე უპირატესობა.

ანგარიში **ლუკა ზარანდიამ** გაათანაბრა, ერთი მეტოქე ოსტატურად ჩამოიცილა და ხვეული დარტყმით ბურთი „ცხრიანში" გაახვია. ზარანდიამ მართლაც სუპერ გოლი გაიტანა და ვნახოთ, როგორ მოახერხებს გუნდის ლიდერობას ევროშესარჩევის მატჩებში.



გიორგი დევდარიანი

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, **ნიკა დიასამიძემ** წინ რომ გაიყვანა 19-წლამდელები და ამის შემდეგ ანგარიში აღარ შეცვლილა.

გუნდების შემადგენლობა ასეთი იყო:

19-წლამდელები: **მიქავა, ლალანიძე, ჭანტურია, გურეშიძე, კალანდაძე, ქარდავა, სულთანიშვილი, დიასამიძე, მურცხვილაძე, კაჭარავა, არაბული.**

*შეცვლაზე შევიდნენ: თებიძე, ბარათელი, ფუტკარაძე, ქოჩლაძე, ლერკენაშვილი, ჩიგოევი.*

17-წლამდელები: **გოშაძე, შულაია, გელაშვილი, ტაბიძე, პატარკაციშვილი, მალანია, ხარაიშვილი, თევზაძე, ზარანდია, კერძევაძე, ხორხელი.**

*შეცვლაზე შევიდნენ: ქურდაძე, მესხი, ბერიძე, გოროზია, მარგველაშვილი, ბელიაშვილი.*

მატჩის შემდეგ 19-წლამდელთა დამრიგებელმა კახა კაჭარავამ გვითხრა : *"ეს მატჩი თავისებური ტესტი იყო რამდენიმე ფეხბურთელისთვის, რომლებზეც რეკომენდაციები მივიღეთ. ნათლად გამოჩნდა, ამ მომენტისთვის ვინ არის მზად ნაკრებში სათამაშოდ, ვერ გამოვიძახეთ ის ფეხბურთელები, უმაღლესი ლიგის დუბლშემადგენლობათა ჩემპიონატის წინა ტურში რომ ითამაშეს. ხორვატიაში გამგზავრებამდე კიდევ ვაპირებთ საკონტროლო მატჩის თამაშს, სავარაუდოდ ბოლნისის "სიონთან". ხორვატიაში 23 ოქტომბერს მივემგზავრებით და იქ წამსვლელთა ზუსტ სიას წინა დღეს დავადგენთ".*



კახა კაჭარავა

კაჭარავას ნაკრების მეტოქეები ხორვატიაში მასპინძლების გარდა აზერბაიჯანი და ისლანდია იქნებიან. ტურნირი 26-30 ოქტომბერს გაიმართება.

დევდარიანის ნაკრები კი მიმდინარე შეკრებას 12 ოქტომბერს დაასრულებს. ჩვენი 17-წლამდელები ევროშესარჩევს თბილისში, მიხეილ მესხის სტადიონზე ითამაშებენ 30 ოქტომბრიდან 4 ნოემბრამდე, მეტოქეები კი შოტლანდია, ლუქსემბურგი და უკრაინა იქნებიან. დევდარიანის გუნდი ტურნირის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე გადავა შეკრებაზე. 12 ოქტომბერს 17-წლამდელები "დინამო თბილისის" დუბლებს გაეჯიბრებიან.

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურის მწვრთნელი

# სოსო ფრუიძე: ევროთასები? გამორიცხული არაფერია

"ლელომ" უმაღლესი ლიგის გასული ტურის საუკეთესო მწვრთნელად საჩხერის "ჩიხურას" თავკაცი სოსო ფრუიძე დაასახელა. მისმა გუნდმა რუსთავის "მეტალურგს" 1:0 სძლია და სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზეა. "ჩიხურა" უმაღლეს ლიგაში შორსმიმავალი გეგმებით დაბრუნდა, თუმცა მაინც ნაკლებად იყო მოსალოდნელი, ყველაზე ამბიციურ ქართულ კლუბებს ასეთ მედგარ წინააღმდეგობას თუ გაუწევდა.

"ლელოს" რესპონდენტი სოსო ფრუიძეა.



სოსო ფრუიძე

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

- პირველ რიგში, დიდ მადლობას გადაგიხდით ასეთი დაფასებისთვის. ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა "ლელო" ტურის სიმბოლურ ნაკრებში მასახელებს და ეს ფაქტი ჩემთვისაც და ჩემი ფეხბურთელებისთვისაც დიდი სტიმულია. შევეცდებით, შემდგომში კიდევ უფრო ხარისხიანად ვითამაშოთ და ჩვენი გულშემატკივრების იმედები გავამართლოთ.

**- რის ხარჯზე შეძლო "ჩიხურამ" "მეტალურგის" დამარცხება?**

- ამ მატჩის წინ მკაფიო ამოცანა დავისახეთ – იმის მიუხედავად, რომ საკმაოდ ძლიერი მეტოქე გვყავდა, აუცილებლად უნდა გაგვემარჯვა. ნაკლებად ველოდით სანახაობრივ თამაშს, შედეგს კი, როგორც ხედავთ, მივაღწიეთ. ვფიქრობ, "მეტალურგს" ფიზიკურ მომზადებაში ვაჯობეთ და წინა ხაზზე მეტი აგრესიულობა გამოვავლინეთ. ყოველივე ამან მატჩის ბედი ჩვენს სასარგებლოდ გადაწყვიტა.

**- იყო თუ არა ეს მატჩი მიმდინარე სეზონში "ჩიხურასთვის" საუკეთესო?**

- ერთ-ერთი საუკეთესო ნამდვილად იყო. ამას გარდა, გამოვარჩევდი გორის "დილასთან" და ბოლნისის "სიონთან" მოგებულ შეხვედრებს.

**- ნაკლებად კმაყოფილი რომელი მატჩებით დარჩით?**

- ცუდად ვითამაშეთ მარტვილის "მერანთან", მაგრამ იმ შეხვედრის არნაგება მაინც შეგვეძლო. არც "ზესტაფონთან" ჩატარებული მატჩით დავრჩი კმაყოფილი, მაგრამ იმ თამაშში მიზანს მივაღწიეთ და სტუმრად ქულა მოვიპოვეთ.

**- "ჩიხურა" გამოცდილი და ახალგაზრდა ფეხბურთელების ნაზავია. ყველაზე მეტად რომელი ახალგაზრდების პროგრესით ხართ კმაყოფილი?**

- ცალკეული ფეხბურთელის გამოყოფა გამიჭირდება, უკმაყოფილო არც ერთი მათგანით ვარ. კირკიტაძე, დეკანოიძე, მუმლაძე, ქიმაძე და სხვები "ჩიხურას" წარმატებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ და იმედი მაქვს, ახლო მომავალში კიდევ უფრო ხარისხიანად ათამაშდებიან. გვაქვს ასევე შარაშენიძის იმედი, რომელიც ფიზიკურ კონდიციებს თუ გაიუმჯობესებს და სამწვრთნელო შტაბის მითითებებს შეასრულებს, ჩვენი გუნდისთვის მნიშვნელოვან ფეხბურთელად ჩამოყალიბდება.

**- ხშირად აღგინიშნავთ გიორგი სომხიშვილის განსაკუთრებული როლი. შეგვიძლია ვთქვათ, რომ "ჩიხურას" ლიდერი მისი მეკარეა?**

- ყველა რგოლში გვყავს გამოცდილი ფეხბურთელები, რადგან მიგვაჩნია, რომ მათ გარეშე ახალგაზრდებს წინსვლა გაუჭირდებათ. სომხიშვილზე კი დაგეთანხმებით, იგი მართლაც არის "ჩიხურას" ნამდვილი ლიდერი.

**- თამაშობს დღეს "ჩიხურა" იმ ხარისხის ფეხბურთს, რისკენაც თქვენ ისწრაფვით?**

- შემიძლია ვთქვა, რომ უფრო მეტიც შეგვიძლია და დიდი იმედი მაქვს, წინსვლა გავაგრძელოთ. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს შედეგზეც უნდა აისახოს. იმასაც შეგახსენებთ, რომ განვლილი ცხრა მატჩიდან ექვსი სტუმრად ჩავატარეთ და შესაბამისად, პირველ ეტაპზე დარჩენილი შეხვედრების უმრავლესობა შინ გველის, რაც, რა თქმა უნდა, ჩვენს წისქვილზე დაასხამს წყალს.

**- გამორიცხავთ თუ არა იმას, რომ "ჩიხურამ" ევროთასების საგზურისთვის იბრძოლოს?**

- გამორიცხული არაფერია, მაგრამ დღეს ჩვენი მიზანი მხოლოდ საუკეთესო ექვსეულში დამკვიდრებაა, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ "ჩიხურას" სტაბილური და შედეგიანი თამაშის ძალა ნამდვილად შესწევს.

**- როგორია მიმდინარე ჩემპიონატის თქვენეული შეფასება?**

- სამწუხაროდ, ჩემპიონატის დონის ამაღლების ნიშნებს ვერ ვხედავ, თუმცა ისიც ფაქტია, რომ დაძაბულობამ იმატა და პროგნოზის გაკეთება ყოველგვარ აზრს არის მოკლებული. ახალი სისტემაც ამართლებს, ჯერჯერობით, არაფრისმომცემი მატჩი ჩვენს უმაღლეს ლიგაში არ ჩატარებულა.

**- როგორი პირობები აქვს "ჩიხურას" სოფელ ივანწმინდაში, სადაც ამჟამად ატარებს საშინაო შეხვედრებს?**

- მაღალი დონის ბუნებრივი საფარი გვაქვს. სტადიონის ტრიბუნები მცირე ტევადობის, მაგრამ კარგად მოწყობილია – დაახლოებით 600 ინდივიდუალური სკამია დამონტაჟებული. კეთილმოეწყობა მედია და ვიპ-ლოჟები. უახლოეს პერიოდს აქ გავატარებთ, შემდეგ კი საჩხერეს დავუბრუნდებით.

**- საჩხერის ახალი სტადიონის აშენება რა ვადებში იგეგმება?**

- რომ არა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი, სტადიონი უკვე აშენებული იქნებოდა, თუმცა ეს პროექტი აუცილებლად განხორციელდება. პოლიტიკური მოვლენების გამო ამ თემამ ერთგვარად მეორე პლანზე გადაინაცვლა, მაგრამ ყველაფერი კარგად იქნება. "ქართუ ჯგუფის" დაფინანსებით საჩხერეს თანამედროვე სტადიონი ექნება გადახურული ტრიბუნებითა და 6-8-ათასიანი ტევადობით.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ნაკრები. მეტოქე

# პაატელაინენი: ქართველებს დაცვა უყვართ



პაატელაინენის აზრით, ქართველები დაცვაში კარგად გამოიყურებიან

ფინეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელს **მიქსუ პაატელაინენს** საქართველოს ეროვნული ნაკრები დაცვითი ყაიდის გუნდად მიაჩნია. ფინურ პრესასთან საუბარში მან განაცხადა, რომ ქართველთა მასირებული დაცვის გადალახვა მსოფლიოს ჩემპიონ ესპანელებსაც კი გაუჭირდათ და ეს მისი გუნდისთვისაც რთული იქნება.

პაატელაინენის თქმით, 12 ოქტომბრის მატჩში მისი გუნდი მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძოლებს. ფინელებს დღეისთვის ერთი დანაკლისი აქვთ – თავდამსხმელი **რიკუ რისკი**.

მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში საქართველოს ნაკრები 3 ქულით მესამე ადგილზე, ფინეთი კი 0 ქულით მეოთხეზეა.

პაატელაინენმა ქართველებთან დაპირისპირებისთვის შემდეგ ფეხბურთელებს უხმო:

მეკარეები: **ლუკაშ ჰრადეცკი (ესბიერგი, დანია), ჰენრი სილანპიაა (ტრომსიო, ნორვეგია), ნიკი მიაენპიაა (ვენლო, ჰოლანდია);**

მცველები: **ნიკლას მოისანდერი (აიაქსი, ჰოლანდია), იოონა ტოივიო (იურგორდენი, შვედეთი), იუჰანი ოიალა (იანგ ბოიზი, შვეიცარია), მარკუს ჰალსტი (მალმიო, შვედეთი), კარი არკივუო (ჰეკენი, შვედეთი), იუკა რაიტალა (ჰერენვენი, ჰოლანდია), იერე ურონენი (ჰელსინგბორგი, შვედეთი), პეტრი პასანენი (ორჰუსი, დანია);**

ნახევარმცველები: **პაულუს არაიუური (კალმარი, შვედეთი), კასპერ ჰიამიალიაინენი (იურგორდენი, შვედეთი), რომან ერიომენკო, ალექსეი ერიომენკო (ორივე - რუბინი, რუსეთი), ტიმ სპარვი (გრონინგენი, ჰოლანდია), პერპარიმ ჰეტემაი (კიევო, იტალია), ტონი კოლეჰმაინენი (ჰიონეფოსი, ნორვეგია), მიკა ოიალა (ინტერი, ფინეთი);**

თავდამსხმელები: **ტეემუ პუკი (შალკე, გერმანია), ნიაზი კუქი (ატრომიტოსი, საბერძნეთი), მიკა ვიაირინენი (ჰიკ, ფინეთი), ალექსანდერ რინგი (გლადბახი, გერმანია).**

**ლევან ჯანეზაშვილი**

ფუტსალი

# ჯერ საქართველო, მერე მსოფლიო

**პორტუგალიის ფუტსალის ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ჟორჟე ბრაზიმ პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციაში პრესკონფერენცია გამართა და მსოფლიოს ჩემპიონატის მოსამზადებელ ეტაპსა და 24-25 ოქტომბერს ქართველებთან ორმატჩიან სპარინგზე ილაპარაკა.**

**პორტუგალიელთა თავკაცმა ის მოთამაშებიც დაასახელა, რომლებიც ავთანდილ ასათიანის შეგირდებს დაუპირისპირდებიან და მსოფლიოზე გაემგზავრებიან:**



ავთანდილ ასათიანი

მეკარეები: ბებე ("ბენფიკა"), ჟოაო ბენედიტუ ("სპორტინგი");

მოედნის მოთამაშეები: გონსალო ალვეში, მარინიო, ჟოელ კეირუში (ყველა - "ბენფიკა"), ჟო, ლეიტაო, ჟოაო მატოში, პაულინიო, პედრო კარი (ყველა – "სპორტინგი"), ანდრე სოუზა ("ოპერარიო"), კარდინალი ("რიუ ავე"), არნალდო ("ნიკარსი"), რიკარდინიო ("ნაგოია ოუშენსი").

პორტუგალიის ეროვნული ნაკრების და ლისაბონის "ბენფიკას" ვარსკვლავმა **ჟოელ კეირუშმა** SIC-ს ინტერვიუ მისცა: *"ჩვენ მზად ვართ ქართველებთან სათამაშოდ. მათთან აუცილებლად უნდა გავიმარჯვოთ, ტაილანდში თავდაჯერებული რომ გავემგზავროთ".*

შევიტყვეთ, რომ საქართველოს ფუტსალის ასოციაციამ განაახლა მოლაპარაკება აშშ-ის ფედერაციასთან. ამერიკელთა მთავარი მწვრთნელი **კეიტ ტოზერი** და მისი შეგირდები საქართველოში წლის დასაწყისში უნდა ჩამოსულიყვნენ, თუმცა იმდროინდელმა ფუტსალის ხელმძღვანელობამ ამხანაგურ მატჩებზე უარი განაცხადა.

ტოზერს ახლაც სურს თბილისს ესტუმროს და ჩვენს ნაკრებთან სამი ამხანაგური მატჩი ითამაშოს. დაინტერესებულია ტელეკომპანია FOX SPORTS SOCCEE-იც, რომელიც აშშ-ს ფუტსალის ნაკრების პირდაპირ ტრანსლაციებს გადასცემს. სავარაუდოდ, ამერიკელები მომავალ წელს გვესტუმრებიან. საქართველოს ფუტსალის ასოციაციის ხელმძღვანელები პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს **ფერნანდო გომეშს** შეხვდებიან და ამ საუბრის შემდეგ დაასახელებენ ამერიკელებთან მატჩის კონკრეტულ თარიღს - პორტუგალია საპასუხო ვიზიტით უნდა გვეწვიოს და ამერიკელებთან შეხვედრა ამ შეთანხმებაზეა დამოკიდებული. ამავე დროს, მოლაპარაკებები მიმდინარეობს ახალ ზელანდიასთან და ფინეთთანაც.

**მერაბ მამულაშვილი**

# ფეხბურთი

## პირველი ლიგა, VII ტური

### A ჯგუფი

**გურია — ჭიათურა 4:1**

05. 10. ლანჩხუთი. „ე. შევარდნაძე".
400 მაყურებელი

1:0 ა. გოგობერიშვილი (7, პენალტით), 1:1 იაკობ დეისაძე (64), 2:1 გ. მაჩაიძე (65), 3:1 ა. გოგობერიშვილი (73), 4:1 გ. შენირული (86)

გურია: გ. ძაგანია, ჯ. გოგიბერიძე (66. გ. ჭეიშვილი), რ. კუკულაძე, გ. მაჩაიძე, დ. მაისაშვილი, ა. შენგელია, ა. გოგობერიშვილი (77. გ. შენირული), ლ. ვართაგავა, ტ. კუკულაძე, გ. თოდუა, გ. კვერენჩხილაძე (80. ა. ლალაძე)

*სათადარიგოები: მ. გოგუაძე, ა. ჩუენსუ, დ. რაფავა, ს. ბახია*

მწვრთნელი: თ. ლორია

ჭიათურა: გ. ბადურაშვილი (55. ზ. ჯაფარიძე), თ. ხარებავა, გ. მეცხოვრიშვილი, ლ. ცუცქირიძე, ი. კილაძე, ლ. კუჭაშვილი (71. ა. ბაბლიძე), ლ. მაჩაიძე, ს. გაბაძე (85. ბ. ჭუმბაძე), იაგო დეისაძე, იაკობ დეისაძე, დ. სევასტოპულო.

*სათადარიგოები: თ. ჯაჯანიძე, გ. სამყურაშვილი, ნ. ბაირამოვი*

მწვრთნელი: მ. კიპაროიძე

არბიტრი: ხ. გაგნიძე

**სასკო — რაჭა 4:0**

05. 10. თბილისი. „შატილი". 150 მაყურებელი

1:0 ზ. ქარდავა (27), 2:0 შ. ფირუზაშვილი (40), 3:0 გ. ქვილითაია (66), 4:0 ი. ქავთარაძე (89).

სასკო: ა. ნონოსი, დ. აბესაძე, ჯ. იამანიძე, შ. ფირუზაშვილი (85. პ. მოსემღვდლიშვილი), თ. მოგელაძე, თ. ქორჩილავა (73. გ. ჯინიკაშვილი), თ. ჩარგეიშვილი, ი. ქავთარაძე, ზ. ქარდავა, გ. ჩუბინიძე, გ. ქვილითაია (84. დ. ცქიტიშვილი).

*სათადარიგოები: ა. გომელაური, ი. მღებრიშვილი, კ. ახალაია, თ. გაფრინდაშვილი*

მწვრთნელი: თ. კაცია

რაჭა: გ. ჯოხაძე, ი. ვეკუა, მ. კორსანტია, გ. შარაბიძე (59. ლ. ნეფარიძე), ლ. ძაგნიძე, ი. ჭანკვეტაძე, ვ. ჭაბუკიანი, გ. ბაგალიშვილი (73. თ. კოხრეიძე), ა. გურაბანიძე (42. ლ. მიქაბერიძე), გ. მარგიანი, გ. მაისაშვილი

*სათადარიგოები: კ. გოგრიჭიანი, ლ მეტონიძე*

მწვრთნელი: ე. ჩიტალაძე

გაფრთხილება: გ. მაისაშვილი, ლ. ჯანგიძე, ნ. ჯოხაძე

არბიტრი: გ. ყრუაშვილი

**ბეთლემი — იმერეთი 2:2**

05. 10. ქედა ცენტრალური. 300 მაყურებელი

0:1 ლ. გაჩეჩილაძე (10), 1:1 ვ. დარჩიძე (20), 1:2 მ. გოდერიძე (24), 2:2 გ. ხაჩიძე (65)

ბეთლემი: ლ. ბექთაშევი, ლ. კალანდაძე, კ. ქაცარავა, გ. ხაჩიძე, ვ. კუნჭულია (73. გ. დავითაძე), გ. კაკაბაძე, ი. ნაჭყებია (87. ი. ჩხაიძე), ვ. დარჩიძე, დ. ჯალაღანია, ი. ბარამიძე, გ. ქობალია (51. გ. კახიანი)

*სათადარიგოები: რ. ქობულაძე, თ. თედორაძე, ზ. კეკელიძე, ზ. სეიდიდი*

მწვრთნელი: ე. კაკაბაძე

იმერეთი: ს. მეძველია, ვ. ბრეგაძე, გ. ხელაძე (75. გ. გენძეხაძე), ლ. გაჩეჩილაძე, დ. ხაბურზანია, ა. ტყეშელაშვილი, გ. გოდერიძე, დ. კუხალაშვილი, გ. ხვიჩია (67. ზ. სადილიანი), დ. სულაბერიძე (46. დ. სვანაძე), მ. აშვეთია

*სათადარიგოები: გ. ნიქაბაძე, დ. გოდერიძე, გ. მანაგაძე, თ ვაშაკიძე*

მწვრთნელი: დ. ჭელიძე

გაფრთხილება: ლ. კალანდაძე, გ. კაკაბაძე; ა. ტყეშელაშვილი, ლ გაჩეჩილაძე, ს. მეძველია

არბიტრი: ზ. ანიაშვილი

**მეშახტე — გაგრა 1:4**

05. 10. ტყიბული. „ვ. გოჭორიშვილი".
100 მაყურებელი

0:1 ჯ. ჯერემია (50), 1:1 გ. პაჭკორია (52, საკუთარ კარში), 1:2 ჯ. ჯერემია (54), 1:3 ა. ივანიშვილი (57), 1:4 ნ. ჭკუასელი (61).

მეშახტე: ი. ორბელაძე, ი. გვეტაძე, გ. გვენეტაძე, ლ. შავგულიძე, ნ. უგრეხელიძე, მ. კოპალიანი (72. თ. გოგიჩაძე), ლ. ხოხონიშვილი, მ. მაკარაშვილი, თ. ჭელიძე (72. ბ. ჯიშიაშვილი), ი. მოისწრაფიშვილი, ჯ. ავალიშვილი.

*სათადარიგოები: გ. ბერძენაძე, ლ. მაჩალაძე*

მწვრთნელი: დ. რუხაძე

გაგრა: გ. ბეგაშვილი, ი. ხუციძე, გ. პაჭკორია, ლ. კალანდაძე, გ. ჯგერენაია, ა. ივანიშვილი (64. ნ. ხოჯაშვილი), გ. ფალავანდიშვილი, ნ. ჭკუასელი, თ. ყიშკარიანი (56. ზ. ნადირაძე), ბ. ტეიდი (69. ი. ლერკენაშვილი), ჯ. ჯერემია

*სათადარიგოები: ლ. ჩიფჩიური, ს. მალანია, გ. სანიკიძე, ბ. ხოჯანაშვილი*

მწვრთნელი: ზ. ჯელაძე

არბიტრი: ზ. ასკარ-ოღლი

**სტუ — სულორი 2:1**

06. 10. თბილისი. „შატილი". 100 მაყურებელი

1:0 ა. ბაგაშვილი (2), 1:1 ბ. ბელექანია (37), 2:1 გ. გოგატიშვილი (89)

სტუ: ა. აბულაძე, ნ. ბინკინაშვილი, ზ. ჭავჭავაძე, დ. ქიმერიძე, ი. გოგატიშვილი, შ. გვაზავა, კ. კახაბრიშვილი (46. ჯ. კოლუა), ა. გოდუაძე (60. გ. ბიბილეიშვილი), ა. ბაგაშვილი, გ. გოგატიშვილი, ი. ფიფია (75. ო. გაგნიძე).

*სათადარიგოები: ა. კიკვაძე, დ. მეფარიძე, გ. თვალავაძე, ლ. ციკოლია*

მწვრთნელი: გ. ჟორჟოლიანი

სულორი: დ. ოდიშარია, ლ. გაბუნია, გ. ბრეგვაძე, დ. ივანიაძე, ა. როხვაძე, გ. გიგაშვილი (70. ბ. სულაბერიძე), თ. სანიკიძე, თ. ძაგნიძე, გ. ნიკოლეიშვილი (83. მ. დვალიშვილი), ნ. გიორგაძე (70. თ. მაღლაკელიძე), ბ. ბელექანია

*სათადარიგოები: ნ. გიორგაძე, შ. ლვინიანიძე, ზ. ენდელაძე*

მწვრთნელი: რ. ბურკაძე

გაფრთხილება: ა. გოდუაძე, შ. გვაზავა; გ. ნიკოლეიშვილი, ბ. სულაბერიძე, ა. როხვაძე

არბიტრი: ჯ. ხორავა

**სქური — დინამო-2 1:1**

05. 10. წალენჯიხა. „ს. კვარაცხელია".
200 მაყურებელი

0:1 ლ. პარუნაშვილი (30), 1:1 გ. გაგნიძე (71, საკუთარ კარში)

სქური: ნ. ჯოლოგუა, ი. ფაცაცია, ჯ. ყურუა, ა. მიქენაია, ზ. ლარიბაშვილი, რ. ცობეხია, თ. ფურთუხია, ლ. ბოჯგუა (90. ნ. არახამია), გ. სართანია, გ. ჭკუასელი, გ. კვირკვია (64. ლ. მორგოშია)

*სათადარიგოები: გ. ძაძამია, გ. ლუკავა, ი. ქარდავა, ტ. ხარჩილავა, ვ. შეროზია*

მწვრთნელი: ნ. ბოჯგუა

დინამო-2: ლ. ტყეშელაშვილი, ლ. საბაძე, თ. კაკულია, ს. გურეშიძე, გ. გაგნიძე, ი. ლექვთაძე (64. ბ. რუხაძე). ლ. პარუნაშვილი, ჭ. ჭეჭელაშვილი, ა. სარიშვილი. ბ, ზივზივაძე (75. გ. პაპუნაშვილი), კ. გაბაშვილი (54. გ. მურცხვალაძე)

სათადარიგოები: ტ. ხაინდრავა, კ. ხიზანეიშვილი

მწვრთნელი: რ. მუმლაძე

გაფრთხილება: ლ. მორგოშია

არბიტრი: ჯ. ბუიშვილი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გურია | 7 | 6 | 0 | 1 | 20-5 | 18 |
| 2. სასკო | 7 | 6 | 0 | 1 | 23-9 | 18 |
| 3. გაგრა | 7 | 5 | 0 | 2 | 18-4 | 15 |
| 4. სტუ | 7 | 5 | 0 | 2 | 18-13 | 15 |
| 5. იმერეთი | 6 | 3 | 1 | 2 | 8-9 | 10 |
| 6. დინამო 2 | 6 | 2 | 2 | 2 | 19-14 | 8 |
| 7. სქური | 7 | 2 | 2 | 3 | 6-11 | 8 |
| 8. ბეთლემი | 7 | 2 | 1 | 4 | 9-10 | 7 |
| 9. ჭიათურა | 7 | 2 | 1 | 4 | 10-15 | 7 |
| 10. სულორი | 7 | 2 | 0 | 5 | 3-15 | 6 |
| 11. მეშახტე | 7 | 1 | 1 | 5 | 7-23 | 4 |
| 12. რაჭა | 7 | 0 | 2 | 5 | 7-20 | 2 |

**მომდევნო ტური**

**12 ოქტომბერი**

დინამო-2 – ბეთლემი

**13 ოქტომბერი**

ჭიათურა – გაგრა
სულორი – მეშახტე
იმერეთი – სტუ
რაჭა – სქური
გურია – სასკო

### B ჯგუფი

**ზოოვეტი — სამტრედია 1:2**

06. 10. თბილისი. სპორტის აკადემია.
100 მაყურებელი

1:0 ს. ჭიკაიძე (8), 1:1 მ. ჟვანია (26), 1:2 გ. მელქაძე (47)

ზოოვეტი: ზ. გოგრიჭიანი, ლ. ლონლაძე, ი. ალასანია, გ. ჭოველიძე, გ. პატარქალიშვილი, გ. ტუხაშვილი. უ. მამულაშვილი (46. ზ. ტიელიძე), ი. ჯოჯიშვილი (80. ლ. ნამალაშვილი), ი. სვანიძე, გ. ჯოხაძე (46. ბ. ყიფიანი), ს. ჭიკაიძე

*სათადარიგოები: ა. კაპანაძე, მ. მერეჩკო, ს. ლორთქიფანიძე*

მწვრთნელი: ე. გუგუშვილი

სამტრედია: დ. კეკელიძე, ა. კუპრეიშვილი, ს. გოგია, დ. სამსეიშვილი (64. თ. კიკაბიძე), დ. ჩხიკვაძე, ბ. გედენიძე (64. ზ. ქურდობაძე), მ. ჟვანია, ლ. ხაჭაპურიძე, გ. მელქაძე, შ. კერძევაძე, მ. როსტიაშვილი (56. ზ. ხაჭიპერაძე)

*სათადარიგოები: ნ. ბანძავა, ბ. ახობაძე, ა. დვალიშვილი, გ. რუხაძე*

მწვრთნელი: გ. ბენდელიანი

გაფრთხილება: გ. ჯოხაძე, გ. ტუხაშვილი, ი. ალასანია; ბ. გედენიძე, ზ. ხაჭიპერაძე

არბიტრი: ი. კვირიკაშვილი

**სპარტაკი — ჩხერიმელა 4:0**

06. 10. თბილისი. „ბენდელა". 150 მაყურებელი

1:0 ზ. მეტრეველი (21), 2:0 თ. თუხარელი (44), 3:0 ვ. კილასონია (45), 4:0 კ. კაკაშვილი (82)

სპარტაკი: გ. ნადირაძე, ლ. ქურდაძე, ლ. ჭაფოძე, უ. ბურძენაძე, ლ. თვალავაძე, თ. შონია, თ. თუხარელი, გ. ლემონჯავა, ვ. კილასონია (63. თ. მაქაცარია), დ. გელაშვილი (78. გ. ჭოხონელიძე), ზ. მეტრეველი (70. კ. კაკაშვილი)

*სათადარიგოები: ა. ხალიევი, გ. ზვიადაძე, გ. ხარაზიშვილი*

მწვრთნელი: ვ. ხაჩიძე

ჩხერიმელა: ი. კუჭუხიძე, ც. ხარაბაძე, ა. ქაშაკაშვილი (46. გ. გ. თურმანიძე), ნ. ხარაბაძე, გ. ცაგარეიშვილი, თ. ლურსმანაშვილი (46. თ. კიკნაძე), ა. ლაბაძე (63. ნ. ბერაძე), ა. დოლონაძე, გ. ზაქარაშვილი, დ. კოსტავა, ვ. ჭრელაშვილი

*სათადარიგოები: ბ. ახალაია, გ. კიკნაძე, მ. თევდორაძე, ო. ჩინჩალაძე*

მწვრთნელი: მ. ხუნდაძე

არბიტრი: ბ. ნინუა

**ლოკომოტივი — მერცხალი 0:0**

06. 10. საგურამოს სპორტკომპლექსი.
100 მაყურებელი

ლოკომოტივი: ბ. მიქავა, გ. გოროზია, გ. გაბაძე, ნ. ჭანტურია, გ. გურეშიძე, გ. მაკასარაშვილი, ა. გუგუშვილი, მ. ცინცაძე, ე. სულთანიშვილი (78. ა. მზევაშვილი), დ. დარციმელია (58. დ. ჯიქია), დ. გუჯაბიძე (64. ლ. კიკაბიძე)

*სათადარიგოები: დ. ლეგაშვილი, გ. ბაქრაძე, დ. მიქავა.*

მწვრთნელი: გ. სანაია

მერცხალი: გია გოგუა, თ. ჩხატარაშვილი, გ. ხამაშურიძე, ს. გ. ჩიგოგიძე, ვ. ტუტოიანი (53. ლ. ათუაშვილი) ზ. ხურციძე, გ. მექვაბიშვილი, ს. ვ. ჩიგოგიძე, გ. მალაზონია (46. ნ. ხინთიბიძე), ლ. კოტრიკაძე (46. გ. კაშია), ვ. ჯაყელი

*სათადარიგოები: გ. ქობულაძე, ზ. ტულუში*

მწვრთნელი: ხ. ჩხარტიშვილი

გაფრთხილება: გ. გოროზია; გ. მექვაბიშვილი, ვ. ჯაყელი, გ. კაშია

არბიტრი: შ. ქუხილავა

**ლიახვი — ადელი 3:1**

06. 10. გორი. „ქართლი". 100 მაყურებელი

1:0 ი. ჯველაური (3), 2:0 თ. აზიკური (13), 2:1 გ. სირაბიძე (55), 3:0 ზ. ქანთარია (83)

ლიახვი: ლ. ეზიეშვილი, გ. მინდორაშვილი, ლ, ქანთარია, მ. ჯიქია, ი. ჯველაური, გ. ლობჟანიძე (59. ლ. კომლაძე), გ. თოლორდავა, გ. ნონიაშვილი, ა. ტეტუნაშვილი, ზ. ქანთარია (85. გ. ხუბიაშვილი), თ. აზიკური

*სათადარიგოები: დ. გლოველი, ლ. კოპალიანი, ს. ძებისაშვილი, ზ. ჭადაშვილი, დ. ბარნაბიშვილი*

მწვრთნელი: უ. ქანთარია

ადელი: გ. რომანაძე (46. ზ. ჯუგაშვილი), ი. პაადი, ნ. წულუკიძე, ვ. სიორდია, გ. ყაველაშვილი, კ. ბაგალიშვილი (46. გ. თურმანიძე), ა. ფარტენაძე, ნ. დავითაძე, გ. სირაბიძე, გ. ქოქოლაძე, ლ. კოშაძე (33. თ. გიორგაძე)

სათადარიგო: ი. ლოლობერიძე

მწვრთნელი: ო. ნაგვერაძე

გაფრთხილება: ი. პაადი

არბიტრი: ა. ნონიკაშვილი

**სამგურალი — აეტი 4:0**

07. 10. ქუთაისი. „ტორპედოს" ბაზა.
50 მაყურებელი

1:0 თ. კაპანაძე (63, პენალტით), 2:0 ვ. ფანცხავა (68), 3:0 გ. თევდორაძე (71), 4:0 თ. კაპანაძე (78)

სამგურალი: ლ. გორდეზიანი, ბ. ხაჭიპერაძე, ბ. ბიბილაშვილი, მ. ჩხარტიშვილი (65. ზ. კუხალაშვილი), ლ. კირკიტაძე, ო. ტორაძე (55. ვ. ფანცხავა), თ. კაპანაძე, ა. მეტონიძე, ი. ხვადაგიანი, ლ. ნავერიანი (76. ხ. უგრეხელიძე), გ. თევდორაძე

*სათადარიგოები: ზ. სალინაძე, ზ. ჩიხლაძე, ნ. ბაბუნიძე, დ. მემარნიშვილი*

მწვრთნელი: გ. გოგიაშვილი

აეტი: ზ. ჭიჭინაძე, დ. ხარჩილავა, ლ. ბინაძე, თ. ექვთიმიშვილი, გ. რეზესიძე, პ. კვიკვინია (46. ი. ჩუბინიძე), ჯ. მამუდოვი, გ. ცერცვაძე, დ. კასრაძე, ბ. მეტრეველი, ნ. ზაქარიაძე

სათადარიგო: გ. ქაჯაია

მწვრთნელი: ო. სოხაძე

გაფრთხილება: ლ. ბინაძე, დ. ხარჩილავა

არბიტრი: ზ. ტულუში

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სპარტაკი | 7 | 6 | 0 | 1 | 17-2 | 18 |
| 2. კოლხეთი (ხ) | 7 | 6 | 0 | 1 | 14-9 | 18 |
| 3. ლოკომოტივი | 7 | 4 | 2 | 1 | 15-8 | 14 |
| 4. სამგურალი | 7 | 4 | 1 | 2 | 16-9 | 13 |
| 5. სამტრედია | 7 | 4 | 1 | 2 | 10-6 | 13 |
| 6. შუქურა | 7 | 3 | 1 | 3 | 11-7 | 10 |
| 7. ზოოვეტი | 7 | 3 | 1 | 3 | 14-11 | 10 |
| 8. ჩხერიმელა | 7 | 3 | 0 | 4 | 10-11 | 9 |
| 9. მერცხალი | 7 | 2 | 2 | 3 | 9-12 | 8 |
| 10. ადელი | 7 | 2 | 0 | 5 | 9-17 | 6 |
| 11. ლიახვი | 7 | 1 | 0 | 6 | 4-21 | 3 |
| 12. აეტი | 7 | 0 | 0 | 7 | 6-22 | 0 |

**მომდევნო ტური**

**12 ოქტომბერი**

ადელი – სპარტაკი

**14 ოქტომბერი**

სამტრედია – მერცხალი
კოლხეთი (ხ) – ლოკომოტივი
ჩხერიმელა – შუქურა
აეტი – ლიახვი
ზოოვეტი – სამგურალი

**დუბლების ჩემპიონატი**

IX ტური

| | |
|---|---|
| ზუგდიდი – დინამო (თბ) | 3:3 |
| კოლხეთი – მერანი | 1:0 |
| სიონი – ზესტაფონი | 2:7 |
| ვიტ ჯორჯია – ტორპედო | 0:1 |
| ჩიხურა – მეტალურგი | 1:1 |
| დილა – დინამო (ბთ) | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზესტაფონი | 9 | 7 | 2 | 0 | 31-14 | 23 |
| 2. დინამო (თბ) | 9 | 7 | 1 | 1 | 29-9 | 22 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 9 | 4 | 3 | 2 | 16-10 | 15 |
| 4. მეტალურგი | 9 | 4 | 3 | 2 | 19-14 | 15 |
| 5. ზუგდიდი | 9 | 4 | 3 | 2 | 12-10 | 15 |
| 6. ტორპედო | 9 | 4 | 2 | 3 | 13-8 | 14 |
| 7. დილა | 9 | 3 | 2 | 4 | 8-9 | 11 |
| 8. კოლხეთი | 9 | 3 | 1 | 5 | 11-21 | 10 |
| 9. დინამო (ბთ) | 9 | 2 | 2 | 5 | 12-14 | 8 |
| 10. ჩიხურა | 9 | 2 | 2 | 5 | 9-14 | 8 |
| 11. მერანი | 9 | 1 | 1 | 7 | 3-24 | 4 |
| 12. სიონი | 9 | 0 | 4 | 5 | 7-23 | 4 |

## ამბები




რეალის ახალი სეზონის მაისურა ძალზე პოპულარულია ფანებში

### მაისურების გაყიდვაში ჩემპიონები რეალი და იუნაიტედი არიან

მაისურების გაყიდვაში „მანჩესტერ იუნაიტედსა" და მადრიდის „რეალს" ბადალი არ ჰყავთ. ხუთი სეზონის განმავლობაში (2008-2012) მხოლოდ სამმა კლუბმა შეძლო მილიონზე მეტი მაისურის გაყიდვა, ზემოთ ჩამოთვლილებმა 1,4 მილიონი (თითოეულმა) და „ბარსელონამ" (1,15 მილიონი). ტოპ-10-ეულში 4 ინგლისური კლუბია („იუნაიტედის" გარდა „ჩელსი" (910 ათასი), „ლივერპული" (810) და „არსენალი" (800)), სამი იტალიური („იუვენტუსი" (480 ათასი), „ინტერი" (425) და „მილანი" (350)). ათეულში მხოლოდ ერთი გერმანული კლუბია, „ბაიერნი" - 880 ათასი გაყიდული მაისურა. ათეულში მოხვედრილ გუნდებს მხოლოდ „ნაიკი" და „ადიდასი" აცმევს, ხუთს „ნაიკი", ამდენივეს - „ადიდასი".

### მსოფლიოს ჩემპიონებს ფანები ვერ ნახავენ

მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონთა ფანებმა შეიძლება ვერ ნახონ ესპანეთის ნაკრების პარასკევის მატჩი ბელარუსთან, რადგან ესპანელები ვერაფრით შეუთანხმდნენ მასპინძლებს სატელევიზიო ტრანსლირების თაობაზე. მინსკის მატჩის ჩვენების უფლება გერმანულ კომპანია „სპორტფაიფს" აქვს. თავიდან ეს კომპანია 3 მილიონ ევროს ითხოვდა, შემდეგ 1,5 მილიონამდე ჩამოვიდა, მაგრამ ესპანეთში ეკონომიკური კრიზისია და ტელევიზიებს არც ამ თანხის გადახდა სურთ. ესპანურმა გაზეთმა „დიარიო ას-მა" გამოკითხა სავარაუდო მყიდველები და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ 1,5 მილიონ ევროდ ბელარუსი-ესპანეთის თამაშის შეძენა ესპანური კომპანიებისთვის წამგებიანი იქნება.

სხვათა შორის, ესპანური მედია იმასაც აღნიშნავს, რომ ესპანელებს ანალოგიური პრობლემები საქართველოს ნაკრებთან მატჩის წინაც ჰქონიათ, თუმცა ეს პრობლემა საბოლოოდ მოგვარდა.



ისკო

### მალაგას ისკოს დაკავება გაუჭირდება

„მალაგას" სპორტულმა დირექტორმა **მარიო უსილიოსმა** აღიარა, რომ არ არის გამორიცხული იანვარში 20 წლის ნიჭიერმა ნახევარმცველმა **ისკომ** კლუბი დატოვოს. „მალაგა" უძლური იქნება თუკი რომელიმე ინგლისური გრანდი მის სანაცვლოდ 21 მილიონ ევროს გაიღებს. სწორედ ეს თანხაა ისკოს ხელშეკრულებაში მითითებული მინიმალურ გამოსასყიდ თანხად. ისკოს, რომელსაც ოლიმპიადაზე „ტოტენჰემის" წარმომადგენელი **ტიმ შერვუდი** აკვირდებოდა, ბევრი მთხოვნელი ჰყავს. *„ისკო მნიშვნელოვანი ფეხბურთელია გუნდში, ის არ გაგვყავს სატრანსფერო ბაზარზე, მაგრამ თუკი მის გამოსასყიდ თანხას ვინმე გადაიხდის, ჩვენ ისკოს ველარ დავაკავებთ"*, - განაცხადა უსილიოსმა.

ფრანსისკო რომან ალარკონ სუარესი, რომელსაც ყველა ისკოს სახელით იცნობს, „ვალენსიას" გაზრდილია. 2011 წლის ზაფხულში „მალაგამ" მის სანაცვლოდ 6 მილიონი ევრო გადაიხადა და ფეხბურთელს ხუთწლიანი ხელშეკრულება გაუფორმა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

### მანჩინი ფალკაოს გამორიცხავს

"მანჩესტერ სიტის" თავკაცის **რობერტო მანჩინის** თქმით, "ატლეტოკოსა" და "მალაგას" შეხვედრისას ის არც მასპინძელ **რადამელ ფალკაოს** აკვირდებოდა და არც სტუმარ **ისკოს**. არადა, ინგლისური პრესა ამტკიცებს, რომ 2013 წლის ზაფხულზე "ქალაქელები" **მარიო ბალოტელის** იტალიაში დააბრუნებენ და მის შემცვლელად სწორედ კოლუმბიელი ვარსკვლავის შეძენას გეგმავენ. ინერება ასევე 20 წლის ესპანელისადმი მანჩესტერელთა ინტერესზეც. *"ესპანეთში იმიტომ ჩამოვედი, რომ ჩემი შვილის თამაში ვნახო, მოგეხსენებათ, ის "ვალიადოლიდში" თამაშობს,"* – განუცხადა ჩვენს ესპანელ კოლეგებს იტალიელმა.

### მოკლეს რედ ბულსის მწვრთნელი

კვირას, ღამის 4:30 წუთზე ნიუ იორკში, მანჰეტენის ერთ-ერთ მთავარ მოედანზე "რედ ბულსის" ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელი **მაიკლ ჯონსი** მოკლეს. წარმოშობით ლივერპულელ სპეციალისტს გულთან რამდენიმე ჭრილობა ჰქონდა მიყენებული, ამას გარდა, დანა გადასმული ჰქონდა ყელზე და მოკვეთილი ჰქონდა ყური. ჯონსი სისხლდენის გამო რამდენიმე წუთში დაიღუპა. მართალია, პოლიციას ჯერ ეჭვმიტანილი არ ჰყავს, მაგრამ სამართალდამცავების თქმით, მისი დაპატიმრება მხოლოდ დროის საკითხია, რადგან ის სათვალთვალო კამერებმა დააფიქსირა.

**ლევან ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჩელსი



ეშლი კოულმა უცენზურო სიტყვებისთვის ბოდიში მოიხადა

# რა ღირს ემოციებად დაღვრა?

ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის პრეზიდენტ დევიდ ბერნშტეინის განცხადებით, "ჩელსისა" და ინგლისის ნაკრების 31 წლის მარცხენა მცველმა ეშლი კოულმა მას პირადად მოუხადა ბოდიში ტვიტერზე გაკეთებული შეურაცხმყოფელი ფრაზისთვის, რის გამოც ფეხბურთის მმართველი ორგანიზაცია მას დისკვალიფიკაციას უპირებდა: *"კოულმა გულწრფელად ინანა მის მიერ ჩადენილი საქციელი და ბოდიშიც მოიხადა. მე მას თვალებში ჩავხედე და მივხვდი, რომ აბსოლუტურად გულწრფელი იყო. შესაბამისად, მას სან მარინოს ნაკრებთან მატჩისთვის დისკვალიფიკაცია აღარ ემუქრება. ითამაშებს თუ არა ის, მხოლოდ მწვრთნელის გადასაწყვეტია,"* – აცხადებს ბერნშტეინი. ეშლიმ ასოციაციის აღმასრულებელ კომიტეტს ჯონ ტერის 4-მატჩიანი დისკვალიფიკაციით დასჯის გამო "იდიოტების ხროვა" უწოდა. მართალია, ოფიციოზმა ფეხბურთელს აპატია, მაგრამ უშუალოდ "ჩელსიში" მიიჩნიეს, რომ მსგავსი გამოხდომა მათ ფეხბურთელს არ ეკადრებოდა და კოული 240 ათასი ფუნტით დააჯარიმეს.

## ლემპარდს თვეში მილიონს ჰპირდებიან

"ტელეგრაფის" მტკიცებით ჩინური კლუბები "შანხაი შენხუა" და "პეკინ გოიანი" **ფრენკ ლემპარდისთვის** ბრძოლაში კონკურენტები ხდებიან. კლუბები 34 წლის ინგლისელ ვარსკვლავს საშემოსავლოს გადახდის შემდეგ თვეში სუფთა მილიონ ფუნტს სთავაზობენ. აზიელები ფეხბურთელთან კონტრაქტის გაფორმებას იანვარში აპირებენ. მთავარი ახლა "ჩელსის" პოზიციაა. ლემპარდს კლუბთან ხელშეკრულება 2013 წლის 30 ივნისს უწურება და თუკი მხარეებმა ახლის პირობებზე შეთანხმება ვერ მოახერხეს, ფეხბურთელს სრული უფლება ექნება, იანვრიდან საკუთარ მომავალზე ფიქრს შეუდგეს. ამ შემთხვევაში, ცხადია, "შანხაი შენხუას" კონკურენტთან უზარმაზარი უპირატესობა ექნება – იქ ხომ ფრენკის მეგობრები **დიდიე დროგბა** და **ნიკოლა ანელკა** თამაშობენ.

## რემი სტემფორდ ბრიჯზე

"ჩელსის" შემადგენლობაში ამჟამად მხოლოდ სამი თავდამსხმელი ირიცხება. ესენი არიან **ფერნანდო ტორესი, დენიელ სტარიჯი** და **ვიქტორ მოზესი**. უკანასკნელი გარემარბია და ცენტრალური თავდამსხმელის პოზიციაზე გამოუსადეგარი. რაკი ამ ზაფხულს არ გაუშვეს, სტარიჯი მთელ კლუბზე აღრენილია და მხოლოდ ვალდებულების მოხდის მიზნით ვარჯიშობს. იანვარში ის ალბათ მაინც დატოვებს ლონდონურ გრანდს. ასე რომ, შეიძლება ითქვას - **რობერტო დი მატეოს** ერთადერთი თავდამსხმელიღა ჰყავს. იანვარში იტალიელ მწვრთნელს სიტუაციის გამოსწორება სურს. მას "მარსელიდან" **ლოიკ რემის** შეძენა აქვს განზრახული. დი მატეო მზადაა, პროვანსელებს 15 მილიონი ფუნტი გადაუხადოს.

● ამბები

## ბოლტონს მწვრთნელი აღარ ჰყავს

"ლივერპულ ექოს" ცნობით, ჩემპიონშიპის "ბოლტონმა" 46 წლის **ოუენ კოილს** კარისკენ მიუთითა და გუნდი დროებით 53 წლის **სემი ლის** ჩააბარა. 10 შეხვედრაში დაგროვილი 11 ქულით გუნდი მე-18 ადგილზე იყო, რაც, ბუნებრივია, ყოფილი პრემიერლიგელის ხელმძღვანელთა სამართლიან აღშფოთებას იწვევდა. რაც შეეხება დროებით დამრიგებელს, 2011 წლის ივნისამდე ის "ლივერპულში" მუშაობდა მთავარი მწვრთნელის ასისტენტად. მან მერსისაიდელები საკუთარი ნებით მიატოვა და "ბოლტონის" აკადემიის განვითარების პროგრამის ხელმძღვანელი გახდა. განიხილავს თუ არა კლუბის გენერალური მენეჯერი **ფილ გარტსაიდი** ლის, როგორც მთავარი მწვრთნელობის ერთ-ერთ პრეტენდენტს, ჯერჯერობით უცნობია.

## ჰუთის დასჯას არავინ აპირებს

"ლივერპულზე" მასალაში ალბათ წაიკითხავდით, რომ "წითლების" მთავარი მწვრთნელი **ბრენდან როჯერსი** აღშფოთებული იყო **რობერტ ჰუთის** ბინძური თამაშით. ვისაც ეს კადრი არ უნახავს, მისთვის დავწერთ, რომ გერმანელმა ურუგვაელ **ლუის სუარესს** მკერდში წიხლი ჩაარტყა. „დეილი მეილის" მტკიცებით, სადისციპლინო კომიტეტი ამით დაინტერესდებოდა და გერმანელს სერიოზულადაც დასჯიდა, მაგრამ... ჰუთს შეუძლია მშვიდად იყოს. ამის გაკეთებას არავინ აპირებს, რადგან არბიტრმა **ლი მეისონმა** ეს ეპიზოდი დააფიქსირა და მიუხედავად ნანახისა, წითელი ბარათის ჩვენების საფუძველი ვერ დაინახა. მან მატჩის ოქმში სწორედ ეს ფრაზა ჩაწერა.

● ლივერპული

# შეწყვიტეთ ისტერიკა!

**"ლივერპულის" 60-იანი წლების თავდამსხმელმა როჯერ ჰანტმა "წითლების" წინა ხაზის ამჟამინდელ ლიდერ ლუის სუარესს მოუწოდა, შეეწყვიტა სიმულაციების კასკადი. ჰანტის აზრით, ურუგვაელმა სახელი დიდი ხნის წინ გაიფუჭა და ამიერიდან მსაჯებმა მასზე შესაძლოა 100%-იანი პენალტებიც კი აღარ დანიშნონ: *"ვილაცამ სუარესს გასაგები სიტყვებით უნდა აუხსნას, რომ დროა, შეწყვიტოს ეს წარმოდგენები და უბრალოდ ფეხბურთი ითამაშოს. შეუძლებელია ამისი დიდი ხნის განმავლობაში ატანა. "სტოკთან" შეხვედრის მსგავს ეპიზოდებში სხვა დროს ის ფეხზე უნდა დარჩეს. ლუისს გაუჭირდება შელახული რეპუტაციის აღდგენა, მაგრამ ოდესმე ის უნდა დაადგეს ამ გზას. ბოლოს და ბოლოს ეს ისევ "ლივერპულს" წაადგება. თავის დროზე ანალოგიური პრობლემა აწუხებდათ კრიშტიანო რონალდოსა და ეშლი იანგს, მაგრამ სერ ალექს ფერგიუსონის არგუმენტებმა გაჭრა, ეს ფეხბურთელები გამოსწორდნენ. ბრენდან როჯერსი სუარესს აუცილებლად უნდა დაელაპარაკოს".***

## ორმაგი სტანდარტები ურუგვაელისთვის

"ლივერპულის" მთავარი მწვრთნელის **ბრენდან როჯერსის** მტკიცებით, "სტოკ სიტისთან" შეხვედრის დასრულების შემდეგ ლუის სუარესისკენ წამოსული წნეხი არასამართლიანი იყო. მართალია, მეტოქის საჯარიმოში ის თეატრალურად დაეცა, მაგრამ მეორე მხრივ სამხრეთამერიკელი არავის შესცოდებია **რობერტ ჰუთთან** შეტაკების დროს, როცა მას აყლაყუდა გერმანელი დაეტაკა, ძირს დასცა და მერე წიხლი მკერდში ჩააზილა. ჩრდილოირლანდიელი სპეციალისტის თქმით, თუკი კანონი კანონობს, მაშინ ის ყველას ერთნაირად უნდა იცავდეს. აი, რა თქვა მან:

- მე, როგორც "ლივერპულის" მენეჯერი, გაოგნებული ვარ, როცა არაფერს წერენ სუარესის მიმართ უხეშობებზე, რომელიც პირველ წუთებში აშკარად წინასწარ დაგეგმილის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მეგონა, რომ სტოკელებს მასზე ნამდვილი ნადირობა ჰქონდათ გამოცხადებული. სიმულაცია თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემაა. ყველანი ვალდებული ვართ, რომ ის საკუთარი არსენალიდან ამოვძირკვოთ, მაგრამ ამ შეხვედრაში უარესი რამეებიც მოხდა. ამ ყოველივეზე პრესა მორიდებულად დუმს. კვირას მარტო სუარესი არ იყო, რომელსაც უბურთოსაც ებრძოდნენ. არბიტრს კი ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია. აქედან გამომდინარე, ვაცხადებ, რომ მხოლოდ სუარესის უარყოფითის შემჩნევა და მისი საბოლოო დისკრედიტაციის მცდელობა არასწორია.



ეს წამია, ლუის სუარესმა სტოკის საჯარიმოში ისიმულანტა

## გრანდების სამიზნეში

Goal.com-ის ინფორმაციით, "კრისტალ პალასის" 19 წლის კოტდივუარელი შემტევი ნახევარმცველი **უილფრიდ ზაა** "ლივერპულისა" და "არსენალის" სატრანსფერო გეგმებში მოხვდა. ჩემპიონშიპის წარმომადგენელმა ორივე კლუბისგან უკვე მიიღო მოლაპარაკებების დაწყების თხოვნა. პერსპექტიულ თინეიჯერს ლონდონურ კლუბთან ხელშეკრულება 2017 წლამდე აკავშირებს, ასე რომ, ნიჭიერ ფეხბურთელში "პალასი" ალბათ სოლიდურ თანხას მოითხოვს.

## კიდევ ერთი ახალგაზრდა

შესაძლოა, "ენფილდზე" კიდევ ერთი ნიჭიერი ფეხბურთელი აღმოჩნდეს. ლაპარაკია სპლიტის "ჰაიდუკის" 16 წლის ნახევარმცველ **იოსიპ ბაშიჩზე**. ბაშიჩი ხორვატიის U-17 ნაკრების კაპიტანია და მასზე დიდ იმედებს ამყარებენ. მოგეხსენებათ, ბრენდან როჯერსმა სამწვრთნელო კარიერა **ჟოზე მოურინიოს** დროინდელ "ჩელსიში" ახალგაზრდული გუნდის თავკაცად დაიწყო. ჩრდილოირლანდიელს ახალ თაობასთან მუშაობა ახლაც ძალიან უყვარს. სწორედ ამის დამსახურებაა, რომ "წითლების" რიგებში **ანდრე უისდომი** (19 წლის), **ჯო ალენი** (22), **ადამ მორგანი** (18) **სუსო** (18), **რაჰემ სტერლინგი** (17), **ფაბიო ბორინი** (21) და **სამედ იესილი** (18) გამოჩნდნენ.

● დაჯილდოება




სტივენ ფლეტჩერი პრემიერლიგაში სექტემბრის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს

# შოტლანდიური მოსავალი ინგლისში

"სანდერლენდის" 25 წლის შოტლანდიელი თავდამსხმელი **სტივენ ფლეტჩერი** პრემიერლიგის თვის საუკეთესო ფეხბურთელელად დაასახელეს, მისი 49 წლის თანამემამულე, "ევერტონის" მთავარი მწვრთნელი **დევიდ მოიესი** კი საუკეთესო მწვრთნელად.

სწორედ ფლეტჩერის საგოლე ალღოს წყალობით იყო, რომ "შავმა კატებმა" წინა თვეში 4 შეხვედრაში ("სუონსი" 2:2, "ლივერპული" 1:1, "ვესტ ჰემი" 1:1, "უიგანი" 1:0) 6 ქულას მოუყარეს თავი. თავდამსხმელმა ამ მატჩებში ხუთი გოლის გატანა მოახერხა. თანაც, არც ერთი უგოლოდ არ დაუსრულებია. *"ცხადია, უბედნიერესი ადამიანი ვარ, რადგან ასეთი აღიარება პირველია ჩემს კარიერაში, მაგრამ ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი გუნდის წარმატებებია. ძალიან ბედნიერები ვიყავით, რომ მთელი თვე წაუგებლად ვიასპარეზეთ. კმაყოფილი ვარ, რომ გუნდმა ეს სწორედ ჩემი გოლებით მოახერხა,"* - თქვა ფეხბურთელმა.

რაც შეეხება მოიესს, მისმა შეგირდებმა არნახული სტარტი აიღეს ჩემპიონატში. "ლურჯებისთვის" წარმატებული გამოდგა სექტემბერიც. მერსისაიდელებმა 4-დან 2 თამაში მოიგეს ("სუონსი" 3:0, "საუთჰემპტონი" 3:1), 1 ფრედ ითამაშეს ("ნიუკასლი" 2:2) და ერთხელაც დამარცხდნენ ("ვესტ ბრომვიჩი" 0:2). *"მადლობა ყველას, ვინც ჩათვალა, რომ მე თვის საუკეთესო მწვრთნელის ტიტულს ვიმსახურებდი. ჩვენ აგვისტოში კარგი დებიუტი გამოგვივიდა. საბრძოლო განწყობა სექტემბერშიც შევინარჩუნეთ. ცხადია, ეს გარემოება გვიხარია, მაგრამ სამომავლო პერსპექტივებზე ლაპარაკს მაინც ვუფრთხი. ჯერ სულ შვიდი მატჩია გამართული და ჩემპიონატის მონაწილეთა შემადგენლობას თუ გავითვალისწინებთ, ჩემპიონთა ლიგაში გაძვრომა ძალიან გაგვიჭირდება. თუმცა იმის თქმაც არ მსურს, რომ ჩვენ ამის გაკეთება არ შეგვიძლია. თუკი ცხრილში ქვემოთ დავიწევთ, დაე, იყოს ევროპა ლიგის საგზური,"* – განაცხადა მოიესმა.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

## უცხოური ფეხბურთი

ინტერვიუ. არტურო ვიდალი

# ეს ჩილეს საუკეთესო თაობაა

არტურო ვიდალი ჩილეს ნაკრების და ტურინის "იუვენტუსის" ერთ-ერთი ლიდერი და შეუცვლელი ფეხბურთელია. ტურინში შარშან, ლევერკუზენის "ბაიერიდან" გადასული ვიდალი ახალ გუნდს მალე შეეწყო და "იუვეს" წაუგებლად გაჩემპიონებაში დიდი წვლილიც შეიტანა. "ბებერმა ქალბატონმა" ეს სეზონიც მშვენივრად დაიწყო და ჯერაც დაუმარცხებელია, თუმცა 25 წლის ვიდალს ახლა სხვა საფიქრალი აქვს – ჩილეს ნაკრებს მუნდიალის შესარჩევის ორი მნიშვნელოვანი მატჩი ელის. ამ და სხვა საკითხებზე ფეხბურთელს ფიფას ოფიციალური საიტი გაესაუბრა.

**- 2011 წლის კოპა ამერიკაზე აშკარა ჩავარდნა მოჰყვა. რა არის თქვენი შემდეგი მიზანი?**

- რა თქმა უნდა, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურის მოპოვება, ხოლო უკვე ბრაზილიაში ჩვენ დიდი მიზნები გვექნება. დიდ მიზნებში ტიტულისთვის ბრძოლას ვგულისხმობ. 2010 წლის მუნდიალი ჩვენთვის პირველი იყო და ძალიან დიდი გამოცდილებაც მივიღეთ, აი ბრაზილიაში კი სულ სხვა განწყობით ჩავალთ.

**- ისე საუბრობთ, თითქოს საგზურის მოპოვებაში დარწმუნებული ბრძანდებით...**

- მე ვიცი, რომ ამისთვის საკმარისად კარგი გუნდი გვყავს. კოლუმბიასთან მტკივნეული მარცხი განვიცადეთ (1:3), მაგრამ ამ წაგებიდან დასკვნები უკვე გამოვიტანეთ. არ დაგავიწყდეთ, რომ ცოტა ხნის წინ საკვალიფიკაციო ჯგუფში ვლიდერობდით. ახლა ჩვენი მიზანი სამეულში დაბრუნება და იქ დარჩენაა.

**- ჩილეს ეროვნულ გუნდში უამრავ პოზიციაზე მოგიწიათ თამაში: ცენტრალურ ნახევარმცველად, ფლანგის ნახევარმცველად, გამთამაშებლად, დაცვის ფლანგზე და დაცვის ცენტრშიც კი. სად გრძნობთ თავს ყველაზე უკეთ?**

- საიდუმლო არავისთვის არის, რომ თამაში ყველაზე მეტად ცენტრალური ნახევარმცველის პოზიციაზე მირჩევნია. მიყვარს, როდესაც მოვლენების ეპიცენტრში ვარ, მოედნის მთლიან პანორამას ვხედავ და მაქვს საშუალება, დაცვა და თავდასხმა შევაკავშირო, თუმცა სხვა პოზიციებზე თამაშის პრობლემა არასდროს მქონია. მე მზად ვარ ვითამაშო იქ, სადაც ეროვნულ გუნდს, თუ კლუბს დაჭირდება.

**- მიგაჩნიათ, თუ არა, რომ ახლა კარიერის საუკეთესო პერიოდი გაქვთ?**

- ალბათ ასეა. გერმანიაშიც ყველაფერი ძალიან კარგად იყო, მაგრამ ახლა მე მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი ისტორიის მქონე გუნდის ფეხბურთელი ვარ, თან შარშან ჩემპიონები ისე გავხდით, რომ თამაში არ წაგვიგია. ვფიქრობ, როგორც ჩემი, ასევე კლუბის ხელმძღვანელთა იმედები გავამართლე.

**- გიკვირთ "იუვენტუსის" ასეთი კარგი თამაში?**

- ვიცოდი, რომ გუნდს ბოლო წლებში კარგი შედეგები არ ჰქონდა, მაგრამ ისიც ვიცოდი, რომ ევროპის ერთ-ერთ გრანდში გადავდიოდი. ვფიქრობდი, რომ ჩემპიონობისთვის ბრძოლა შეგვეძლო, მაგრამ ტურნირის წაუგებლად დასრულებას ნამდვილად არ ველოდი. იტალიის ჩემპიონატი ძალიან რთული პირველობაა და ამის გამო ჩვენი მიღწევა ორმაგად დასაფასებელია.

**- მოახერხებს "იუვენტუსი" ჩემპიონობის შენარჩუნებას, თუ გუნდი წელს აქცენტს ჩემპიონთა ლიგაზე გააკეთებს?**

- ახალწვეულებმა გაგვაძლიერეს, რაც საშუალებას მოგვცემს, რომ სკუდეტოც მოვიგოთ და ჩემპიონთა ლიგაშიც კარგად ვითამაშოთ... ნება მომეცით შევასწორო, კარგად კი არ ვითამაშოთ, არამედ მოვიგოთ, რადგან "იუვე" ყველა იმ ტურნირის მოსაგებად იბრძვის, რომელშიც თამაშობს.

**- ინგლისში ან ესპანეთში თამაშზე თუ გიფიქრიათ?**

- კი, მიფიქრია, მაგრამ არაერთხელ მითქვამს, რომ მე აქ ბედნიერი ვარ და კარიერის ბოლომდე ტურინში დარჩენა მსურს.

**- დაბოლოს, ფეხბურთის თამაში ისევ გიხარიათ?**

- რა თქმა უნდა! იმედი მაქვს, რომ ჩემი ცხოვრების ბოლომდე ასე იქნება. ფეხბურთის თამაშისგან ყოველდღე უდიდეს სიამოვნებას ვიღებ.




არტურო ვიდალი: მიყვარს, როდესაც მოვლენების ეპიცენტრში ვარ

**- ეთანხმებით თუ არა იმ მოსაზრებას, რომ ეს თაობა საუკეთესოა ჩილეს ისტორიაში?**

- დიახ! წინა წლებში ჩილეს გამორჩეული ფეხბურთელები ყოველთვის ჰყავდა, მაგრამ ამდენი ერთად - არასდროს. ახლა ერთბაშად რამდენიმე ჩილელი ფეხბურთელი თამაშობს კარგად, როგორც ევროპის წამყვან საფეხბურთო ჩემპიონატებში, ასევე ჩილეს ნაკრებში, ეს კი ჩვენთვის სიახლეა. მე ვამაყობ, რომ ამ პროცესების მონაწილე ვარ.

**- ჩილემ 2010 წელს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე 12-წლიანი პაუზის შემდეგ გააღწია, ამას კი**

**ტატო ბაციკაძე**

ჰოლანდიის ნაკრები

# დუგლასი დებიუტისთვის ემზადება

"ტვენტეს" მცველი **დუგლასი ლუის ვან გაალმა** ჰოლანდიის ნაკრებში გამოიძახა. 24 წლის, წარმოშობით ბრაზილიელმა ფეხბურთელმა ჰოლანდიის მოქალაქეობა გასული წლის დეკემბერში მიიღო, ახლა კი უკვე ეროვნულ გუნდშიც უხმეს.

*"ძალიან ბედნიერი ვარ, ეს მართლაც განსაკუთრებული დღეა. მოქალაქეობის მისაღებად ბევრი ვიშრომე და ვისწავლე. თავიდან მიჭირდა, მაგრამ ნელ-ნელა ენა უკეთ შევისწავლე და ახლა კარგად ვსაუბრობ, ჰოლანდიის ისტორიაც კარგად ვიცი. "ორანიეს" რიგებში მოხვედრაზე დიდხანს ვოცნებობდი და ეს დღეც დადგა"* – განაცხადა ბედნიერმა დუგლასმა, რომელიც უკვე ხუთი სეზონია "ტვენტეში" თამაშობს და ჰოლანდიელი მეუღლე ჰყავს.

ზაფხულში დუგლასის მიმართ ინტერესს "ნიუკასლი" და "ფულჰემი" იჩენდნენ, მაგრამ მცველი ენსხედეში დარჩა, თუმცა ჟურნალისტების ცნობით, ინგლისური კლუბები მისი სამსახურით კვლავ დაინტერესებულნი არიან.

შეგახსენებთ, რომ ლუის ვან გაალის გუნდს შესარჩევი ეტაპის ორი მატჩი ელის: 12 ოქტომბერს ანდორასთან, ხოლო 16 ოქტომბერს რუმინეთთან. ბარემ აქვე იმ ფეხბურთელებს შეგახსენებთ, რომლებიც მწვრთნელმა ამ მატჩებისთვის გამოიძახა:

მეკარეები: **მაარტენ სტეკელენბურგი (რომა), მიხელ ვორმი (სუონსი), კენეტ ვერმეერი (აიაქსი).**

მცველები: **ჯონ ჰეიტინგა (ევერტონი), რონ ვლაარი (ასტონ ვილა), ბრუნო მარტინს ინდი (ფეიენოორდი), რიკარდო ვან რინი (აიაქსი), დერილ იანმაატი (ფეიენოორდი), ნიკ ვირგევერი (ალკმაარი), დუგლასი (ტვენტე).**

ნახევარმცველები: **რაფაელ ვან დერ ვაარტი (ჰამბურგი), ნაიჯელ დე იონგი (მილანი), იბრაჰიმ აფელაი (შალკე), ურბი ემანუელსონი (მილანი), კევინ სტროოტმანი (პსვ ეინდჰოვენი).**

თავდამსხმელები: **დირკ კუიტი (ფენერბაჰჩე), რობინ ვან პერსი (მანჩესტერ იუნაიტედი), კლაას-იან ჰუნტელაარი (შალკე), ჯერმეინ ლენსი (პსვ ეინდჰოვენი), ლუსიანო ნარსინგი (პსვ ეინდჰოვენი), რუბენ შაკენი (ფეიენოორდი).**




დუგლასი "ფულჰემის" წინააღმდეგ

**ტატო ბაციკაძე**

ამბები



ეროვნული ბიბლიოთეკა

### სკოლარი შესაძლოა სპორტინგში დაინიშნოს

პრესაში გავრცელებული ცნობების თანახმად, **ლუიშ ფელიპე სკოლარი** შესაძლოა ლისაბონის "სპორტინგის" მთავარი მწვრთნელი გახდეს. სკოლარი დაახლოებით ერთი თვის წინ "პალმეირასიდან" გაუშვეს, ხოლო ლისაბონელებმა მწვრთნელი **რიკარდო სა პინტუ**, დაკავებული თანამდებობიდან პარასკევს გაათავისუფლეს.

პორტუგალიური გაზეთი "რეკორდი" იუწყება, რომ "ფელიპაოს" აგენტი **ჟორჟე მენდეში** (რომელსაც ხშირად სუპერაგენტადაც მოიხსენიებენ), "სპორტინგის" ხელმძღვანელობას უკვე ელაპარაკა, თუმცა ეს ცნობა სკოლარის პრესატაშემ უარყო. **აკას ფელეგერმა** შემდეგი რამ განაცხადა: *"სკოლარი ახლა თავის ოჯახთან ერთად სან პაულოშია. მან იცის "სპორტინგის" ინტერესის შესახებ, მაგრამ ლისაბონიდან არც მას და არც ჟორჟე მენდეშს არავინ დაკავშირებია".*

ლისაბონის "სპორტინგი" პორტუგალიის ჩემპიონატში ხუთი შეხვედრის შემდეგ, 6 ქულით მეშვიდე ადგილზეა, ხოლო ევროპალიგაზე ჯგუფში უკანასკნელ პოზიციას იკავებს.



### პაპა ბუბა დიოპი ინგლისში ბრუნდება

სენეგალის ნაკრების ყოფილი ლიდერი **პაპა ბუბა დიოპი**, რომელიც "ვესტ ჰემიდან" წასვლის შემდეგ უმუშევარი იყო, რამდენიმე დღეში კონტრაქტს "ბირმინგემთან" გააფორმებს. 34 წლის საყრდენი ნახევარმცველი "ვესტ ჰემამდე" "პორტსმუთში" თამაშობდა, სადაც 2008 წელს ასოციაციის თასი მოიგო.

"ბირმინგემი", რომელსაც **ლი კლარკი** წვრთნის, მძიმე მდგომარეობაშია – გუნდი ჩემპიონშიპში 24 გუნდს შორის, 21-ე ადგილს იკავებს.

### რამირესი ექვსი კვირით

ურუგვაის ნაკრების და "საუთჰემპტონის" ნახევარმცველი **გასტონ რამირესი** კლუბს და ნაკრებს დაახლოებით 6 კვირით დააკლდება. 21 წლის ფეხბურთელმა ტრავმა "წმინდანების" ვარჯიშზე მიიღო და "ფულჰემთან" მატჩიც გამოტოვა. როგორც სამედიცინო შემოწმებამ აჩვენა, რამირესი ვერც ურუგვაის დაეხმარება, არადა "სელესტეს" ორი ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი ელის, 12 ოქტომბერს არგენტინაში და 16 ოქტომბერს ბოლივიაში.

შეგახსენებთ, რომ გასტონ რამირესი ამ სეზონის დაწყების წინ გადავიდა "ბოლონიადან" "საუთჰემპტონში". "წმინდანებმა" მასში 18 მილიონი ევრო გადაიხადეს, რაც კლუბისთვის სარეკორდო თანხაა.

**ტატო ბაციკაძე**

### ლორისი პირველი ნომერი არ არის

მართალია, 25 წლის **უგო ლორისმა** უქმეებზე "ასტონ ვილასთან" ითამაშა და მშვენიერი შთაბეჭდილებაც დატოვა, მაგრამ გუნდის მთავარი მწვრთნელის თქმით, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მან 41 წლის **ბრედ ფრიდელს** ძირითადში ადგილი წაართვა. თავად უგო კი მშვიდად ელოდება თავის შანსს და დარწმუნებულია, რომ მომავალ წელს მაინც შეძლებს "დეზების" სასტარტოში ადგილის დამკვიდრებას. ფრიდელი სეზონის დასრულებისთანავე აპირებს ფეხბურთიდან წასვლას. იქამდე კი მას 42 წელი შეუსრულდება.





### ჯონსი ჩელსისთვის მზად იქნება

"მანჩესტერ იუნაიტედის" ვებგვერდის ცნობით, **ფილ ჯონსმა** სექტემბერში მუხლზე გადატანილი ოპერაციის შემდეგ სარეაბილიტაციო კურსი უკვე დაასრულა და სრულფასოვან ვარჯიშს შეუდგა. 20 წლის უნივერსალი მცველი "ჩელსისთან" 28 ოქტომბერს დანიშნული პრინციპული მატჩისთვის უკვე მზად უნდა იყოს. მიმდინარე სეზონში ფეხბურთელს მოედანზე ჯერ ფეხი არ შეუდგამს. *"ფილი თავდაუზოგავად მუშაობს. იმის თქმაც შეიძლება, რომ მისი გამოჯანმრთელების პროცესი დაგეგმილზე ბევრად უფრო სწრაფად მიმდინარეობს,"* – განუცხადა "მანჩესტერ ივნინგ ნიუსს" კლუბის პრესსამსახურის წარმომადგენელმა.

**ლევან ბიბილაშვილი**

ინტერვიუ. ანდრეა სტრამაჩონი

# სულით ხორცამდე ინტერისტა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მილანური დერბი აპენინურ სპორტულ პრესაში ყველაზე აქტუალური საკითხია. ყურადღების ცენტრში რჩება ანდრეა სტრამაჩონი, რომელიც იმდენად ემოციურად უძღვებოდა თავისი გუნდის თამაშს, რომ მასზე მთელი იტალია ალაპარაკდა. ბუნებრივია, ანდრეაზე ჟურნალისტებმა ნადირობა გამოაცხადეს და მისი კომენტარებიც უხვად გამოქვეყნდა. რადიო Anch'io Lo Sport-მა "ნერაძურის" 36 წლის მესაჭესთან საინტერესო ინტერვიუ ჩაწერა, რომლის ბეჭდურ ვერსიასაც ქვემოთ გთავაზობთ...**



ანდრეა სტრამაჩონი დერბიში გამარჯვების შემდეგ

**- ახლო წარსულში არავინ გიცნობდათ, დღეს კი თქვენზე მთელი იტალია ლაპარაკობს. როგორი განცდაა?**

- მახსოვს, როდესაც "ინტერის" მთავარ მწვრთნელად დამნიშნეს, ჩემს გვარს ყველა დამახინჯებით ამბობდა. დღეს, განსხვავებული ვითარებაა, ყველა მიცნობს, რაც, რა თქმა უნდა, სასიამოვნოა. თუმცა, ამაზე ნაკლებად ვფიქრობ და საქმეზე ვარ კონცენტრირებული. "ინტერის" მესვეურებმა უდიდესი ნდობა გამომიცხადეს და ყველაფერს ვაკეთებ, რომ ეს ნდობა გავამართლო.

**- მილანურ დერბიში ალბათ კარიერის ყველაზე მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეთ...**

- ხშირად მომისმენია მწვრთნელების კომენტარი იმის შესახებ, რომ ნებისმიერ შეხვედრას ჩვეულებრივად ეკიდებიან და იმ სამი ქულისთვის იბრძვიან, რომელიც სასწორზე დევს. ჩემი აზრით, არის გამორჩეული შეხვედრები, რომელთა მოგება ამ სამ ქულაზე ბევრად მეტია და დერბი სწორედ ასეთ მატჩთა კატეგორიას მიეკუთვნება. ვფიქრობ, რომ "მილანთან" გამარჯვება სამ შეხვედრაში მოგებას უდრიდა, რადგან უშუალო კონკურენტის ძლევასთან ერთად, უდიდესი ფსიქოლოგიური უპირატესობა მოვიპოვეთ.

**- მაინც რით აჯობეთ თანაქალაქელს?**

- მხოლოდ მონდომებითა და თავდადებით რომ ასეთ თამაშებს ვერ მოიგებ, ცხადია. მთელი შეხვედრა აბსოლუტურად სწორად წარვმართეთ და დამსახურებულ გამარჯვებას მივაღწიეთ. მეორე ტაიმი კაცნაკლული ვიყავით, მაგრამ დროულად გადავაწყვეთ უკანა ხაზი და არსებული ხარვეზები აღმოვფხვერით. თითოეულმა ფეხბურთელმა კარგად იცოდა, რა უნდა ეკეთებინა მოედანზე, რასაც ზემოთ აღნიშნული მონდომება და თავდადება დაემატა.

**- ამბობენ, რომ "მილანია" სუსტი და ამან ამოცანა გაგიადვილათ...**

- "მილანი" ნამდვილად არ არის სუსტი გუნდი და ამაში მალე დარწმუნდებით. მათ ეს დერბის დროსაც დაამტკიცეს, როდესაც დროის უმეტესი ნაწილი შეტევაში გაატარეს და საკმაოდ კარგადაც ირჯებოდნენ. შეუძლებელია "მილანი" სუსტი იყოს, რადგან ამ გუნდს გამარჯვება სისხლში აქვს. თუმცა, უკეთესზე უკეთესი არ დაილევა და "როსონერი" რომ კიდევ უფრო ძლიერი ყოფილიყო, შეიძლება ვერც მოგვეგო. ეს მხოლოდ ვარაუდები და მკითხაობაა, რაც დღეს არაფერში გვჭირდება. არსებული რეალობა ისეთია, როგორიც არის.

> **როდესაც "ინტერის" მთავარ მწვრთნელად დამნიშნეს, ჩემს გვარს ყველა დამახინჯებით ამბობდა**

**- რა პოტენციალი აქვს "ინტერს", რის მიღწევას აპირებთ მიმდინარე სეზონში?**

- ჩვენი მიზანია, რომ "ინტერი" იმ სიმაღლეზე დაბრუნდეს, რომელიც ჟოზე მოურინიოს დროს ეკავა. ამ გუნდს შესწევს მწვერვალების დაპყრობის უნარი და იმედია, ამის მომსწრენი ყველანი ერთად გავხდებით. შემდეგი მიზანი უკვე მწვერვალზე შენარჩუნება იქნება; რადგან მე სულით ხორცამდე "ინტერისტა" ვარ, ამ გუნდის წარმატებებით ვერასდროს „გავძღები". ამით იმის თქმა მინდა, რომ ჟოზეს მსგავსად, ახალი გამოწვევებისთვის არსად წასვლას არ ვაპირებ. თუმცა, ისიც კარგად მესმის, რომ ჯერ ამაზე ფიქრიც კი ადრეა და ჯობია, უფრო ახლო მიზნებზე ვიზრუნოთ.

**- სწორედ ახლო მიზნებზე გვსურს თქვენი პოზიციის მოსმენა...**

- რომ გითხრათ, "ინტერის" სანუკვარი მიზანი ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებააო, ნამდვილად არ ვიქნები მართალი. ჩვენ სკუდეტო გვსურს და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ჩემპიონობისთვის ვიბრძოლოთ. კონკურენტები ძალიან ძლიერი გვყავს, მაგრამ არც ჩვენ ვართ ჯაბანნი. ვფიქრობ, სეზონის მეორე ნახევარში კიდევ უკეთესად ავთამაშდებით, რადგან დღეს, შეთამაშების მხრივ გარკვეული პრობლემები გვაქვს.

**- ახალწვეულებიდან ვინ გაამართლა ყველაზე მეტად?**

- არ შემიძლია, რომ ანტონიო კასანო არ გამოვყო, რომელიც თავის საქმეს შესანიშნავად აკეთებს. მასთან ერთად წყვილში დიეგო მილიტოც უფრო ნაყოფიერია და მთლიანობაში, თავდამსხმელთა ბრწყინვალე ტანდემი მივიღეთ. ამასთან, კასანო ყველაზე უფრო მონდომებულია ვარჯიშებზე და ყველასთვის სამაგალითოდ იქცევა. ვერაფრით ვხვდები, რატომ ამბობენ მასზე რომ ჭირვეულია და პრობლემებს ქმნის. "ინტერში" მსგავსი არაფერი ხდება.

**- ჯერ ძალიან ახალგაზრდა ხართ, არ გიჭირთ ამდენ ვარსკვლავთან საერთო ენის გამონახვა და მათი ერთი ინტერესის ქვეშ გაერთიანება?**

- გარკვეული პრობლემები ნამდვილად არის, მაგრამ ეს ჩვეულებრივი მუშა პროცესია. საბედნიეროდ, "ინტერში" ისეთი ფეხბურთელები თამაშობენ, რომლებიც პასუხისმგებლობით ეკიდებიან თავიანთ საქმეს და გუნდურ ინტერესებს. როგორ შეიძლება ხავიერ ძანეტისთან მოუგვარებელი პრობლემა შეგექმნას, პირად ჩემთვის, ეს წარმოუდგენელია. ასე რომ, ყველაფერი კონტროლზეა და ამ მხრივ, ნამდვილად ვუმკლავდები საქმეს.

**- რა შეიძლება ჩაითვალოს თქვენს მთავარ მიღწევად "ინტერის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე და რას ჰპირდებით გულშემატკივრებს?**

- თაობათა ცვლის პროცესი სწორედ მე დავიწყე და ყველანაირად ვცდილობ, რომ ეს შედეგებზე არ აისახოს. თავად განსაჯეთ, რამდენიმე შეხვედრაში ძირითად შემადგენლობაში ერთბაშად ხუთი თინეიჯერი გვყავდა. ეს იმას ნიშნავს, რომ "ინტერს" დიდი მომავალი აქვს და ამ ახალ "ინტერს" სწორედ მიმდინარე სეზონში ეყრება საფუძველი. მიუხედავად გარდამავალი პერიოდისა, ჩვენი მიზნები ისევ უმაღლესია და ვპირდები ყველას, რომ თითოეულ შეხვედრაში მოედანზე მხოლოდ სამი ქულისთვის გავალთ.

მილანი



ადრიანო გალიანის აზრით, სტეფან ელ შაარავი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი გახდება

## გალიანიმ თავი შეიქო

### ელ შაარავი ინტერს და იუვენტუსს სურდათ

"მილანის" მესვეურებს არც ზაფხულის ტრანსფერებით შეუძლიათ ტრაბახი და არც მიმდინარე სეზონში გუნდის მიერ ნაჩვენები შედეგებით. თუმცა, **ადრიანო გალიანიმ** მაინც მონახა საბაბი, რომ საკუთარი თავი შეექო:

*"სტეფან ელ შაარავი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ტალანტია, რომელიც ჯერ მხოლოდ 19 წლისაა და დარწმუნებული ვარ, რომ ერთ მშვენიერ დღეს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი გახდება. მისი გადაბირება "ინტერს" და "იუვენტუსს" სურდათ, მაგრამ სანამ ისინი ფიქრობდნენ, ჩვენ ვიმოქმედეთ და ტრანსფერი გავჩარხეთ. გასულ სეზონში, სტეფანმა მხოლოდ ორი გოლი გაიტანა, მაგრამ სათამაშო დრო პრაქტიკულად არ ეძლეოდა. მიმდინარე სეზონში, უკვე ოთხი გოლი აქვს გატანილი და ვფიქრობ, კიდევ ბევრს გაიტანს. ელ შაარავი რაღაცით ანდრეი შევჩენკოს მაგონებს, რომელიც ასევე მრავალმხრივი ნიჭით გახლდათ დაჯილდოებული. ანდრეიც და სტეფანიც თანაბარი წარმატებით აგვირგვინებენ და იწყებენ იერიშებს - შესაძლოა, შევჩენკო უკეთ თამაშობდა მეორე სართულზე, მაგრამ ელ შაარავის აქვს დრო, რომ ამ კომპონენტზე იმუშაოს".*

მოსაზრება

## ერნანესი: მხოლოდ უმაღლესი მიზნებისთვის

"ლაციომ" მიმდინარე სეზონი საკმაოდ კარგად დაიწყო და სერია A-ს სატურნირო ცხრილშიც მაღალი ადგილი უკავია. გასულ ტურში, რომაელებმა "პესკარა" დაამარცხეს და ლიდერებთან ოთხქულიანი ჩამორჩენა შეინარჩუნეს. ანუ, ჯერჯერობით "ბიანკოჩელესტე" უმაღლესი მიზნებისთვის იბრძვის და თუ გუნდის 27 წლის შემტევ ერნანესს დავუჯერებთ, სეზონის ბოლომდე ასე იქნება:

*"სეზონი ძალიან კარგად დავიწყეთ და დარწმუნებული ვარ, რომ ასევე გავაგრძელებთ. ჩვენი მიზანი მინიმუმ ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაა, რისი რესურსი ნამდვილად შეგვწევს. ჩემი თამაშითაც კმაყოფილი ვარ და ამას ზედმეტი თავმდაბლობის გარეშე ვიტყვი. იტალიაში უკვე მესამე სეზონს ვთამაშობ და მხოლოდ წელს შემიძლია ვთქვა, რომ ადაპტაცია ბოლომდე გავიარე. თავიდან ძალიან გამიჭირდა, რადგან მცველების მარწუხებს ვერ გავურბოდი, თუმცა თანდათან, ყველაფერი დალაგდა. ერთი ნამდვილად შემიძლია ვთქვა: თუ იტალიურ ფეხბურთს ალღოს აუღებ, შემდეგ ყველგან გაგიადვილდება თამაში".*



ერნანესი "პესკარასთან" შეხვედრისას ერთ-ერთი საუკეთესო იყო

პოზიცია



ფრანჩესკო ტოტი

## ტოტი კარიერის დასრულებაზე არ ფიქრობს

იტალიურ სპორტულ პრესაში პერმანენტულად ვრცელდება ცნობები იმის შესახებ, რომ მიმდინარე სეზონის დასრულებისთანავე **ფრანჩესკო ტოტი** ბუცებს ლურსმანზე ჩამოკიდებს. 36 წლის "იმპერატორი" 1992 წლიდან "რომას" მთავარ გუნდში ასპარეზობს, ამ ხნის განმავლობაში 507 მატჩი აქვს ჩატარებული და 216 გოლი გატანილი. როგორც თავად ტოტი აცხადებს, ეს ისტორია კიდევ გაგრძელდება და არა ერთი წელი:

*"სიმართლე გითხრათ, ვერ ვხვდები, რატომ ვრცელდება ასეთი ცნობები. "რომასთან" კიდევ ორწლიანი ხელშეკრულება მაკავშირებს, რომლის გაწყვეტასაც არ ვაპირებ. დადგება დღე, როდესაც ყველას მადლობას გადავუხდი და კარიერას დავასრულებ, თუმცა იქამდე კიდევ დიდი დროა დარჩენილი. ასე რომ, ჯობია მოვრჩეთ ამ თემით სპეკულირებას და კონცენტრირება სხვა თემებზე მოვახდინოთ. პირადად მე მხოლოდ მომდევნო პაექრობაზე და იმ მიზნებზე ვფიქრობ, რომლებიც მიმდინარე სეზონში გვაქვს დასახული".*

**გვერდი მოამზადა ლაშა წიკლაურმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კიდევ ერთხელ კლასიკოზე

# კლასიკური დასკვნები

**დღეისათვის შესაძლებელი ვარიანტებიდან საუკეთესო საფეხბურთო მატჩის ყურება „ბარსელონას“ და „რეალის“ დაპირისპირებაში შეიძლება. ამიტომაც, კლასიკოზე კარგა ხანს საუბრობენ, მაშინაც კი, როცა ის ჩავლილია. მაშ ასე, „მარკა“ კიდევ ერთხელ შეეხო 2:2 დასრულებულ სუპერმატჩს და 10 დასკვნა დადო.**

**სტატიაში აგრეთვე იხილავთ თამაშის ტაქტიკურ გარჩევას, გაიგებთ, რას ნიშნავს რონალდოს ახალი ვარცხნილობა და რამდენი წლისა დაეწევა პორტუგალიელი ესპანური ფეხბურთის ლეგენდას, ასევე გეტყვით, როდის თამაშობს ტიტო ვილანოვა ცეცხლთან...**



ლეო მესი მუდამ რეალის ფეხბურთელთა დევნის ობიექტი იყო

## 10 ვერდიქტი

1 **ლა ლიგაში ინტრიგა მოკვდა?** ვინ თქვა, ჯერ რა დროსია! 8-ქულიანი უპირატესობა დიდია, მაგრამ ჯერ ხომ მხოლოდ 7 ტურია ნათამაშები. ასეც რომ არ იყოს, შეხედეთ „ატლეტიკოს“!

2 **მესი-რონალდო**: კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რას ნიშნავენ ეს ფეხბურთელები თავიანთი გუნდებისთვის და მსოფლიო ფეხბურთისთვის. თანამედროვე ფეხბურთის ორი ფენომენი.

3 **ტიტო-მოუ**: ამ ორს შორის ურთიერთპატივსაცემი და სპორტული ურთიერთობა შეიმჩნეოდა, რამაც კლასიკოს ტემპერატურა დააგდო. ამის წარმოდგენაც კი ჭირდა ცნობილი ინციდენტის მერე. ჩვენ კი არა, ტიტო ვილანოვას უკვირს, ჟოზე ადრე არ მესალმებოდა, ახლა კი პატივს მცემსო.

4 **მოუ და მსაჯები**: მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე ჟოზე მოურინიომ ვირტუოზულად, დიპლომატიურად ისაუბრა მსაჯობაზე, რომელიც მას არ მოეწონა.

5 **მსაჯი: დელგადო ფერეირომ** გადამწყვეტ მომენტებში მართებული გადაწყვეტილებები მიიღო. არ იყო პენალტი **პეპეზე ინიესტას** წინაალმდეგ და არც **მასკერანოს** დაურღვევია საჯარიმოში თამაშის წესი **იოზილთან** ორთაბრძოლისას.

6 **პეპე და თეატრი**: ბარსელონას ფეხბურთელთა მსახიობობაზე სჯობს სხვა პიროვნებამ ილაპარაკოს. ტიტოს პასუხი იყო ბრწყინვალე პეპეს ფრაზებზე. სხვათა შორის, მართლა კარგი იდეაა პეპეს „ვაჟკაცობებზე“ მინი-ფილმის გადაღება.

7 **კასილიასი-ვალდესი**: ისე მოხდა, რომ საქმე თითქმის არ ჰქონიათ - 4-დან მხოლოდ 1 ბურთის აღება იყო შესაძლებელი (პირველის).

8 **ვილია**: საოცარია, რომ ვერ ვიხილეთ „ელ გუახე“, ის ნელ-ნელა შედის ფორმაში, მაგრამ ტიტოს აზრით, ასეთი თამაშებისთვის პირველი არჩევანი აღარ არის.

9 **ბარსას დაცვა**: **პუიოლის, პიკეს, დანი ალვეშისა** და **აბიდალის** გარეშე (ტაიმ-ნახევარი ზუსტად ასე იყო) ეს ის „ბარსა“ აღარ არის. საინტერესოა, როგორ აპირებს ტიტო ამ პრობლემის მოგვარებას უახლოეს მომავალში.

10 **ბენზემა-იგუაინი**: მოურინიომ ფრანგი არჩია, მაგრამ ბენზემამ სათანადოდ ვერ ითამაშა, ვერც მის ნაცვლად შემოსულმა არგენტინელი ჩაერთო მატჩში სათანადოდ. პასუხი - არც ერთი.

## კლასიკოს ტაქტიკური გარჩევა

მასპინძლებმა 4-3-3-ით ითამაშეს, ხოლო სტუმრებმა 4-2-3-1-ით. ტიტოს მთავარი სიურპრიზი **ადრიანოს** (და არა **სონგის** ან **ბარტრას**) დაყენება იყო ჟერარდ პიკეს პოზიციაზე. **ანდრეს ინიესტა** მარცხენა ფლანგიდან, უფრო სიღრმიდან უტევდა. ჟოზემ შემადგენლობა არ შეცვალა, მესუთ იოზილმა ითამაშა გამთამაშებლად, არ მოინახა **ესიენისა** და **მოდრიჩის** ადგილები. იგუაინს პორტუგალიელმა ბენზემა არჩია.

**მატჩი განვითარდა ცნობილი სცენარით**: „ბარსა“ ბურთს ფლობს, „რეალი“ სწრაფი კონტრშეტევებით იჩხვლიტება. ტაქტიკაში ცვლილება ბევრი არ იყო. ინიესტა უჩვეულო როლს თამაშობდა „ბარსას“ სქემაში - სიღრმეში შემოსული მარცხენა გარემარბისა თუ ფართოდ მოთამაშე ცენტრალური ნახევარმცველის როლს. ანდრესის მიზანი **არბელოას** თავისი პოზიციიდან გამოტყუება იყო. **სესკი** ფაქტობრივად თავისუფალი იყო დირექტივებისგან. კლასიკოს დროს მოურინიოს 4-4-1-1 ან 4-5-1 გამოუყენებია, მაგრამ ამჯერად მან თავი შეიკავა ექსპერიმენტებისგან. გუნდს ეტყობოდა, რომ ჩვეული სქემის დარღვევა არაფრით არ უნდა მომხდარიყო, ეს იყო მოუს დირექტივა. **დი მარია** უფრო სიღრმიდან თამაშობდა, ვიდრე იოზილი და რონალდო. **ჩაბი ალონსო** ცდილობდა **ჩავისთვის** სივრცის მოსპობას, ჩავი კი უჩვეულოდ უკნიდან თამაშობდა.

**„ბარსას“ მიზნები და შესრულება**: „ბარსას“ მიზანი არ იყო ნახევარდაცვაში უპირატესობის მოპოვება, არამედ, გამწვავება, მაგრამ თავიდან გუნდს ეს არაფრით გამოსდიოდა, მცველთა ზურგს უკან პასები არ გადიოდა. ფაბრეგასი ვერ სარგებლობდა ინიესტას მიერ ზონის განთავისუფლებით და ცენტრიდან არ გამოდიოდა, მხოლოდ **ალბას** ჩართვები არ იყო საკმარისი. სანამ მესი დუმდა, „ბარსას“ ფეხბურთელთაგან ყველაზე სახიფათო და არაორდინარული **პედრო** იყო, თუმცა პირველი გოლის ეპიზოდში მას ინიესტა მიეშველა, ის მოულოდნელად გადავიდა მარჯვენა ფლანგზე, **მარსელო** კი ორად ვერ გაიჭრებოდა, პედროს ჩაწოდებაც გავიდა (პეპეს შეცდომის გამო) და მესიმ საპასუხო გოლი გაიტანა.




კიდევ ერთი კარიკატურა უცხოპლანეტელების თემაზე. „კონსპირაცია“, მესი რონალდოს - ადამიანები დავიპყარით

**„რეალის“ მიზნები და შესრულება**: თავიდან „რეალი“ უფრო ახერხებდა ჩანაფიქრის განხორციელებას, ამას ხელს უწყობდა უფრო მოქნილი სქემა, რომლის დაშლასაც ყოველმხრივ გაურბოდა მოურინიო. „რეალი“ ახერხებდა სახიფათო ჩაწოდებების შესრულებას. იოზილი პირველ ტაიმში ვერ კომბინირებდა, მაგრამ მუდამ თავისუფალი ზონების ძიებაში იყო, რითაც მასპინძელთა მცველებს ქანცავდა. საინტერესო დეტალი, როცა რონალდომ გაიტანა, ეს უკვე „რეალის“ მესამე მომენტი იყო და **დანი ალვეშის** პოზიციიდან. როცა ბრაზილიელმა ტრავმა მიიღო, **მონტოიამ** უკეთ გადაკეტა ზონა. ასე რომ, „ბარსას“ ეს ცვლილება უდავოდ წაადგა. „რეალი“ იყო პირდაპირი შეტევებისას, გუნდი მცირე რესურსითად ახერხებდა ამას, ჩაწოდებები კი ძალიან სახიფათო იყო, რადგან ისედაც დაბალი „ბარსა“ კვირას კიდევ უფრო დაბალი იყო, **სერხიო რამოსს** სანტიმეტრები დააკლდა თავურ გოლამდე. მართალია, ბენზემა უშნოდ ურტყამდა, მაგრამ კარგად კომბინირებდა თანაგუნდელებთან.

**მეორე ტაიმი**: მესი გამოცოცხლდა, ფაბრეგასმა იკადრა მარცხნივ გადასვლები. ტიტომ პირველ ცვლილებას მიმართა, მაგრამ **ალექსის სანჩესმა** ვერ გაამართლა. იოზილი ძალიან სახიფათო გახდა, რაც მის ბრწყინვალე საგოლე გადაცემაშიც გამოიხატა. ბოლო 20 წუთი ბურთი სულ „ბარსასი“ იყო, მაგრამ მომენტები ვერ იქმნებოდა, თუ არ ჩავთვლით მონტოიას სახიფათო დარტყმას (ხარიხა). ტიტომ ორ შეცვლაზე მეტი არ გააკეთა, მოუმ კი ბოლოს ესიენი გამოიყვანა, 4-5-1-ზე გადავიდა, რითაც ფაქტობრივად განაცხადა, რომ ფრეზე ყაბულსაა.

**დასკვნა**: ამ შეხვედრაში არ იყო დიდი ტაქტიკური ცვლილებები. ორივე გუნდი თავის თამაშს თამაშობდა. ეს იყო კლასიკური მაგალითი, სადაც დომინანტი მესის და რონალდოს დაპირისპირება იყო. ეს დაპირისპირება ვერც ერთმა ვერ მოიგო, ვერც მატჩი...

## მის გარეშე სხვა რეალი იქნებოდა

„რეალის“ დირექტორმა **ემილიო ბუტრაგენიომ** ცაში აიყვანა ქებით კრიშტიანო რონალდო: *„ის საოცარი ფეხბურთელია. რონი ყოველთვის გუნდისთვის ილვწის. ძალიან ცოტა ფეხბურთელს შეუძლია გაიღოს ამდენი საკუთარი გუნდისთვის. „რეალის“ ისტორიაშიც კი ძნელია ასეთი ფეხბურთელის პოვნა. მე ძალიან მომწონს მისი შემართება - ტრავმა მიიღო, მაგრამ მოედნიდან არ გამოვიდა. „რეალი“ რონალდოს გარეშე სულ სხვა გუნდი იქნებოდა“*, - აღნიშნა ბუტრაგენიომ, რომელმაც დაამატა, რომ ფრე სამართლიანი შედეგია, მაგრამ „რეალის“ უპირატესობა პირველი საათის განმავლობაში შესამჩნევი იყო.

## როდის დაეწევა რონი რაულს?

მოგეხსენებათ, კრიშტიანო პირველი ფეხბურთელი გახდა, რომელმაც ზედიზედ ექვს კლასიკოზე გაიტანა. სულ ამ 6 შეხვედრაში პორტუგალიელმა 10 გოლი გაიტანა. რონიმ **ივან სამორანოს** (ზედიზედ 5 კლასიკო) გადაუსწრო. რონალდომ ლა ლიგის 108 შეხვედრაში 120 გოლი გაიტანა. 27 წლის პორტუგალიელი ამ ჩემპიონატის ისტორიაში „რეალის“ მე-9 ბომბარდირია (მან **ამანსიოს** გაუსწრო). ახლა მას სამი გოლი აშორებს ბუტრაგენიოს და **პირის** შედეგებთან. ამ სეზონში რეალურია **ხენტოს** დაწევაც (126 გოლი). აქვე ლა ლიგის პირველ ხუთ ბომბარდირსაც ჩამოვთვლით: 1. **რაული** - 228 გოლი, 2. **დი სტეფანო** - 216, 3. **სანტილიანა** - 186, 4. **უგო სანჩესი** - 164, 5. **პუშკაში** - 156.

გახდება კრიშტიანო ლა ლიგის საუკეთესო ბომბარდირი? მან უკვე გაიტანა რაულის გოლების 49,8%, მაშინ, როცა რაულის თამაშების 20,9% ითამაშა. ასე რომ, გამორიცხული არაფერია. „მარკას“ გამოთვლით, პორტუგალიელი 31 წლის ასაკში დაეწევა რაულს.

## მშვიდი მებრძოლი ომის შემდეგ

კრიშტიანო რონალდო „კამპ ნოუზე“ ახალი ვარცხნილობით გამოჩნდა, ყურთან მას ლათინური V ჰქონდა ამოპარსული. პორტუგალიელს ეს ვარცხნილობა ცნობილმა ძმებმა სტილისტებმა, **ხოსე** და **მიგელ სიერო ლეალებმა** გაუკეთეს. კრიშტიანომ მათ შაბათს, თამაშის წინა დღით დაურეკა და ვარცხნილობაში ახალი დეტალის შემატება სთხოვა. ის რაიმე ახლებურსა და თვალში საცემს ითხოვდა. *„ჩვენ მას კარგად ვიცნობთ და შევთავაზეთ ეს სიმბოლო, რომელიც მებრძოლის სიმშვიდეზე მიუთითებს ბრძოლის შემდეგ და ის დაგვთანხმდა“*, - განუცხადეს „მარკას“ ძმებმა.

## იოზილმა გაიმარჯვა

მატჩის წინ მოურინიოს დიდი თავსატეხი ჰქონდა - ვინ დაეყენებინა ძირითადში - მესუთ იოზილი, რომელსაც ბოლო დროს აღარ ენდობოდა სუსტი თამაშის გამო, ლუკა მოდრიჩი, რომელიც ჯერ ვერ გვაჩვენებს „რეალის“ დონის თამაშს, თუ **კაკა**, რომელიც მოუმ ბოლოსლა გაიხსენა. „მარკას“ გამოკითხვის შემდეგ ცხადი გახდა, რომ ფანები ბრაზილიელს ითხოვდნენ, მაგრამ როდის ითვალისწინებდა პორტუგალიელი ფანების აზრს? მოედანზე იოზილი ვიხილეთ, იმ ლოგიკით, რომ გერმანელი „კამპ ნოუზე“ ბოლო დროს კარგად თამაშობს.

და იოზილმაც გაამართლა: ბოლოსკენ, რა თქმა უნდა, მოუკლო, როგორც იცის ხოლმე, მაგრამ მანამდე გერმანელი „ბარსას“ დაცვისა და **ბუსკეტსის** თავის ტკივილი იყო. „ასულგრანას“ მცველებს ძალიან უჭერდათ იოზილის დაჭერა. მას მადრიდელთაგან ყველაზე ხშირად ჰქონდა ბურთი. ყოველთვის ცდილობდა ადრიანოსა და **მასკერანოს** ზურგს უკან გაღწევას, მესუთის მილიმეტრებში ზუსტმა პასმა რონალდოს დუბლი შეასრულებინა. მოურინიომ მოედანზე 75 წუთი დატოვა, მეტი უკვე დანაშაული იქნებოდა, რადგან იოზილი უკვე ვერაფერს აკეთებდა, გამოფიტული იყო. *„იოზილმა ითამაშა კარგად და აჩვენა მაღალი კლასი“*, - ეს მოურინიოს სიტყვებია. მოკლედ, იოზილმა ამ ეტაპზე ორივე კონკურენტს მოუგო ძირითადის ადგილი.



რონალდოს ახალი ვარცხნილობა. სტატიაში ნახავთ, რას ნიშნავს ეს ნიშანი

## მოუ დი სტეფანოს გაუტოლდა

კვირას ჟოზე მოურინიომ 83-ედ გამოიყვანა „რეალი“ მთავარი მწვრთნელის რანგში. ამ მაჩვენებლით პორტუგალიელი ალფრედო დი სტეფანოს გაუთანაბრდა და ახლა „სამეფო კლუბის“ ისტორიაში მე-8 მწვრთნელია თამაშების რაოდენობით. 83-დან მოუმ 64 თამაში მოიგო, 10 ფრედ დაასრულა და 8 წააგო. დი სტეფანოს მონაგარი გაცილებით მწირია: 49 მოგება, 15 ფრე და 19 წაგება.

მოურინიო „კამპ ნოუზე“ ერთ რეკორდს უმიზნებდა, მაგრამ ვერ შესწვდა - დღემდე „რეალს“. ამ სტადიონზე ერთზე მეტჯერ მხოლოდ **მიგელ მუნიოსმა** მოაგებინა. მოურინიომ „კამპ ნოუზე“ პირველად გასულ სეზონში მოიგო (2:1).

## ფრთხილად, ვილიასთან თამაში სახიფათოა

უკვე ვწერდით, რომ დავიდ ვილია ტიტო ვილანოვასთვის სარეზერვო იარაღად გადაიქცა, თუმცა 44 წლის მწვრთნელს უჯობს, ფრთხილად მოეპყროს ბომბარდირს - 30 წლის „ელ გუახე“ ხომ ძალიან ამბიციური ფეხბურთელია. ის კი, ალექს სონგთან და ბარტრასთან ერთად მეორე ტაიმში, 20 წუთის განმავლობაში ვარჯიშობდა და შემოსასვლელად ემზადებოდა.




კვირის კლასიკოს ტაქტიკური მონახაზი

ერთ მომენტში ვილიამ გახურება შეწყვიტა კიდევაც და გამომწვევად იყურებოდა სათადარიგოთა სკამისკენ. თამაში მორჩა თუ არა, ფორვარდი პირველი გაემართა გასახდელისკენ თავჩაღუნული. გასაგებია, რომ კლასიკოს გამოტოვება არავის სურს, მაგრამ როცა გუნდის მნიშვნელოვანი ფიგურა ხარ და გრძნობ, რომ მზად ხარ თამაშისთვის, რეალობასთან შეგუება ერთი-ორად ძნელია. არადა, ვილია მართლა მზადაა. ამ სეზონში ფორვარდი მხოლოდ ერთხელ მოხვდა „ბარსას“ სასტარტო შემადგენლობაში. ეს იყო „გრანადასთან“, ტიტომ ის 54-ე წუთზე შეცვალა. მისთვის საუკეთესო შეხვედრა კი სევილიაში გაიმართა, როცა თამაშის დასრულებამდე 16 წუთით ადრე შევიდა მოედანზე და ბოლოს გამარჯვების გოლი გაიტანა.

## იცით თუ არა, რომ...

■ *იმ ფეხბურთელთაგან, რომელთაც მი-[illegible] თამაში „ბარსელონას“ რიგებში [illegible] - 38. მაგრამ ის [illegible] „რეალის“ რიგებში [illegible] (35 [illegible]).*

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

# ხომ არ შეგცივდა, ჰენრი?

**ერთხელ იტალიელ ტაქსისტს ვკითხე, რატომ აღარ დადიხართ სტადიონებზე, ჩემს ბავშვობაში იტალიის ჩემპიონატის ტურის ცენტრალური მატჩი დიდ საფეხბურთო ზეიმს ნიშნავდა-მეთქი. იტალიელები ენაწყლიანები არიან, ბევრი ლაპარაკი უყვართ, მაგრამ მიკელემ თავი ჩაქინდრა და მხოლოდ ორი სიტყვით მიპასუხა: „No Spettacolo“...**

იტალია

## NO SPETTACOLO

სამწუხაროდ, არ არსებობს ზუსტი ცნობები იმის შესახებ, თუ როგორი იყო პირველი მილანური დერბი, რომელიც ზუსტად 104 წლის წინათ შვეიცარიულ კიასოში გაიმართა. სამაგიეროდ, ცნობილია, რომ გუნდებმა 50 კილომეტრი ერთად გაიარეს, მატარებელში ბანქოს თამაშობდნენ, სალიამისა და წითელ ღვინოს ინაწილებდნენ და ვისკიც წრუპეს. ეს იყო საკმაოდ საინტერესი მოგზაურობა მილანელი ფეხბურთელებისთვის - ბატონი **კოლომბოსთვის**, რომელსაც „ხბოს“ ეძახდნენ, მსუქანი **მესკიასთვის**, რომლის მეტსახელი „პინგვინი“ გახლდათ, დიდცხვირა **კამპელისთვის** და **აებისთვის**, რომელსაც შესამჩნევად პატარა ფეხის ტერფები ჰქონდა, რის გამოც „სინიორინა“ შეარქვეს.

როგორც ირკვევა, 1908 წლის 18 ოქტომბერს „ინტერმა“ და „მილანმა“ კარგი საფეხბურთო სპექტაკლი დადგეს, რადგან „გაძეტა დელო სპორტი“ წერდა, ეს იყო ბრწყინვალე დუელი, იდეალური საფეხბურთო სანახაობა და ტექნიკურად სრულყოფილი ფეხბურთი, რადგან მოთამაშეებს ერთმანეთის კართან ბურთი ძალიან მოხდენილად მიჰქონდათო...

კვირას მილანური დერბი შედგა და „ინტერმა“ 1:0 მოიგო. პირველი დერბისგან განსხვავებით, ამჯერად ფეხბურთელებს ბურთი უმეტესად ერთი ფლანგიდან მეორე ფლანგზე გადაჰქონდათ და ვინც მატჩი ნახა, ყველა დაგვეთანხმება, რომ უსიამოვნო მოლოდინი, რომლის მიხედვითაც ეს ერთ-ერთი ყველაზე უსახური „მადონინა“ იქნებოდა, გამართლდა. მილანურმა გრანდებმა ზაფხულში ფულის დაზოგვა/შოვნა გადაწყვიტეს და როგორც ჩანს, შეეგუვნენ იმას, რომ „სპეტაკოლო“-ები ახლა სხვაგან, კერძოდ, ტურინსა და ნეაპოლში იდგმება.

**სილვიო ბერლუსკონის** ალღომ, რა თქმა უნდა, ისევ არ უღალატა: მილანურ დერბიზე დასწრებას მან **ვლადიმირ პუტინის** მე-60 დაბადების დღის აღსანიშნავ ზეიმზე, სანკტ პეტერბურგში წასვლა ამჯობინა - ცხადია, არც ვისკი მოაკლდებოდა და არც სინიორინები...

## ისევ კლოზე

„ლაციოსა“ და „პესკარას“ მატჩში, რომელიც რომაელებმა 3:0 მოიგეს, **მიროსლავ კლოზემ** „ლაციალეს“ ფორმით მეოთხე დუბლი შეასრულა, რის გამოც იტალიელი ჟურნალისტები მასზე კვლავ უკიდურესად აღმატებით ფორმაში წერდნენ. ზოგმა „უცხოპლანეტელი“ უწოდა, ზოგმა „გერმანული ლოკომოტივი“, „კორიერე დელო სპორტი“ კი კვლავ ზედმეტებში გადავიდა: *„ოქროს კლოზე! ევროპის ტირანი! მარადიული გოლეადორი! კლოზე დამშეულია და არასდროს ნაყრდება. ასეთი ფეხბურთელები ხშირად არ იბადებიან!“*

საფეხბურთო იტალიას ფენომენები ენატრება...

## სერსე კოზმის ფილოსოფია

„სიენასა“ და „იუვენტუსის“ მატჩში მასპინძელთა დამრიგებელმა **სერსე კოზმიმ** წითელი ბარათი უცნაურ ვითარებაში დაიმსახურა - „წითელი ჯვრის“ წარმომადგენელს (?!) ლანძღვა-გინებით მივარდა და კისერში სწვდა იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა ფეხბურთელს ბურთი დროულად არ მიაწოდა, რის გამოც კოზმი მაშინვე ტრიბუნაზე მიაბრძანეს.

მატჩის შემდეგ კოზმის „იუვენტუსის“ სათადარიგო მწვრთნელი **მასიმო კარერა** შემოელანძღა. თამაშამდე ამ უკანასკნელმა მრავლისმნახველი კოზმი გააკრიტიკა, რაზეც სერსემ ასე უპასუხა: *„კარერა? მე მხოლოდ „პორშე კარერა“ ვიცი, რომლის ყიდვა, რა თქმა უნდა, არ შემიძლია. ზოგ-ზოგიერთებისგან განსხვავებით მე იტალიის ქვედა ლიგებშიც მიმუშავია და ვიცი, რას ნიშნავს წაგება, ან მოგება, კარგ გუნდში მუშაობა და ცუდ გუნდში მუშაობა. პრობლემას ვერ ვხედავ და დარწმუნებული ვარ, რომ ნებისმიერი ადამიანი მიიღებს იმას, რასაც იმსახურებს.“*

...მათ შორის, „პორშე კარერასაც“!..

ინგლისი

## ისე რა ტური

პრემიერლიგაში განსაკუთრებული ჯახი არ გამართულა, თუმცა იყო ლონდონური დერბი, რომელზეც საუბარი ნამდვილად ღირს. „არსენალისა“ და „ვესტ ჰემის“ მატჩში, რომელიც „მეთოფეებმა“ 3:1 მოიგეს, ვნახეთ **მოჰამედ დიამესა** და **თეო უოლკოტის** მშვენიერი გოლები, **ოლივიე ჟირუს** პირველი გოლი „არსენალში“ და **სანტი კასორლას** მოხდენილი და, რაც მთავარია, ზუსტი „გასროლა“ 20 მეტრიდან. იყო **ვენგერისთვის** შეურაცხმყოფელი სიმღერები და ტრავმებიც - **გი დემელი, ვინსტონ რეიდი** და **ვას ტე** დაშავდნენ. ამრიგად, „ჩელსისთან“ 1:2-ის შემდეგ „არსენალი“ დაბრუნდა, თუმცა ვენგერის გუნდი დი მატეოს სამწყსოს შვიდი ქულით ჩამორჩება და მე-7 ადგილზეა.

## ეშლი კოულის გასაჭირი

**ეშლი კოულს** მძიმე დღეები აქვს. ჯერ იყო და ყოფილმა ცოლმა **შერილმა** ავტობიოგრაფიული წიგნი (?!) დაწერა, რომელშიც ეშლისთვის არასასიამოვნო რაღაცებს ვკითხულობთ (შერილი წერს, მხოლოდ უკანალში ვიტამინების შეშხაპუნება მეხმარებოდა იმაში, რომ ეშლისთან ურთიერთობა დამელაგებინაო), პარასკევს კი დისციპლინარულმა კომისიამ **ჯონ ტერის** პროცესის განაჩენი გამოიტანა, რომელშიც კოულს ჩვენების ტერის სასარგებლოდ გადაკეთებაში ადანაშაულებდნენ და შედეგად, ინგლისის ნაკრებში თავის მე-100 შეხვედრას დიდხანს უნდა ელოდოს. ეშლი „ჩელსიმაც“ დასაჯა, მაგრამ მხოლოდ ფულით - ასე რომ, მის საკლუბო კარიერას საფრთხე არ ემუქრება.

## სიტყვის კაცი ჰენრი

„ქუინზ პარკ რეინჯერსთან“ მატჩში შეცვლის შემდეგ **მარიო ბალოტელი** პირდაპირ გასახდელისკენ გაიქცა, **რობინ ვან პერსის კაბაიესთვის** იდაყვის ჩარტყმის გამო დისკვალიფიკაციის საფრთხე ემუქრება, **რობერტ ჰუთმა ლუის სუარესი** მოცელა - ეს ყველაფერი არც ისე საინტერესოა...

„დრიბლინგისთვის“ საუკეთესო ინგლისური ისტორია „დეილი ტელეგრაფის“ ჟურნალისტ **ჰენრი ვინტერს** გადახდა. ამ უკანასკნელმა 2010 წელს, „ნიუკასლში“ **ალან პარდიუს** დანიშვნისას დაწერა, თუ ეს სპეციალისტი თავის კონტრაქტს ბოლომდე შეასრულებს, მდინარე „თაინს“ გადავცურავო. წინა კვირაში „ნიუკასლის“ ბოსებმა პარდიუს ახალი, 8-წლიანი (!) ხელშეკრულება გაუფორმეს და ვინტერი კვირას მართლაც გადახტა ძალიან ცივ წყალში! ამასთან, ჰენრიმ ბობი რობსონის ფონდისთვის ფულიც შეაგროვა. პარდიუმ მას „ნიუკასლის“ პირსახოცი და ლია ბარათი გაუგზავნა, რომელზეც ეწერა: *„ჰენრი, შენ სიტყვის კაცი ხარ!“*

ესპანეთი

## ორიოდე სიტყვა კლასიკოს შესახებ

„ბარსელონა“ VS „რეალი“, მოურინიო VS ვილანოვა, მესი VS რონალდო, კატალონია VS ესპანეთი - კლასიკოს ინტრიგები არც ამჯერად აკლდა, რის გამოც ფაქტობრივად არავის დაუჩივლია იმაზე, რომ ეს ერთ-ერთი ყველაზე მოსაწყენი ჯახი იყო „ბარსას“ და „რეალს“ შორის იმ დაპირისპირებებში, რაც ბოლო წლებში გვინახავს. მართალია, 4 გოლი ვნახეთ, მაგრამ ყველას გვახსოვს 6:2 2008/2009 წლებში, ანაც მომდევნო სეზონში დაფიქსირებული 5:0. თუმცა დამსწრე საზოგადოებას ბილეთში გადახდილი ფული არ უნანია და არც ჩვენ ვინანეთ, „კლასიკოს“ რომ ვუყურეთ, რაც იმ ორი „უცხოპლანეტელის“ დამსახურებაა, რომლებმაც გოლები გაიტანეს...

## უცხოპლანეტელები

ჯერ კიდევ მატჩამდე ვიცოდით, რომ თამაშისა და საერთოდ ტურის გმირი ან **ლიონელ მესი** უნდა ყოფილიყო, ანაც **კრიშტიანო რონალდო** და კითხვას „მაინც რომელი“ ამომწურავად მაინც ვერ ეპასუხა. „მონსტრების კორპორაციის“ ანგარიშზე ამჯერად ოთხი გოლიაო, წერდა „მარკა“ და ისევ მაგიური ციფრები უნდა მოვიშველიოთ: მესის პრიმერადივიზიონის 221 მატჩში 177 გოლი აქვს, ხოლო რონალდოს მხოლოდ 108 შეხვედრაში - 120. ეს იმდენად ფენომენალური შედეგებია, რომ „მარკამ“ მოითხოვა, 2012 წელს ორი ოქროს ბურთი უნდა დამზადდესო. მესიმ კლასიკოებში გატანილი გოლების რაოდენობა 17-მდე გაზარდა და **ალფრედო დი სტეფანოს** რეკორდამდე ერთიღა აკლია...

## ხუანის კუთხური

**ხუან კარლოსი** მხოლოდ სამხრეთამერიკული სერიალების გმირებს ჰქვიათ და ერთი ასეთი გმირი „ბეტისსაც“ ჰყავს. „რეალ სოსიედადთან“ მატჩში ხუანმა საუკუნის კუთხური მოაწოდა. მოაწოდა? არაფერიც არ მოუწოდებია! გამოქანებულმა ფეხი ბურთის ნაცვლად კუთხურის ალამს დასცხო და გადაამტვრია! ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ამ მომენტამდე ოთხი წუთით ადრე მის კუთხურს „სოსიედადის“ კარში გატანილი გოლი მოჰყვა...

გერმანია

## უბედური ლაბადია

**ბრუნო ლაბადიას** შესახებ ბევრი რამის თქმა შეიძლება - როგორც კარგის, ისე ცუდის. ერთი ეგაა, რომ ამ ბოლო დროს ბრუნოზე მხოლოდ ცუდს ლაპარაკობენ. უფრო სწორად, სულ დასცინიან. „ლელოს“ გუშინდელი ნომერი ალბათ წაიკითხეთ და იცით, როგორ ლანძღა „შტუტგარტის“ მწვრთნელმა ჟურნალისტები, რომელსაც სულელად გამოჰყავთ და ფანები, რომლებმაც **ჰოლცჰოიზერის** შეცვლის გამო უსტვინეს.

არადა, ლაბადია ერთადერთი მწვრთნელია მთელ მსოფლიოში, რომელსაც საკუთარმა ფანებმა ტრავმირებული ფეხბურთელის შეცვლის გამო შეიძლება უსტვინონ...

**გოტფრიდ ლენცი**



ჰენრიმ ნაძლევი წააგო და თაინი გადაცურა





ქართული სპორტი

ოფიციოზი

# ლევან ყიფიანი რევანშიზმის წინააღმდეგ

## ვისურვებდი, ყაველაშვილი ჩემს გვერდით იყოს



**ბიძინა ივანიშვილმა** არჩევანი უკვე გააკეთა: საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული „ქართული ოცნების" ლიდერმა, მთავრობის მომავალ შემადგენლობაში სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრად მოძრაობა "ჩვენი ფეხბურთის" ერთ-ერთი დამფუძნებლის, ვეტერანი ფეხბურთელის **ლევან ყიფიანის** კანდიდატურა წარადგინა.

ყიფიანი ფეხბურთის ფედერაციის ბავშვთა ფეხბურთის განყოფილებაში მუშაობდა, იყო თბილისის "ლოკომოტივის" გენერალური დირექტორი, მაგრამ ნოდარ ახალკაცის დროს ფედერაციას დაუპირისპირდა და **მიხეილ ყაველაშვილთან და გოჩა ჯამარაულთან** ერთად დააფუძნა მოძრაობა "ჩვენი ფეხბურთი", რომელიც ამ სფეროში ძირეულ რეფორმებსა და სახელმწიფოს ჩაურევლობას ემხრობა.

მერე ჰქონდა მცდელობა, რომ ფეხბურთის ფედერაციასთან ეთანამშრომლა, მაგრამ ალმასკომში არ აირჩიეს, რაც წინასწარ დაწერილი სქემის ნაწილად ჩათვალა და საბოლოოდ გადაეშვა ოპოზიციაში.

გარდა ამისა, "ჩვენი ფეხბურთი" და ყიფიანი საქართველოში მოთამაშეთა და მწვრთნელთა საერთაშორისო პროფესიულ კავშირს, "ფიფპროს" წარმოადგენს.

**- ლამის 6 წელიწადია საფეხბურთო ოპოზიციას წარმოადგენთ. ამბობენ, ხელისუფლებაში მისული ოპოზიციონერი იმას ემსგავსება, ვისაც ებრძოდა. ალბათ, თავადაც ფიქრობთ, რა უნდა გააკეთოთ, ასე რომ არ მოხდეს.**

- უპირველესად, მადლობა ბატონ ბიძინას და კოალიციას, რომლებმაც ნდობა გამომიცხადეს და ჩემი კანდიდატურა ასეთ საპასუხისმგებლო პოსტზე წარადგინეს. რა თქმა უნდა, ეს ჩემთვის მოულოდნელი შემოთავაზება იყო, მაგრამ ძალიან საინტერესო და საპასუხისმგებლოც. მზად ვარ, ქართული სპორტისთვის მნიშვნელოვანი პროექტები განვახორციელო იმ გუნდთან ერთად, რომელსაც საქართველოს მოსახლეობამ ქვეყნის ბედი ჩააბარა.

წინამორბედებს რომ არ დავემსგავსოთ, ამის წამალი რევანშიზმის თავიდან ამოგდება იქნება. ეს გრძნობა არც გვამოძრავებს.

**- რა იქნება თქვენი პრიორიტეტი?**

- სპორტის დეპოლიტიზაცია, ინფრასტრუქტურული პროექტები და სპორტის ხელმისაწვდომობა. სპორტის განვითარებისთვის სამივე უმნიშვნელოვანესი საკითხია. დეპოლიტიზაციის გარეშე შეუძლებელია პროფესიონალების მოზიდვა. ასე კომუნისტურ ეპოქაში ჩავრჩებით, როდესაც მხოლოდ პარტიის წევრებს ენდობოდნენ. არადა, ეს საქართველოა, სადაც ყველას საკუთარი აზრი აქვს, მაგრამ ჩვენ ერთმანეთში არა განსხვავებას, არამედ საერთოს უნდა ვეძებდეთ. ჩემი აზრით, ეს პრინციპი უნდა გახდეს ქვეყნისა და ხალხის გაერთიანების საფუძველი. ფედერაციები შიშის ქვეშ რომ არ უნდა მუშაობდნენ, ამიტომ უნდა შეიცვალოს ეს მანკიერი სისტემა.

**- წლებია, საკანონმდებლო ბაზის შეცვლაზე ლაპარაკობდით.**

- სხვაგვარად სპორტი და ქვეყანა ვერ განვითარდება. ამ საკანონმდებლო ინიციატივებით შესაძლებელი გახდება ინვესტიციების მოზიდვა და სასურველი გარემოს შექმნა. კანონი სპორტის შესახებ არასაკმარისია, მას განვითარება და თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა სჭირდება. ამიტომ, აუცილებელია სამუშაო ჯგუფების შექმნა, რომელიც შეაფასებს, რა რესურსები არსებობს ქვეყანაში, რა მიმართულება იქნება გამართლებული და რა სახის კანონმდებლობა გვჭირდება. სწორედ ზუსტი შეფასება განავითარებს სპორტს და საქართველო უნდა გახდეს ნამდვილი სპორტული ქვეყანა.

**- განსაკუთრებული თემა არის საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია. შესაძლოა, მის მიმართ პრეტენზიები გქონდათ, მაგრამ გულშემატკივრებს აინტერესებთ, იქნება თუ არა საკადრო ცვლილებები..**

- ფედერაციის საქმიანობაში ჩარევა გამორიცხულია! "ჩვენი ფეხბურთი" სწორედ ხელისუფლების ჩარევის წინააღმდეგ იყო და ახლა იგივე თავად რომ დავიწყოთ, გულშემატკივარი ამას არ გვაპატიებს. მეტიც, არც უნდა გვაპატიოს! ეს არის მომავალში განსახილველი თემა, რაც საფეხბურთო სამყარომ ზეწოლის გარეშე უნდა გადაწყვიტოს. დრო ყველაფერს გამოაჩენს, მაგრამ ფედერაციის საკითხი კანონიერად ფარგლებში უნდა მოგვარდეს და პროფესიონალებმა გადაწყვიტონ.

თუ ჩემი კანდიდატურა დამტკიცდება, გვსურს საქმიანი, კარგი ურთიერთობა დავამყაროთ, რომ არ იყოს დაძაბულობა და რევანშისტული განწყობები - ასე საქმე გაფუჭდება და საერთოდ, რევანშიზმის მოწინააღმდეგეები ვართ. მაგრამ ორი აზრი არ არის, რომ ფედერაციის მუშაობა, მისი წესდება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისობაში უნდა მოვიდეს. მაგრამ ვიმეორებ, ეს პრობლემები სამუშაო პროცესში უნდა მოგვარდეს და არა დაპირისპირების ფონზე. ნაკრებებს თამაშები აქვს, მიმდინარეობს ეროვნული ჩემპიონატი და უპირველესად, მათ შეუფერხებლად ჩატარებაზე უნდა ვიფიქროთ და არა სკამების განაწილებაზე. პირიქით, ჩვენის მხრიდან რა დახმარებაც გახდება საჭირო, გვერდში დავუდგებით, რადგან საქმე ეხება ქართულ ფეხბურთს, ჩვენი პიროვნული დამოკიდებულებები კი ჩვენთვის უნდა დავიტოვოთ.

**- პირადად ზვიად სიჭინავას მიმართ როგორია თქვენი დამოკიდებულება?**

- საქმიანი და კანონიერი.

**- ალბათ, მიხეილ ყაველაშვილიც დაბრუნდება.**

- აუცილებლად დაბრუნდება!

**- მართალია, თითქოს, საქართველოში ვერ ჩამოდიოდა და ხელისუფლებასთან პრობლემები ჰქონდა?**

- პრობლემები მართლაც ჰქონდა, მაგრამ ეს პრობლემები მოიხსნა და უახლოეს მომავალში აუცილებლად ჩამოვა საქართველოში.

**- შესაძლოა, რომ ყაველაშვილი სპორტის სამინისტროში თქვენს გვერდით ვიხილოთ?**

- ყაველაშვილი არის არა მხოლოდ ჩემი მეგობარი, არამედ გონიერი და მოაზროვნე კაცი და მისი გადასაწყვეტია, სად და როგორ გააგრძელებს საქმიანობას. მე კი ვისურვებდი, რომ ჩემს გვერდით იყოს.

**- სამინისტროს დაკომპლექტება უკვე იწყება და თქვენს გუნდში კიდევ ვის ისურვებდით?**

- მიახლოებითი ვარიანტი წარმოდგენილი მაქვს, მაგრამ ჯერ სამინისტრო არ დაკომპლექტებულა.

**- აპირებთ ითანამშრომლოთ "ჩვენი ფეხბურთის" კიდევ ერთ დამფუძნებელთან, გოჩა ჯამარაულთან?**

- მომეცით რამდენიმე დღე და ყველაფერს შეიტყობთ.

**მერაბ მამულაშვილი**

ანონსი

საქართველოს გაუმარჯოს

## მიმართვა მკითხველებს, სპორტის სპეციალისტებს, გულშემატკივრებს!

საქართველო ახალ ცხოვრებას იწყებს და განახლება, ბუნებრივია, ჩვენს სპორტულ სამყაროსაც შეეხება. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრობის ახალმა კანდიდატმა **ლევან ყიფიანმა**, რომელიც „ქართული ოცნების" სპორტის თემატურ ჯგუფს ხელმძღვანელობდა, განაცხადა, რომ პრიორიტეტული იქნება სპორტის საყოველთაო ხელმისაწვდომობა, ინფრასტრუქტურული პროექტები და საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა.

„ლელო" თითქმის 80 წელიწადია ერთგულად დგას ქართული სპორტის სამსახურში და, ბუნებრივია, ამ გზას არ უღალატებს. კვლავაც გვინდა შევასრულოთ არამხოლოდ პროპაგანდისტის, არამედ, ქართულ სპორტულ სამყაროში, ცხადია, შეძლებისდაგვარად, ორგანიზატორის, ჩვენთვის ტრადიციული ფუნქცია.

რუბრიკით **„მკითხველთა საფიხვნო"** განსახილველად და საზოგადოებრივი აზრის ყურის მისაგდებად გამოგვაქვს თემა - **„რა დავკარგეთ, რა გვინდა!"** იმედია, რუბრიკას გამოხმაურება მოჰყვება და ქართული სპორტის ახალ ხელმძღვანელობასაც გაუწევს გარკვეულ სამსახურს პრობლემებზე კონცენტრაციის პროცესში.

***რედაქციასთან საურთიერთობოდ შეგიძლით ისარგებლოთ „ლელოს" მე-16 გვერდზე გამოქვეყნებული ნებისმიერი საკონტაქტო საშუალებით.***

***გელით „ლელოს" ფურცლებზე!***

**რედაქცია**

### მილოცვა

საქართველოს ვეტერან მოჭიდავეთა კავშირი და ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამო" უერთდება საერთო კმაყოფილებას სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე "ქართული ოცნების" ლიდერის **ბიძინა ივანიშვილის** მიერ ვეტერანი ფეხბურთელისა და ბრწყინვალე პიროვნების **ლევან ყიფიანისადმი** გამოცხადებულ ნდობას და წარმატებებს უსურვებს უმაღლეს პოსტზე ახალ მინისტრს ქართული სპორტის საკეთილდღეოდ გაწეულ მუშაობაში.

შეკითხვა „ლელოს"

# საპატიო თბილისელები და ქართული სპორტი

**შეკითხვა:** წლევანდელ თბილისობაზე ტრადიციულად საპატიო თბილისელები დასახელდა. მაინტერესებს, რომელ წელს ჩაეყარა საფუძველი თბილისობაზე ამ ტრადიციას და ვინ იყვნენ საპატიო თბილისელები ქართული სპორტიდან.

**ლუკა ზამბახიძე**
თბილისი

**პასუხი:** თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება დაწესდა 1979 წელს და ენიჭებათ ხელოვნებისა და სპორტის თუ სხვა დარგის გამოჩენილ მოღვაწეებს. თბილისობის დღესასწაულიც 1979 წლიდან იღებს სათავეს. იმავე წელს პირველი ლაურეატი გახდა საქართველოს სახალხო მხატვარი **ლადო გუდიაშვილი.**

სპორტის სფეროდან თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება პირველს მიენიჭა ლეგენდარულ ფეხბურთელ **ბორის პაიჭაძეს** 1988 წელს. შემდეგ წლებში დასახელდნენ:

1996 წ. **კოტე მახარაძე** - მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი, სპორტული კომენტატორი;

1998 წ. **ჯანო ბაგრატიონი** - საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი;

1999 წ. **ვახტანგ ბალავაძე** - მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში;

2000 წ. **ნონა გაფრინდაშვილი** - ჭადრაკში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი;

2001 წ. **მზია ჯუღელი** - ოლიმპიური ჩემპიონი ტანვარჯიშში;

2003 წ. **რაფაელ ჩიმიშკიანი** - ოლიმპიური ჩემპიონი ძალოსნობაში; **გურამ სალარაძე** - მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში; **ლევან თედიაშვილი, დავით ციმაკურიძე** - ოლიმპიური ჩემპიონები თავისუფალ ჭიდაობაში;

2005 წ. **ვიქტორ სანეევი** - სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი სამხტომში;

2011 წ. **მაია ჩიბურდანიძე** - მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ჭადრაკში;

2012 წ. **ჯამლეტ ხუხაშვილი** - სპორტული კომენტატორი.

დიდი სპორტის კარიბჭესთან

## გიორგი მუჯარიძე

(ბადროს ტყორცნა, ბირთვის კვრა)

**დაბადა** 1998 წლის 22 მარტს. გორი.
**სიმაღლე:** 188 სმ
**წონა:** 71 კგ
**სწავლობს** გორის მე-9 საჯარო სკოლის IX კლასში



**ვარჯიში დაიწყო** 2011 წელს გორის ცენტრალური სასპორტო სკოლის მძლეოსნობის სექციაში

მწვრთნელები: გივი იაზბარიანი და დავით მანთიძე

**მიღწევები:** არის ბირთვის კვრაში საქართველოს ზამთრის ჩემპიონატის, მძლეოსნობის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი შეჯიბრების და თბილისის ღია პირველობის გამარჯვებული. ბადროს ტყორცნაში — საქართველოს ზამთრის ჩემპიონატის გამარჯვებული.

**ოცნება:** ოლიმპიურ თამაშებში ასპარეზობა და მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესება ორივე სახეობაში.

**გატაცება:** მძლესნობის გარდა — კალათბურთი.

**ჰობი:** მუსიკა.

**ვასილ ბალახაძე**

*დავით ასპანიძის ფოტო*

ძიუდო. მსოფლიოს თასი

# არაბეთიც გამოჩნდა

11-13 ოქტომბერს არაბთა გაერთიანებული საამიროების დედაქალაქი აბუ დაბი ძიუდოისტთა მსოფლიოს თასს უმასპინძლებს, რომელშიც ოთხი ქართველიც იჭიდავებს: **ამირან პაპინაშვილი, იაკობ გაზდელიანი** (ორივე - 60), **ზვიად გოგოჭური** (90) და **ვალერი ლიპარტელიანი** (100). წარმომადგენელი გვეყოლება მსაჯთა კორპუსშიც - **ვლადიმერ ნუცუბიძე** არბიტრადაა მიწვეული. 11 ოქტომბერს 60-66 კილოგრამების წარმომადგენლები იჭიდავებენ, 12-ში - 73-81-კილოგრამებისა, დარჩენილი სამი წონის ფალავნები კი კვირას გავლენ ტატამზე.

ეს ტურნირი ჩვენი ფედერაციის კალენდარში არ შედიოდა და იქ გუნდის გაგზავნა არც იგეგმებოდა, ეს ოთხეული კი თავისი ხარჯით მიდის. ამათგან პირველი სამი თბილისიდან გაფრინდება აბუ დაბიში, ლიპარტელიანი კი გერმანიიდან ჩავა, სადაც ბუნდესლიგის პირველობაში მონაწილეობს. აქვე გეტყვით, რომ ლიპარტელიანი მხოლოდ ამ შეჯიბრებაზე გამოვა ახალ წონაში, თორემ იქ გადაბარგებას არ გეგმავს.

შეჯიბრების საპრიზო ფონდი 150 000 ამერიკული დოლარია. აქედან გამარჯვებული 5 000 მიიღებს, ვერცხლის მედალოსანი - 3 000, მესამეზე გასულებს კი 1 500 - 1 500 დოლარი ერგებათ.

**ირაკლი თავაძე**


## განცხადება

2012 წლის 6 ოქტომბრის საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის ალმასკომის გადაწყვეტილებით, 26 ნოემბერს 14.00 საათზე ქ. თბილისში, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს საკონფერენციო დარბაზში, ჩატარდება საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის საანგარიშო საარჩევნო ყრილობა.

### დღის წესრიგი

1. ფედერაციის ანგარიში 2011 წლის აგვისტოდან - 2012 წლის 26 ნოემბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ.
2. არჩევნები – ფედერაციის პრეზიდენტის, ვიცე პრეზიდენტების, გენერალური მდივნის, ალმასკომის წევრების.
3. სხვადასხვა.

საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტად ასარჩევი კანდიდატობის მსურველთა განცხადებები წესდების შესაბამისად მიილება, გამოცხადებიდან 2012 წლის 19 ნოემბრის 14.00 საათამდე.

არჩევნების ჩატარების წესების შესახებ ინფორმაცია იხილეთ საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის ვებ გვერდზე: www.gjf.ge - „წესდება".

ფედერაციის მისამართი: ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქუჩა № 5

საკონტაქტო პირი: ვლადიმერ ნუცუბიძე – 5 77 178 022




ნიჩბოსნობა





# რიონი ნავებით გაივსო

„40 წელიწადია ქუთაისის ნიჩბოსნობის ბაზაზე რაიმე მნიშვნელოვანი შეჯიბრება არ ჩატარებულა. შიდა ასპარეზობები კი იმართებოდა, მაგრამ ქალაქში სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციისათვის, უფრო დიდი და სერიოზული ტურნირის ჩატარება იყო საჭირო. ამიტომ, ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებამ და იმერეთის ნიჩბოსნობის ფედერაციამ ერთობლივად გადავწყვიტეთ, რომ მსოფლიოში ოლიმპიზმის დღესთან დაკავშირებით იმერეთის ღია ტურნირი გაგვემართა და მასში საქართველოს ქალაქების გუნდებთან ერთად აზერბაიჯანელი ნიჩბოსნებიც მოგვეწვია“ – აღნიშნა ნიჩბოსნობის სპორტსკოლის დირექტორმა და იმერეთის ნიჩბოსნობის ფედერაციის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა **ზვიად შანიძემ.**

ტურნირი, რომელშიც შვიდმა გუნდმა (ქუთაისი, თბილისი, ფოთი, დუშეთი, მცხეთა, რუსთავი, აზერბაიჯანი) იასპარეზა, კანოე-ბაიდარასა და აკადემიურ ნიჩბოსნობაში სხვადასხვა ასაკის ვაჟთა და გოგონათა შორის გაიმართა. ტურნირზე სულ 100-მდე სპორტსმენმა იასპარეზა. შეჯიბრებას ესწრებოდნენ საქართველოს აკადემიური ნიჩბოსნობისა და კანოე-ბაიდარას ფედერაციების ხელმძღვანელები **ვიტალი გრძელიშვილი** და **დავით ქაცარავა.** თავდაპირველად შეჯიბრებები აკადემიურ ნიჩბოსნობაში, ორადგილიანი და ერთადგილიანი ნავებით 500 და 200 მეტრ დისტანციაზე გაიმართა, სადაც უპირატესობა მცხეთელმა ნიჩბოსნებმა მოიპოვეს, თუმცა მომდევნო შეჯიბრებებში დუშელმა სპორტსმენებმა 11 პირველი ადგილი დაიმსახურეს და გუნდური პირველი ადგილიც დუშეთს დარჩა. მეორე ადგილზე მცხეთა გავიდა, მესამეზე მასპინძელი — ქუთაისი აღმოჩნდა. დანარჩენი პოზიციები ასე განაწილდა: 4. ფოთი, 5. თბილისი, 6. რუსთავი და 7. აზერბაიჯანი.

„ქუთაისში ადრე სავარჯიშოდ ჩამოვდიოდით, ტურნირზე კი აქ პირველად ვართ. ძალიან კარგი ბაზაა და შეჯიბრებით კმაყოფილი დავრჩი. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე ბევრი სპორტსმენი ვერ ჩამოვიყვანეთ, სულ ოთხი ნიჩბოსნით ვიასპარეზეთ და შედეგზე ამან იქონია გავლენა“ – აღნიშნა აზერბაიჯანელთა მწვრთნელმა **ფაზილ მამედოვმა.**

„აკადემიური ნიჩბოსნობა საქართველოში გასული საუკუნის 60-იან წლებში განვითარდა და ამაში ქუთაისს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის. აქ აღიზარდნენ სპორტსმენები, რომლებიც საკავშირო პირველობებზე წარმატებით გამოდიოდნენ. საქართველოს ნაკრები ძირითადად ქუთაისელი ნიჩბოსნებით იყო დაკომპლექტებული. ვისურვებდი, რომ ეს ტრადიციები აღსდგეს და რიონისპირა ქალაქმა ამ სპორტში წამყვანი პოზიციები დაიბრუნოს... ქუთაისში გამარჯვებული ნიჩბოსნებისგან დაკომპლექტდება საქართველოს იუნიორთა ნაკრები, რომელიც მომავალი წლიდან მსოფლიო თასისთვის დაიწყებს მზადებას. ამ შეჯიბრებაზე არაერთი საინტერესო სპორტსმენი გამოჩნდა და იმედი გვაქვს, რომ ძლიერ ნაკრებს დავაკომპლექტებთ“ – აღნიშნა საქართველოს აკადემიური ნიჩბოსნობის ფედერაციის ხელმძღვანელმა ვიტალი გრძელიშვილმა.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

ძიუდო. მეტოქე

# ზაიზენბახერი — მხსნელი ოთხი წლით

როგორც იქნა, დასრულდა გაჭიანურებული საგა **პეტერ ზაიზენბახერის** ირგვლივ - საქართველოს ძიუდოისტ ვაჟთა ნაკრების ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა აზერბაიჯანელებთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა და რიო დე ჟანეიროს 2016 წლის ოლიმპიადისთვის იქაურთა გაწვრთნა ითავა. ავსტრიელმა უკვე მოასწრო საფუძვლის ჩაყრა იზმაილოვოში მშენებარე ძიუდოს კომპლექსისთვის და იქაურ ჟურნალისტებთან კომენტარებიც გააკეთა. ზაიზენბახერმა აქო იქაური სპორტსმენები, ბაზები, სპორტული ინფრასტრუქტურა, თუმცა ჩვენთვის ამაზე საინტერესო მისი გამოსვლის ის ნაწილია, სადაც უახლოეს სამომავლო გეგმებზე საუბრობს - ის თურმე აუცილებლად დაესწრება 30 ოქტომბერს ბაქოში გასამართ აზერბაიჯანის პირველობას და სამომავლო გუნდსაც პირველად იქ დააკვირდება. შეუძლებელია, აქ არ გავიხსენოთ, როგორ უკეთებდა იგნორირებას ზაიზენბახერი საქართველოს პირველობას და არ ესწრებოდა მას, ოღონდ ეს უფრო ჩვენი ბრალია და არა მისი, რადგან კატეგორიულად არც ვთხოვდით ამას. აი, აზერბაიჯანელებმა მოთხოვეს და კიდეც ჩადის ბაქოში.

ავსტრიელს ულაპარაკოდ უნდა დავეთანხმოთ აზერბაიჯანში სპორტისადმი გამოჩენილი ყურადღების აღმატებულ შეფასებაში. მისი სიტყვების სიმართლის მორიგი მაგალითიც: ბაქომ ევროპის 2015 წლის პირველობის მასპინძლობაზე შეიტანა განაცხადი. ქვეყანაში სპორტის განვითარების ერთ-ერთი განმსაზღვრელი, მედლების გვერდით, ისიცაა, რამდენად ხშირად მასპინძლობს უმთავრეს საერთაშორისო შეჯიბრებებს, საქართველო კი ამ მხრივ ნამდვილად ვერ დაიკვეხნის - ცალი ხელის თითებიც გვეყოფა ჩვენთან წლიდან წლამდე გასამართი საერთაშორისო ტურნირების ჩამოსათვლელად და მათი უმეტესობაც არა პირველხარისხოვანი, არამედ რიგითი ასპარეზობაა. მხოლოდ 2-3-ჯერ ვუმასპინძლეთ ევროპის პირველობას, რომელიც გაისადაც ჩატარდება ჭიდაობაში, უფრო მაღალ რანგზე კი ლაპარაკიც არ არის. ამასობაში ბაქომ ჭიდაობაში ხომ ბოლომდე გაიდგა ფესვი, ახლა ფეხბურთს, ძალოსნობას, კრივს, ძიუდოს და წამყვან ოლიმპიურ სახეობებსაც მიადგა...



პეტერ ზაიზენბახერი

ისე, მოდი და ნუ შეგშურდება მეზობლების - ბაქო 2015 წელს ევროპის მასპინძლობას აპირებს, დაღესტანი - იმავე წელს სულაც მსოფლიოს პირველობას უმიზნებს ჭიდაობაში, ჩვენ კი ამდენზე მხოლოდ თუ ვიოცნებებთ.

დაბოლოს ძიუდოს თემაზე ერთი საინტერესო ცნობაც რუსეთიდან - იქაურებმაც ტრიუმფატორ იტალიელ მწვრთნელ **ეციო გამბას** რიოს ოლიმპიადამდე ხომ გაუგრძელეს კონტრაქტი, ახლა ქალთა ნაკრების გაწვრთნაც მას მიანდეს. ამით ქალებში **ვლადიმირ პუტინის** პირად მწვრთნელ **ანატოლი რახლინის** ერაც დასრულდა.

**ირაკლი თავაძე**

მეკლდეურობა



## ბაქოდან ოქროებით

აზერბაიჯანის დედაქალაქში მეკლდეურთა დიდი საერთაშორისო ტურნირი გაიმართა, რომელშიც საქართველოს ორი წარმომადგენელი მონაწილეობდა და ორივე ოქროს მედლით დაბრუნდა შინ. გოგონებში სწრაფ და რთულ ცოცვაში ტოლი არ ჰყავდა **ანა შაქარაშვილს,** ხოლო ბოლდერინგში ყველას **სოფიო გოგიბედაშვილმა** აჯობა.

**ვაჟა დანელია**

ჭადრაკი

## მხოლოდ გაგუნაშვილი

ჯაკარტაში 11 ოქტომბერს დაიწყება ინდონეზიის ღია პირველობა ჭადრაკში. საასპარეზოდ სხვადასხვა ქვეყნის 45 წარმომადგენელი მოიყრის თავს. მათ შორის 33 დიდოსტატია. წინასწარ განაცხადში უცხოელთა შორის ერთადერთი ქართველია - საქართველოს ნაკრების წევრი **მერაბ გაგუნაშვილი** (2578), რომელიც რეიტინგით ტურნირზე მე-13 ადგილზეა. ფავორიტია ჰოლანდიელი ივან სოკოლოვი (2696). პირველ ხუთეულში შემდეგ მოდიან: ლი ჩაო (ჩინეთი, 2685), ვლადისლავ ტკაჩიევი (საფრანგეთი, 2651), ვიორელ იორდაჩესკუ (მოლდოვა, 2641) და იუ იანი (ჩინეთი, 2640). ტურნირის საპრიზო ფონდია 55.000 დოლარი, საიდანაც გამარჯვებული 10,000 დოლარით დაჯილდოვდება.

**ვაჟა დანელია**

წყალბურთი

# დანარჩენი აუზში გადაწყდება

**საქართველოს წყალბურთელ ვაჟთა გუნდი „ლიგამუსი-თბილისი“ ჰოლანდიიდან დაბრუნდა, სადაც ჩემპიონთა ლიგის შესარჩევი ტურნირის მე-2 ტურის მატჩი გამართა „შუურმანთან“. შეგახსენებთ, რომ ჩვენმა გუნდმა ეს პაექრობა 10:13 დათმო. გვესაუბრება გუნდის მთავარი მწვრთნელი რევაზ ჩომახიძე:**

- ჩემპიონთა ლიგაზე პროგრამა მაქსიმუმი მაშინ შევასრულეთ, როცა საკვალიფიკაციო ეტაპი მოვიგეთ და ჯგუფურ ტურნირში თამაშის უფლება მოვიპოვეთ. თუმცა ეს როდი ნიშნავს, რომ მეტოქეებისთვის ქულების დარიგებას ვაპირებდეთ, რაც ჰოლანდიურ შეხვედრაშიც გამოჩნდა. მატჩის პირველი პერიოდი 3:2 მოვიგეთ. ეტყობა, ბიჭებმა ნაადრევად ირწმუნეს უპირატესობა მეორე რვაწუთიან მონაკვეთში, დაცვა მოირღვა და ჩვენი 2 გოლის საპასუხოდ 6 ბურთი მივიღეთ, რამაც თამაშის ბედიც გადაწყვიტა. ბოლო ორი პერიოდი აქტიური ქომაგობით შეგულიანებულ „შუურმანს“ ტოლსწორად ვეთამაშეთ - 2:2 და 3:3.

ჯგუფური ტურნირის აშკარა ფავორიტია საბერძნეთის ოთხგზის ჩემპიონი და სამგზის თასის მფლობელი, ევროპის თასების მფლობელთა თასის 1997 წლის გამარჯვებული „ვულიაგმენი“, ასევე, ვოლგოგრადის „სპარტაკი“ და უნგრეთის „ეგერი“. აი, მერვედფინალის მე-4 საგზურისთვის, სწორედ, „შუურმანთან“ და ჰანოვერის გუნდთან შეიძლება ბრძოლა.

**- 20 ოქტომბერს „სპარტაკს“ ვუმასპინძლებთ.**

- დიახ, „ოლიმპიკში“ დავუპირისპირდებით ვოლგოგრადელებს. ამ გუნდს კარგად ვიცნობ, რამდენიმეს რუსეთის ჩემპიონატზე ჩემს წინააღმდეგაც უთამაშია. ასე რომ, დიდი კლასი და გამოცდილება აქვთ. გაგვიჭირდება მათ წინააღმდეგ ბრძოლა, მაგრამ არაფერს დავიშურებთ საიმისოდ, რომ გულშემატკივრებს ლამაზი ორთაბრძოლა ვაჩვენოთ. ამჟამად „ლიგამუსი“ გაფართოებული შემადგენლობით ემზადება.

**ვაჟა დანელია**



რევაზ ჩომახიძე შეგირდებთან

კრივი



# ანაპიდან ანაპამდე

## ორ-ორი ბრინჯაო და ვერცხლი

**ცამეტ-თოთხმეტი წლის მოკრივეთა ევროპის პირველობები ათი წელიწადია, რეგულარულად იმართება. ამჯერად შეჯიბრებას რუსულმა ანაპამ უმასპინძლა.**

21 ქვეყნის წარმომადგენლები გავიდნენ რინგზე, მათ შორის - საქართველოდანაც (ნაკრების მთავარი მწვრთნელი **რამაზ ნიკოლაძე, მწვრთნელები - გოჩა აბაშიძე, გოჩა რუსია** და **არტურ ბურდიანცი**). ჩვენმა ბიჭებმა სამი წლის წინათაც იასპარეზეს მსგავს ტურნირში ანაპაში. მაშინ შინ ოთხი ბრინჯაოთი დაბრუნდნენ. ამჯერადაც ოთხი მედალი მოიპოვეს, ოღონდ ხარისხი გააუმჯობესეს - ორი ვერცხლი და ამდენივე ბრინჯაო.

43 კილოგრამ წონით კატეგორიაში ფოთელმა **გიორგი მანჯავიძემ** ჯერ ლიტველი ლუკას პეტრაუკასი დაამარცხა, მერე ლატვიელი ნიკიტა გერკოვსკი ჩამოიშორა გზიდან და ფინალში გავიდა, სადაც გადამწყვეტი პაექრობა მინიმალური ანგარიშით რუს მაქსიმ ბეზმატერნიხთან დათმო და ვერცხლის მედალს დასჯერდა. ასევე მეორე ადგილზე გავიდა თბილისელი **დავით პეტროსიანი** (44,5 კგ). ნახევარფინალი მან ლიტველ ედგარს კორჟევსკის მოუგო, ფინალში კი აზერბაიჯანელ უმუდ რუსტამოვთან ქულით დამარცხდა.

ბრინჯაოს მედლები ფოთელმა **გიორგი ჩარგაზიამ** (41,5) და მარნეულელმა **ჟორიკ სეროპიანმა** (62) დაიმსახურეს. ორივემ თითო პაექრობაში აჯობა მეტოქეებს: ჩარგაზიამ - ვლადისლავ თოექს (ისრაელი), სეროპიანმა - ბელარუს ივან დიმიდოვს, ნახევარფინალში კი, შესაბამისად, ნიკიტა პისკუნოვთან და კირილ კიტაევთან (ორივე - რუსეთი) დამარცხდნენ. როგორც რამაზ ნიკოლაძემ გვითხრა, ორივე ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი ჩემპიონი გამხდარა, კიტაევს კი ყველაზე ტექნიკური მოკრივის პრიზი და ფულადი ჯილდოც მიუღია.

გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: 1. რუსეთი, 2. ირლანდია, 3. უკრაინა... 7. საქართველო.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

ლეგიონერი




გრეგ პოპოვიჩი და ვიქტორ სანიკიძე

# რა უთხრა სანიკიძეს გრეგ პოპოვიჩმა?

**ვიქტორ სანიკიძის** „მონტეპასკიმ“ ამერიკული ტურნე „კლივლენდთან“ თამაშით დაასრულა. იტალიელები 85:91 დამარცხდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ მეტოქეს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს. პირველი ტაიმი სულაც სანიკიძის თანაგუნდელთა გამარჯვებით დასრულდა - 36:33.

სტუმართა მხრიდან თავი გამოიჩინეს **ჯენინგმა და ბრაუნმა**. პირველმა 21 ქულა ჩააგდო, მეორემ - 22. სანიკიძემ 23 წუთი ითამაშა და 3-3 ქულა-მოხსნას თითო ჩაჭრა-დაფარება მიამატა.

კლივლენდიდან „მონტეპასკის“ კალათბურთელები იტალიაში დაბრუნდნენ და 12 ოქტომბერს გასამართი საევროლიგო მატჩისთვის მოემზადებიან - სიენაში გერმანული „ალბა“ ჩადის.

■ ■ ■

მკითხველს შევახსენებთ, რომ „მონტეპასკიმ“ „კლივლენდამდე“ „სან ანტონიოსთან“ ითამაშა. ტექსასში ყოფნისას სანიკიძეს ინტერვიუ ჩამოართვა გამოცემა „პროჯექტ სპურსის“ კორესპონდენტმა **ჯეფ გარსიამ**. გთავაზობთ პუბლიკაციის ქართულ თარგმანს.

„სანანტონიონელებმა სეზონის გახსნით მატჩში „მონტეპასკი“ 106:77 დაამარცხეს. გულშემატკივარს საშუალება მიეცა თვალი მიედევნებინა ვიქტორ სანიკიძისთვის, რომელიც 2004 წლის დრაფტზე „სპურსმა“ „ატლანტასგან“ აიყვანა. მატჩის შემდეგ შევხვდით ქართველ თავდამსხმელს და საკუთარი შთაბეჭდილებების გაზიარება ვთხოვეთ.

**- „სან ანტონიოს“ შესახებ რას ფიქრობთ?**

- გუნდში არაერთი კალათბურთელი შეიცვალა, თუმცა ძირითადი ბირთვი იგივეა: ტიმ დანკანი, მანუ ჯინობილი და ტონი პარკერი. ვიდრე ეს სამეული ითამაშებს, „სპურსი“ ყოველთვის ანგარიშგასაწევი ძალა იქნება ნებისმიერი მეტოქისთვის და ყოველთვის ჩაითვლება საკალათბურთო ასოციაციის ერთ-ერთ ფავორიტად.

**- 2004 წლის დრაფტის შემდეგ დიდი დრო გავიდა. კვლავ ფიქრობთ „სან ანტონიოში“ თამაშზე?**

- ამ ზაფხულს კონტრაქტი გავაფორმე სიენას „მონტეპასკისთან“, იტალიის საუკეთესო კლუბთან. კარიერაში პირველად მომიწევს ევროლიგაზე თამაში, რაც საინტერესო გამოწვევაა. იმედი მაქვს, წარმატებული სეზონი გამოვა. გასულ სეზონში კარგი სტატისტიკა მქონდა. იმედი მაქვს, ასევე გაგრძელდება წლეულსაც და „სან ანტონიოს“ ხელმძღვანელობის ყურადღებასაც დავიმსახურებ.

**- მატჩის შემდეგ „სპურსის“ მთავარ მწვრთნელ გრეგ პოპოვიჩს თუ ელაპარაკეთ?**

- თამაში რომ დასრულდა, მწვრთნელმა წარმატებები მისურვა. გრეგ პოპოვიჩთან მატჩის წინ ვისაუბრე. დავინახე, რომ იგი თვალყურს ადევნებს ჩემს გამოსვლას, სტატისტიკას, მოკლედ, ყველაფერს... აქედან გამომდინარე შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი თამაშით დაინტერესებულია. ვეცდები, ახალ სეზონში შესაძლებლობები სრულად გამოვავლინო.

**- პოპოვიჩმა რამე გირჩიათ?**

- რა თქმა უნდა, მირჩია... ჩემი აგენტიც ამერიკაშია და მწვრთნელს ისიც ელაპარაკა. 2004 წლის დრაფტის შემდეგ დღემდე მაქვს ურთიერთობა სანანტონიოელებთან.

**- ურთიერთშეხვედრისას „სპურსის“ რომელმა კალათბურთელმა მოგხიბლათ?**

- მანუ ჯინობილის თამაში ყოველთვის წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა ჩემზე. ველოდი, რომ რთული იქნებოდა მის წინააღმდეგ თამაში. წარმოუდგენლად ძლიერი კალათბურთელია.

**- „სან ანტონიომ“ ფრანგი ნანდო დე კოლო აიყვანა. მის შესახებ რისი თქმა შეგიძლიათ?**

- მას კარგად ვიცნობ. ამ ზაფხულსაც შთამბეჭდავად ითამაშა. დარწმუნებული ვარ, ამერიკაში თავის სიტყვას იტყვის.“

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

რუსთავი

# დოლარები კანფეტებისთვის




„რუსთავის“ ახალწევული **ნეით ბოუი** განაგრძობს ქართული შთაბეჭდილებების დღიურში გადატანას. აი, რა დაწერა მან აზერბაიჯანული შეკრებიდან დაბრუნების შემდეგ.

„10 დღე აზერბაიჯანში ვემზადებოდით. ეს აუცილებელი იყო, რათა უკეთესად გაგვეცნო ერთმანეთი და კარგად შევთამაშებულიყავით. ნაკლები დრო გვრჩებოდა გართობისთვის, რადგან დღეში ორჯერ ვვარჯიშობდით. დავბინავდით მინგეჩაურის სასტუმრო „კურში“. ერთ შენობაში იყო მაღალი დონის საკალათბურთო დარბაზი, საცურაო აუზი, სატრენაჟორო დარბაზი და რესტორანი.

გადავიღე უამრავი ფოტო როგორც საზღვართან, ასევე აზერბაიჯანში. საინტერესო ხედი იშლებოდა ჩემი აივნიდან, სასიამოვნო იყო მდინარის პირას გასეირნება, რომლის დროსაც ცხოვრებისეულ საკითხებზე დავფიქრდი: ამერიკელები ბედნიერები უნდა ვიყოთ იმით, რაც გვაქვს, რადგან სხვადასხვა ქვეყნებში ცხოვრობს ხალხი, რომელსაც არ აქვს ისეთი შესაძლებლობა, როგორიც ჩვენ, თუმცა მათი თვალების გამომეტყველებით ამას ვერ მიხვდები. ახლა მივხვდი, რომ ბედნიერი ადამიანი ვარ, რადგან მაქვს იმდენი ფული, რამდენიც საჭიროა საკვების, ან ნებისმიერი საჭირო საგნის საყიდლად. არაერთხელ ვაჩუქე ბავშვებს დოლარები თუნდაც კანფეტებისთვის.

საქართველოში სათანადოდ მომზადებულები ჩამოვედით. შემადგენლობაც კარგადაა დაკომპლექტებული ერთი რგოლის გარდა - გვჭირდება ცენტრი. ამ ამპლუის კალათბურთელზე თამაშისას ბევრია დამოკიდებული.

პარასკევს ვითამაშეთ „არმიას“ წინააღმდეგ. მათ, ვისაც ამ გუნდზე არაფერი გაუგია, მოვახსენებ, რომ იგი ევროჩელენჯზე თამაშობს. გასულ სეზონში არმიელთა რიგებში არაერთი ნიჭიერი ამერიკელი გამოდიოდა: **სანდიატა გეინსი, უილიამ ტომასი, ჯერემი რიჩარდსონი, ბენ ვუდსაიდი** და პუერტორიკოელი **გილერმო დიასი**. ასეთი მაღალი დონის კალათბურთელების დამატების საშუალება მათ ფინანსურმა შესაძლებლობამ მისცა. წლეულს „არმიაში“ არანაკლებ ძლიერი მოთამაშეები ჩაირიცხნენ, რომლებსაც ევროლიგაზე თამაშის გამოცდილება აქვთ. ევროლიგა ხომ NBA-ს შემდეგ მსოფლიოს საუკეთესო ლიგაა. „არმიასთან“ 8 ქულის სხვაობით წავაგეთ, თუმცა თანაბარი თამაში იყო. ყოველთვის ძნელია 40 წუთის განმავლობაში თანაბარ დონეზე თამაში იმ გუნდთან, რომელსაც „ღრმა სათადარიგოთა სკამი“ აქვს.

ასევე ამხანაგურად გავეჯიბრეთ „შსს აკადემიას“. ამ გუნდის ღირსებას სამი ამერიკელი იცავს და კარგადაც ეხმარებიან. ერთ მომენტში მეტოქემ 20 ქულით გაგვასწრო, თუმცა საბოლოოდ 6 ქულის სხვაობით დავმარცხდით. 27 ქულა, 6 მოხსნა და 4 პასი მოვაგროვე.

მალე დაიწყება წინასასეზონო ტურნირი. ვიმედოვნებ, ახალი მეფარე მანამდე შემოგვიერთდება. ამ შეჯიბრების დასრულების შემდეგ კი თამამად ვიტყვი - ახალი სეზონისთვის მზად ვარ!“

მინი-კალათბურთი

# სტუმრად რონდოსთან

მესამე წელია NBA-ს ვარსკვლავის, **რეჟონ რონდოს** ინიციატივით ტარდება შეჯიბრება მინი-კალათბურთში, რომელსაც უკვე მსოფლიოს ჩემპიონატის სტატუსი აქვს. ტურნირში კალათბურთელები ერთი-ერთზე თამაშობენ. მეტი ხიბლისთვის ღონისძიება კუნძულზე მდებარე ალკატრანსის ციხეში (აშშ) იმართება. შეჯიბრების ოფიციალური სახელწოდებაა Red Bull King of The Rock.

როგორც მიხვდით, მთავარი პარტნიორი კომპანია „რედ ბულია“, რომლის ინიციატივით საქართველოში ივლისში ჩატარდა შესარჩევი ეტაპი. ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ **ვატო თევზაძე და გიორგი ჯგერენაია**. გამარჯვება და ფინალური ეტაპის საგზური თევზაძეს ხვდა წილად. იგი **ბექა გოლეთიანთან** ერთად ამერიკაში იყო და შთაბეჭდილებებით დატვირთული დაბრუნდა:

- შეჯიბრების ორგანიზატორი რეჯონ რონდოა, რომელიც თამაშებს დაესწრო და მონაწილეებსაც გვამხნევებდა. სამწუხაროდ, ბრძოლას პირველ რაუნდში გამოვეთიშე, თუმცა ღირსეულად დავმარცხდი. ვიგებდი 4:3-ს როცა მოწინააღმდეგემ მსაჯის შეცდომის გამო ანგარიში გაათანაბრა - განმეორებითი რომ ვნახეთ, მაშინაც დავრწმუნდით, მეტოქემ ბურთი რომ ისროლა, შეტევისთვის განკუთვნილი დრო ამოწურული ჰქონდა. თუმცა, წაგებას მსაჯს არ ვაბრალებ, ბოლოს დაღლილობამაც იჩინა თავი.

კავკასიაში „რედ ბულის“ მენეჯერმა ბექა გოლეთიანმა დასძინა:

- შეჯიბრებაში 24 ქვეყნის 64 წარმომადგენელი მონაწილეობდა. კარგად გაისარჯნენ ევროპელები და ტურნირის ისტორიაში პირველად მეოთხედფინალური ბარიერი გადალახეს. ეს ჩეხმა ლუკას კრაუსმა გააკეთა, რომელიც ფინალში „ბეიბი შაკთან“ დამარცხდა. მან უკვე მეორედ მოიგო შეჯიბრება. იგი ამერიკაში ცნობილი სპორტსმენია, ძალიან ძლიერია როგორც ფიზიკურად, ასევე ტექნიკურად.

ბექამ ასევე დასძინა, რომ საქართველოს წარმომადგენელი მომავალ წელსაც მიიღებს მონაწილეობას რონდოს მიერ ორგანიზებულ შეჯიბრებაში. საქართველოში კვლავ ჩატარდება შესარჩევი ეტაპი, რომელიც უფრო წარმომადგენლობითი იქნება.



ლეგიონერები

# ზიბზიბაძისა და ურჯუკაშვილის თითო ლელო

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონში ოთხი ტურის შემდეგ დაუმარცხებელი ქართველ მორაგბეთა ორი გუნდი დარჩა, „მაკონი“ და „სენ ნაზერი“. შესაბამისად, ორივე მათგანი თავიანთ ჯგუფებში ლიდერები არიან.**


ბექა ურჯუკაშვილის სალელოვე შეტევა

A ჯგუფში ორხელისუფლიანობაა. **შოთა მელიქიძისა** და **ავთანდილ კოპალიანის** „მაკონმა“ და „ბურგ ან ბრესმა“ თანაბარი 14-14 ქულა დააგროვეს და პირველ-მეორე ადგილებს იყოფენ. ჩვენებურთა გუნდმა სტუმრად ითამაშა „ბობინისთან“ და ფრეს დასჯერდა - 19:19.

ორივე ქართველმა მორაგბემ თავიდან ბოლომდე იასპარეზა.

**ზერო პეტრიაშვილის** „ვიენმა“ შინ გაიმარჯვა **გიორგი ჯაშიტაშვილის** „შალონთან“ მატჩში 18:13 და ახლა სატურნირო ცხრილში ცხრა ქულით მე-5 ადგილზეა. შალონელები მას ერთი ქულით ჩამორჩებიან და მე-6 საფეხურს იკავებენ.

ჯაშიტაშვილმა სრულად ითამაშა, პეტრიაშვილი განაცხადში არ იყო.

ამ ჯგუფში მოასპარეზე სამი სხვა „ქართული გუნდი“ სატურნირო ცხრილის ფსკერზე იმყოფებიან. **გიორგი სულუაშვილის** „სტრასბურმა“ ჯერ ერთი ქულის მოპოვებაც ვერ შეძლო და ბოლო, მეათე ადგილზეა. სტრასბურელებმა ამჯერად სტუმრად წააგეს გიორგი გაბელიას „სენტ ეტიენთან“ - 22:37.

სულუაშვილი განაცხადში არ იყო, გაბელია თამაშში 56-ე წუთიდან ჩაერთო. „სენტ ეტიენმა“ შალონელთა მსგავსად რვა ქულა დააგროვა, თუმცა მე-8 ადგილზეა.

**რეზო გიგაურისა** და **ელიზბარ ყუფარაძის** „მონლუსონმა“, რომელიც ხუთი ქულით ბოლოსწინა, მე-9 ადგილზეა, სტუმრად წააგო „დიჟონთან“ - 19:27.

ყუფარაძე სათადარიგოთა შორის იყო და მოედანზე 55-ე წუთიდან გამოჩნდა, გიგაურს არ უთამაშია.

**A ჯგუფი**

**ბურგ ან ბრესი-ლილი 25:16, ბობინი-მაკონი 19:19, სენტ ეტიენი-სტრასბური 37:22, ვიენი-შალონი 18:13, დიჟონი-მონლუსონი 27:19.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. მაკონი - 14 ქულა, 2. ბურგ ან ბრესი - 14, 3. ლილი - 13, 4. დიჟონი - 12, 5. ვიენი - 9, 6. შალონი - 8, 7. ბობინი - 8, 8. სენტ ეტიენი - 8, 9. მონლუსონი - 5, 10. სტრასბური - 0.**

**V ტური**

**მაკონი-ბურგ ან ბრესი, შალონი-ბობინი, სტრასბური-ვიენი, მონლუსონი-სენტ ეტიენი, ლილი-დიჟონი.**

B ჯგუფში მოასპარეზე ქართველ მორაგბეთა გუნდები ოდნავ უარეს მდგომარეობაში არიან. აქ საუკეთესო მაჩვენებელი **თენგიზ გელანტიასა** და **ბექა ურჯუკაშვილის** „ობენას“ აქვს. ჩვენებურთა ამ გუნდმა შინ დაამარცხა „აგდი“ 38:13 და ახლა 10 ქულით მე-3 ადგილზეა. ის სამი ქულით ჩამორჩება მეორეადგილოსან „ვალანსს“ და რვა ქულით გათამაშების ლიდერ „ბურგუენს“. ალსანიშნავია, რომ ურჯუკაშვილმა, რომელმაც შუამარბის პოზიციაზე თავიდან ბოლომდე ითამაშა, მატჩის 37-ე წუთზე ლელო გაიტანა. გელანტია განაცხადში არ იყო.

„ობენას“ ერთი ქულით ჩამორჩება და მეხუთე ადგილზეა **გიორგი კუთარაშვილის** „შატორენარი“, რომელმაც შინ დაამარცხა „ლა სეინი“ - 22:18. კუთარაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 75-ე წუთზე შეცვალეს.

**დავით კაჭარავას** „როდეზმა“ მეოთხე ტურში შინ მოულოდნელად წააგო აუტსაიდერთან, **ირაკლი ნინიძის** „რომანთან“ - 12:28. სტუმართა გუნდისთვის მიმდინარე სეზონში ეს პირველი გამარჯვება იყო.

კაჭარავა თადარიგში იყო და თამაშში 44-ე წუთიდან ჩაერთო, ნინიძე განაცხადში ვერ მოხვდა.

**B ჯგუფი**

**ბლანიაკი-ლავორი 16:17, ვალანსი-ბურგუენი 7:37, შატორენარი-ლა სეინი 22:18, როდეზი-რომანი 12:28, ობენა-აგდი 38:13.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ბურგუენი - 18 ქულა, 2. ვალანსი - 13, 3. ობენა - 10, 4. აგდი - 9, 5. შატორენარი - 9, 6. როდეზი - 8, 7. ლავორი - 8, 8. ლა სეინი - 7, 9. ბლანიაკი - 7, 10. რომანი - 6.**

**V ტური**

**ბურგუენი-ბლანიაკი, ლა სეინი-ვალანსი, რომანი-შატორენარი, აგდი-როდეზი, ლავორი-ობენა.**

გაცილებით უკეთ გამოიყურებიან ქართველ მორაგბეთა გუნდები C ჯგუფში. აქ დაუმარცხებლად ასპარეზობს **ბაჩუკი გუჯარაიძისა** და **შოთა ცხოვრებაშვილის** „სენ ნაზერი“, რომელიც ასევე უძლეველ „ტიროსთან“ ერთად უდგას სათავეში სატურნირო ცხრილს.

სენნაზერელებმა შინ დიდი ანგარიშით სძლიეს „სენ ჟან დანჟელი“ - 27:0. გუჯარაიძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა, ცხოვრებაშვილი განაცხადში არ იყო.

მეორე გამარჯვება მოიპოვა და 10 ქულით სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზეა **თედო ზიბზიბაძის** „პერიგო“, რომელმაც შინ დაამარცხა **ნიკოლოზ მალალდაძის** „მარმანდი“ - 30:10. ზიბზიბაძემ, რომელმაც თავიდან ბოლომდე ითამაშა, 49-ე წუთზე ლელო მიითვალა, ასევე სრულად ითამაშა „მარმანდის“ შემადგენლობაში მალალდაძემაც.

**C ჯგუფი**

**პერიგო-მარმანდი 30:10, ნიორი-აგეტმო 18:15, ლანჟონი-ტიროსი 18:24, სენ ნაზერი-სენ ჟან დანჟელი 27:0, სენ ჟან დე ლუზი-ვანი 39:3.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. სენ ნაზერი - 18 ქულა, 2. ტიროსი - 18, 3. პერიგო - 10, 4. სენ ჟან დე ლუზი - 10, 5. ლანჟონი - 9, 6. მარმანდი - 9, 7. ვანი - 9, 8. სენ ჟან დანჟელი - 6, 9. ნიორი - 5, 10. აგეტმო - 4.**

**V ტური**

**აგეტმო-პერიგო, ვანი-ნუარი, მარმანდი-ლანჟონი, ტიროსი-სენ ნაზერი, სენ ჟან დანჟელი-სენ ჟან დე ლუზი.**

D ჯგუფში ქართველ მორაგბეთა ორი გუნდი ასპარეზობს და მე-4 ტურში ორივემ მარცხი განიცადა. **მერაბ კვირიკაშვილისა** და **გიორგი მჭედლიშვილის** „სენ ჟუნიენმა“ სტუმრად დაძაბულ ბრძოლაში მინიმალური სხვაობით წააგო „ლურდთან“ - 14:15. კვირიკაშვილი თამაშში 41-ე წუთიდან ჩაერთო და ერთი საჯარიმო გაიტანა (3 ქულა), მჭედლიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 69-ე წუთზე შეცვალეს. სენჟუნიენელები ახლა ცხრა ქულით მე-5 ადგილზე არიან.

**სიმონ მაისურაძისა** და **ლაშა მალალურაძის** „ბაგნერემ“ სტუმრად წააგო „ლიმოჟთან“ - 12:22 და ოთხი ქულით სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილზეა. მალალურაძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა და გუნდს 12 ქულა მოუტანა (სამი საჯარიმო და ერთი არეკნი), მაისურაძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 55-ე წუთზე შეცვალეს.

**D ჯგუფი**

**ლიმოჟი-ბაგნერე 22:12, ლურდი-სენ ჟუნიენი 15:14, მონტობანი-კასტანე 35:12, სენ მედარი-ლანამეზანი 15:15, ოლორონი-ნევერი (ნევერი არ გამოცხადდა).**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. მონტობანი - 19 ქულა, 2. ოლორონი - 14, 3. ლურდი - 12, 4. ნევერი - 9, 5. სენ ჟუნიენი - 9, 6. ლანამეზანი - 8, 7. ლიმოჟი - 7, 8. სენ მედარი - 6, 9. კასტანე - 5, 10. ბაგნერე - 4.**

**V ტური**

**ლანამეზანი-ოლორონი, სენ ჟუნიენი-ლიმოჟი, ნევერი-ლურდი, ბაგნერე-მონტობანი, კასტანე-სენ მედარი.**


თედო ზიბზიბაძე (მარცხნივ)

საქართველოს ჩემპიონატი


ბურთით ბექა ნიკლაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ორი ფავორიტი საგრძნობლად გამოიკვეთა

**საქართველოს ჩემპიონატის გათამაშების პირველი წრის დასრულებამდე სამი ტური დარჩა. უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩემპიონობისთვის მებრძოლთა ჯგუფი საგრძნობლად გამოიკვეთა. სასიხარულოა, რომ ასეთი, მიმდინარე შეჯიბრებაში, ექვსი გუნდია.**

სატურნირო ცხრილს სათავეში 24 ქულით თბილისის „ლელო“ უდგას, რომელმაც ექვსი შეხვედრიდან ხუთი მოიგო. ასეთივე წარმატებით ასპარეზობს მეორეადგილოსანი „არმია“, ოღონდ მას აქტივში 22 ქულა აქვს. ლელოელებმა უახლოეს მდევარზე ორით მეტი პრემიალური ქულის მოპოვება შეძლეს.

ცხადია, ახლა ძნელი სათქმელია, როგორ განვითარდება მოვლენები, თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ თუ ეს გუნდები ზამთრის სატრანსფერო ფანჯრისას შემადგენლობას შეინარჩუნებენ, პლეი ოფში გასვლას შეძლებენ. რჩება ორი ადგილი, რომლისთვისაც დღევანდელი მდგომარეობით პრეტენზიას ერთბაშად ოთხი გუნდი აცხადებს. ესენია, „ილიაუნი ჯიქი“, „არმაზი“, „აია“ და „ლოკომოტივი“.

გამორიცხული არ არის, სამომავლოდ ეს ვითარება რადიკალურად შეიცვალოს. ამ გუნდებს შესაძლოა რუსთავის „ხარებიც“ დაემატოს, რომელსაც ამჟამად ერთი თამაში თადარიგში აქვს. მომდევნო, მე-7 ტურში ჩემპიონატის ლიდერი „ლელო“ გათამაშების დებიუტანტს და მესამეადგილოსან თბილისის „ილიაუნი ჯიქს“ დაუპირისპირდება.

არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ „ჯიქები“ ახალგაზრდული გუნდია და თუ ძალების ბოლომდე შემონახვას შეძლებს, ნებისმიერი მეტოქის გამწარება ძალუძს. განვლილ ექვს ტურში **გიორგი ამირხანაშვილს** გუნდის რამდენიმე მოთამაშე დაუშავდა, ამიტომ გამორიცხული არ არის ლიდერთან „ჯიქები“ ოდნავ შესუსტებული შემადგენლობით გავიდეს საასპარეზოდ. თუმცა, ვინც გავა, როგორც ამ გუნდის მორაგბეებს სჩვევიათ, ბოლომდე თავდადებით იბრძოლებენ. სხვა საქმეა, ეყოფათ თუ არა სათამაშო კლასი, წლეულს შესანიშნავად მოასპარეზე ლელოელებთან.

ტრავმებმა, ცხადია, „ლელოც“ შეაწუხა. ვერაფრით გამოჯანმრთელდა გარემარბი **ირაკლი გეგენავა**, ისევ მკურნალობენ მგეზავი **გოდერძი ჭინჭარაული**, მეორეხაზელი **ნოდარ ჭეიშვილი** და მესამეხაზელი **ელგუჯა სურგულაძე**. ეს მორაგბეები, სავარაუდოდ, არც „ჯიქებთან“ ითამაშებენ.

„არმიას“ ლიდერისგან განსხვავებით ოდნავ განსხვავებული ამოცანის გადაჭრა მოუწევს. მისი მეტოქე თბილისის „აკადემიაა“, რომელიც ხუთი ქულით ბოლოსწინა, მე-9 ადგილზეა. ეს გუნდი სეზონის წინ რამდენიმე წამყვანმა მოთამაშემ დატოვა და ახლა თავისი აღზრდილი ახალგაზრდა მორაგბეებით ცდილობს უმაღლეს ლიგაში ადგილი შეინარჩუნოს. შესაბამისად, „არმიასთან“ გამარჯვება და სატურნირო მდგომარეობის გაუმჯობესება, ვფიქრობთ, ძალიან გაუჭირდება.

გაცილებით საინტერესო უნდა იყოს მეოთხეადგილოსანი „არმაზისა“ და საქართველოს მრავალგზის ჩემპიონ „ლოკომოტივის“ დაპირისპირება. არმაზელები მეტოქეს სატურნირო ცხრილში სამი ქულით უსწრებენ და მარცხის შემთხვევაში მოწინავე ოთხეულში ადგილს რკინიგზელებს დაუთმობენ.

„არმაზი“ აქამდე მეტოქესთან შედარებით უკეთ გამოიყურება. ამ გუნდმა ექვსი თამაშიდან ოთხი მოიგო და ორში დამარცხდა. რკინიგზელებს უარესი მაჩვენებელი აქვთ, მათ აქტივში მხოლოდ ორი მოგება და ერთი ფრეა. სამი წაგება ჩემპიონატის სტარტზე საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი გუნდისთვის, უპრეცედენტო შემთხვევაა. „ლოკომოტივს“ მდგომარეობის გამოსწორება რეალურად ხელეწიფება და საამისოდ „არმაზის“ დამარცხება აუცილებლად მართებს.

ცხადია, მედლებისთვის ბრძოლაში ჩაბმის პრეტენზია ქუთაისის „აიასაც“ აქვს, რომელსაც მეორე ტურის შემდეგ არ მოეგო. ქუთათურებმა გასულ უქმეებზე ისევ გაუსინჯეს გამარჯვებას გემო და საკმაოდ მოღონიერებული „არმაზი“ დაამარცხეს. მომდევნო ტურში „აიას“ არანაკლებ რთული ბრძოლა ექნება გადასატანი რუსთავის „ხარებთან“, რომელიც ნელ-ნელა ფორმაში შედის და თამაშის ხარისხს აუმჯობესებს.

**VII ტური**

**ლელო-ილიაუნი ჯიქი, ლოკომოტივი-არმაზი, ხარები-აია, აკადემია-არმია, ყოჩები-ბათუმი.**

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლელო | 6 | 5 | 0 | 1 | +91 | 24 |
| 2. არმია | 6 | 5 | 0 | 1 | +44 | 22 |
| 3. ჯიქები | 6 | 4 | 0 | 2 | +31 | 19 |
| 4. არმაზი | 6 | 4 | 0 | 2 | +26 | 17 |
| 5. აია | 6 | 3 | 1 | 2 | -2 | 15 |
| 6. ლოკომოტივი | 6 | 2 | 1 | 3 | +8 | 14 |
| 7. ხარები | 5 | 2 | 0 | 4 | -21 | 9 |
| 8. ბათუმი | 5 | 2 | 0 | 3 | -26 | 5 |
| 9. აკადემია | 6 | 1 | 0 | 5 | -89 | 5 |
| 10. ყოჩები | 6 | 0 | 0 | 6 | 62 | 3 |

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

ჩოგბურთი. ახალი ამბები




# ენდი რუსების წინააღმდეგ

ბრიტანელმა ჩოგბურთელმა **ენდი მიურეიმ** განაცხადა, რომ მომავალ სეზონში მზად იქნება დევისის თასზე ბრიტანეთის ნაკრებში დასაბრუნებლად. ბოლოს, აშშ-ის ღიასა და ოლიმპიადის ჩემპიონმა ნაკრების ღირსება 2011 წელს, უნგრეთთან მატჩში დაიცვა.

2013 წელს, ბრიტანეთის ნაკრები დევისის თასზე გამოსვლას ევროპა/აფრიკის ზონის პირველ ჯგუფში დაიწყებს. მისი პირველი მეტოქე რუსეთის ნაკრები იქნება.

*„ყოველთვის ვამბობდი, რომ თუ საშუალება მექნება, ნაკრების ფორმით აუცილებლად ვითამაშებ. ამის შესახებ არაერთხელ მილაპარაკია გუნდის კაპიტანთან ლეონ სმიტთან. მომავალი წლის დასაწყისში კიდევ ერთხელ განვიხილავთ ნაკრებში ჩემი გამოსვლის შესაძლებლობას.*

*ჩვენ გველოდება შეხვედრა რუსეთის ნაკრებთან, რომელიც ერთ-ერთი უძლიერესია მსოფლიოში. ეჭვგარეშეა, რომ ეს იქნება ყველაზე სერიოზული მატჩი ჩემთვის სანაკრებო კარიერაში“*, - ამბობს მიურეი გაზეთ The Independent-თან კომენტარში.

## შუტლერი ოფიციალურად წავიდა

მსოფლიოს ყოფილმა მეოთხე ჩოგანმა, გერმანელმა **რაინერ შუტლერმა** ოფიციალურად გამოაცხადა სპორტული კარიერის დასრულების შესახებ, - ამ ინფორმაციას გერმანული გამოცემა „ბილდი“ ავრცელებს.

36 წლის ჩოგბურთელს კარიერაში ATP-ის ოთხი ტურნირი აქვს მოგებული ერთეულებში და ამდენივე წყვილთა თანრიგში. ასევე, გერმანელის აქტივშია 2003 წელს ავსტრალიის ღია პირველობაზე ფინალში თამაში.

2008 წელს შუტლერმა ATP-ის პრიზი მოიპოვა - „წლის დაბრუნება“ გახდა. 2010 წელს, რაინერმა ზედიზედ მე-11 სეზონი დაასრულა ტოპ-ასეულში. ის იყო ყველაზე ასაკოვანი ჩოგბურთელი, ვინც ამგვარ შედეგს მიაღწია. მთელი კარიერის განმავლობაში შუტლერმა დაახლოებით შვიდნახევარი მილიონი დოლარი გამოიმუშავა.

„ბილდის“ ცნობით, მალე რაინერი მთლიანად გადაერთვება ადმინისტრაციულ სამუშაოზე და დიუსელდორფის ტურნირის დირექტორი გახდება.

## ცნობები ნადალისგან

მსოფლიოს მეოთხე ჩოგანმა, ესპანელმა **რაფაელ ნადალმა** Facebook-ის საკუთარ გვერდზე მოუყვა თაყვანისმცემლებს იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს მუხლის ტრავმის შემდეგ აღდგენითი პროცესი.

შეგახსენებთ, რომ გასულ კვირას, ჩოგბურთელის ბიძამ და პირადმა მწვრთნელმა **ტონი ნადალმა** განაცხადა, რომ მალე რაფა კორტზე გავა და საცდელ მომზადებას დაიწყებს ლონდონის წლის შემაჯამებელი ტურნირისთვისა და დევისის თასის ფინალისთვის.

*„ამჟამად მალიორკაზე ვიმყოფები და აუცილებელ აღდგენით პროცედურებს გავდივარ“*, - წერს ნადალი.

## პირველად ჰოპმანის თასზე

ფრანგული ჩოგბურთის ლიდერი **ჟო-ვილფრიდ ცონგა** 2013 წლის სეზონის დასაწყისში ჰოპმანის თასზე ითამაშებს. ეს არის ტურნირი, რომელიც შერეული წყვილებისთვის მსოფლიოს არაოფიციალურ ჩემპიონატად არის მიჩნეული. ტურნირი 29 დეკემბერს ავსტრალიის ქალაქ პერტში დაიწყება.

მსოფლიოს მეექვსე ჩოგანისთვის ეს იქნება დებიუტი ჰოპმანის თასზე. მისი მეწყვილე **მატილდ იოჰანსონი** უნდა გახდეს.

შეგახსენებთ, რომ ჰოპმანის თასის 2013 წლის გათამაშებაში ბევრი ვარსკვლავი მიიღებს მონაწილეობას. უკვე დაადასტურეს პერტში თამაში სერბმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა**, ამერიკელმა **ვენუს უილიამსმა**...

ფორმულა 1. იაპონიის გრანპრის შემდეგ

# ფეტელი ლეგენდებს მიუახლოვდა

პარლამენტის ბიბლიოთეკა

**იაპონიის** გრანპრის შემდეგ, ცნობილმა საენციკლოპედიო ბაზამ - Forix-მა მორიგი სტატისტიკური ინფორმაციები მოგვაწოდა...

### ფეტელის მიღწევები

- ფორმულა 1-ის მთელი ისტორიის განმავლობაში მხოლოდ ორმა პილოტმა მოიგო ზედიზედ სამი ტიტული - **ხუან-მანუელ ფანხიომ** და **მიხაელ შუმახერმა**. წელს წარმატების შემთხვევაში, **სებასტიან ფეტელს** აქვს შანსი შეუერთდეს ამ ლეგენდარულ წყვილს.

- ეს არ არის ერთადერთი პარალელი ფეტელსა და ფანხიოს შორის, რომელიც იაპონიის გრანპრის შემდეგ გაავლეს. სუზუკაზე გერმანელმა კარიერაში 24-ე ეტაპი მოიგო - ამ მაჩვენებლით ის ყველა დროის სიაში მეცხრე ადგილზე მყოფ ფანხიოს გაუთანაბრდა. თუმცა არგენტინელს 24 გამარჯვებისთვის 51 რბოლა დასჭირდა, ფეტელს - 96.

### პოულები

| | |
|---|---|
| 1. მიხაელ შუმახერი | 91 |
| 2. ალენ პროსტი | 51 |
| 3. აირტონ სენა | 41 |
| 4. ნაიჯელ მენსელი | 31 |
| 5. ფერნანდო ალონსო | 30 |
| 6. ჯეკი სტიუარტი | 27 |
| 7. ჯიმ კლარკი | 25 |
| 7. ნიკი ლაუდა | 25 |
| 9. ხუან-მანუელ ფანხიო | 24 |
| 9. სებასტიან ფეტელი | 24 |

- ფეტელმა პოულიდან აიღო სტარტი, პირველი მეტრებიდან ბოლომდე ლიდერობდა, საუკეთესო წრე დააფიქსირა და გამარჯვება მოიპოვა. ამით სებასტიანმა კარიერაში მეორე “დიდი შლემი” აიღო. პირველი „დიდი შლემი“ მან 2011 წელს ინდოეთში მოიპოვა.

- ფეტელი ამ სეზონში გახდა პირველი პილოტი, ვინც ზედიზედ ორი რბოლა მოიგო. ის კარიერაში 42-ედ ავიდა პოდიუმზე, რაც შესაბამის რეიტინგში მე-17 ადგილზე მყოფი **დეიმონ ჰილის** შედეგის გამეორებაა.

### პოდიუმები

| | |
|---|---|
| 1. მიხაელ შუმახერი | 155 |
| 2. ალენ პროსტი | 106 |
| 3. ფერნანდო ალონსო | 81 |
| 4. აირტონ სენა | 80 |
| 5. რუბენს ბარიკელო | 68 |
| 5. კიმი რაიკონენი | 68 |
| 7. დევიდ კულტჰარდი | 62 |
| 8. ნელსონ პიკე | 60 |
| 9. ნაიჯელ მენსელი | 59 |
| 10. ნიკი ლაუდა | 54 |
| 11. მიკა ჰაკინენი | 51 |
| 12. ჯენსონ ბატონი | 48 |
| 12. გერჰარდ ბერგერი | 48 |
| 12. ლუის ჰემილტონი | 48 |
| 15. კარლოს როიტემანი | 45 |
| 16. ჯეკი სტიუარტი | 43 |
| 17. სებასტიან ფეტელი | 42 |
| 17. დეიმონ ჰილი | 42 |

### კვალიფიკაცია

- ზედიზედ ოთხი უპოულო ეტაპის შემდეგ, ”რედ ბულმა” შეძლო პირველი სასტარტო რიგის დაკავება. წინა ჯერზე გუნდის ორივე პილოტმა პირველი რიგიდან სტარტი 2011 წელს, ბრაზილიაში აიღო.

- **ლუის ჰემილტონი** ზედიზედ ორმოცდამეათედ გავიდა კვალიფიკაციის ფინალში.

- “მერსედესს” ამ სეზონში ყველაზე ცუდი შედეგები ჰქონდა კვალიფიკაციაში: **ნიკო როსბერგმა** მე-13 პოზიციიდან აიღო სტარტი, **მიხაელ შუმახერმა** - 23 ადგილიდან.

### რბოლა

- მას შემდეგ, რაც წინა რბოლაში (სინგაპურში) ჰემილტონის ბოლიდზე პრობლემების გამო ფეტელმა ლიდერობა მოიპოვა, გერმანელს ამჟამად აქვს სერია, რომელიც ზედიზედ 90 წრის განმავლობაში ლიდერობას მოიცავს.

- თუ წელს სუზუკაში ფეტელი სტარტიდან ფინიშამდე ლიდერობდა, შარშან, იაპონიის გრანპრის დროს, ათჯერ შეიცვალა ლიდერი, სულ კი ხუთი პილოტი ედგა სათავეში პელოტონს.

- თითქმის ორწლიანი შესვენების შემდეგ, **ფელიპე მასა** პოდიუმზე ავიდა. ბოლოს ის სამეულში 35 რბოლის წინ მოხვდა - 2010 წელს კორეაში.

- **კამუი კობაიაში** კარიერაში პირველად ავიდა პოდიუმზე. იაპონელებისთვის ეს ისტორიაში მესამე მსგავსი მიღწევაა **აგური სუზუკისა** (იაპონია, 1990) და **ტაკუმა სატოს** (ინდიანაპოლისი, 2004) შემდეგ.

- ამ სეზონში ჯამში უკვე 13 პილოტი იმყოფებოდა პოდიუმზე. რეკორდი 1982 წელს დამყარდა, როცა 18 სხვადასხვა პილოტი ასრულებდა რბოლას პირველ სამეულში.

- **კიმი რაიკონენმა** ზედიზედ მე-12 რბოლაში მოიპოვა ქულები - ასეთი რამ მის კარიერაში მესამედ მოხდა.

- იაპონიის გრანპრიმდე ნიკო როსბერგი ყველა რბოლის დასრულებას ახერხებდა. მისი სერია **ბრუნო სენასთან** შეჯახების შემდეგ დასრულდა. ახლა, ერთადერთი პილოტი, ვისაც წელს მთელი დისტანცია აქვს გავლილი, კიმი რაიკონენია.


იაპონიის პოდიუმი

# ლუისმა ნაგება აღიარა




„მაკლარენის“ ბრიტანელმა პილოტმა **ლუის ჰემილტონმა** აღიარა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულებამდე ხუთი ეტაპით ადრე, მას თითქმის აღარ დარჩა ჩემპიონის ტიტულის მოპოვების შანსი. მისი აზრით, წელს ჩემპიონობას „ფერარის“ პილოტი **ფერნანდო ალონსო** და „რედ ბულის“ წევრი **სებასტიან ფეტელი** გაითამაშებენ. შეგახსენებთ, რომ ჰემილტონი ლიდერ ალონსოს 42 ქულით ჩამორჩება.

*„ჩემპიონატის დარჩენილ რბოლებში ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ სეზონის ფინიში ორი მონაწილის მთავარ ბრძოლად გადაიქცევა, - ამბობს ჰემილტონი. - ჩემპიონატში გამარჯვებაზე ორი რეალური პრეტენდენტი დარჩა - ალონსო და ფეტელი“.*

მძლეოსნობა

# ნომინანტები გამოცხადებულია

**მძლეოსნობის** საერთაშორისო ფედერაციამ 2012 წლის საუკეთესო მძლეოსნის ტიტულის პრეტენდენტები დაასახელა.

მამაკაცებს შორის ნომინანტებად გამოცხადნენ მორბენლები: **იოჰან ბლეიკი** (იამაიკა), **უსაინ ბოლტი** (იამაიკა), **მოჰამედ ფარა** (ბრიტანეთი), **კირანი ჯეიმსი** (გრენადა), **დავიდ რუდიშა** (კენია), **არის მერიტი** (აშშ), ჭოკით მხტომელი **რენო ლავილენიე** (საფრანგეთი), სიგრძეზე მხტომელი **კრისტიან ტეილორი** (აშშ), აგრეთვე ათჭიდელი **ეშტონ იტონი** (აშშ).

ქალ პრეტენდენტთა სია შემდეგმა მძლეოსნებმა დააკომპლექტეს: მორბენლები - **ტირუნეშ დიბაბა** (ეთიოპია), **შელი-ენ ფრეზერ-პრაისი** (იამაიკა), **ელისონ ფელიქსი** (აშშ), სანია რიჩარდსი (აშშ), **სალი პირსონი** (ავსტრალია), ბირთვის მკვრელი **ვალერი ადამსი** (ახალი ზელანდია), სიგრძეზე მხტომელი **ბრიტნი რიზი** (აშშ), შუბის მტყორცნელი **ბარბორა შპოტაკოვა** (ჩეხეთი), შვიდჭიდელი **ჯესიკა ენისი** (ბრიტანეთი) და მოსიარულე **ელენა ლაშმანოვა** (რუსეთი).

2011 წელს, საუკეთესო მძლეოსნის პრიზი კაცებს შორის ბოლტმა მოიპოვა, ქალებში კი საუკეთესო იყო პირსონი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ოფიციოზი

# ესპანეთში სპორტს ავიწროებენ

**ესპანეთის** მთავრობასთან არსებული სპორტის უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტმა **მიგელ კარდენალმა** გამოაცხადა, რომ 2013 წელს, სპორტის სხვადასხვა სახეობის ფედერაციათა დაფინანსება 34 პროცენტით შემცირდება.

47 მილიონი ევროს ნაცვლად, რომელსაც მთავრობა დღეს გამოყოფს სპორტის განვითარებისთვის, მომავალ წელს ესპანური ფედერაციები 31 მილიონს მიიღებენ. საერთო ჯამში, გაისად ესპანეთში სპორტის განვითარებას 75 მილიონი ევრო მოხმარდება. მთავრობის მიერ გაღებულ თანხას დაემატება სხვადასხვა სპორტული ლატარიიდან შემოწირულობები.

კალათბურთი. NBA. 2012-13 წელი

# სეზონის წინ: პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი

BLAZERS

**პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი 2011-12**

**თავდასხმა:** საშუალოდ 102,7 ქულა - მე-13 ლიგაში

**დაცვა:** საშუალოდ 103,7 ქულა - 22-ე ლიგაში

## წინა ხაზი

გუნდის მთავარი ვარსკვლავი **ლამარკუს ოლდრიჯი** გააგრძელებს სასტარტო შემადგენლობაში მძიმე ფორვარდის პოზიციაზე თამაშს. **ნიკოლა ბატუმი**, რომელმაც დიდი ხანი ფიქრის შემდეგ მოაწერა ხელი ახალ კონტრაქტს, მეორე ფორვარდის ფუნქციებს შეასრულებს. ხოლო დრაფტზე მე-11 ნომრად არჩეულ **მეისერ ლეონარდს** საკმარისი დრო ექნება იმისთვის, რომ NBA-ის დონეზე შეითვისოს ცენტრის პოზიციაზე თამაში.

**შეფასება:** 4

## უკანა ხაზი

დრაფტზე მეექვსე ნომრად არჩეული **დამიენ ლილარდი** გამთამაშებლის პოზიციიდან უხელმძღვანელებს გუნდის შეტევებს. მან უნდა დაამტკიცოს, რომ არა მხოლოდ ქულების დაგროვება, არამედ შედეგიანი გადაცემების დარიგებაც ეხერხება. **უესლი მეტიუზმა** ოლდრიჯთან ერთად უნდა სცადოს გუნდის ლიდერის ფუნქციების საკუთარ თავზე აღება.

**შეფასება:** 3 პლუსით

## დაცვა

გუნდის დაცვაში თამაში გასულ სეზონში ძალიან მოიკოჭლებდა, ახლა კი სასტარტო ხუთეულში ერთბაშად ორი ახალბედა გამოჩნდება. გამოუცდელობის კომპენსაცია მათ ენერგიის ხარჯზე უნდა მოახდინონ.

**შეფასება:** 2

## სათადარიგოთა სკამი

თუ სასტარტო ხუთეულში ყველაფერი მეტ-ნაკლებად გარკვეულია, სათადარიგოთა სკამი ჯერაც გარდაქმნის პროცესშია. ჯერჯერობით ჩვენ ცხადად ვხედავთ მხოლოდ ოთხ მოთამაშეს, რომლებსაც ერთი წელი ან ნაკლები გამოცდილება აქვთ. სწორედ ისინი მიიღებენ ადგილს როტაციაში.

**შეფასება:** 2 პლუსით

## მწვრთნელი

**ტერი სტოტსი** - შეტევის ორგანიზების ექსპერტია, მაგრამ მოცემულ მომენტში, ყველაზე მნიშვნელოვანი გუნდური თამაშის დახვეწაა.

**შეფასება:** 3 პლუსით

## საბოლოო შეფასება

"პორტლენდს" ნამდვილად აქვს მომავალი. მაგრამ არსებობს წარსულიც. ოლდრიჯის, ბატუმისა და მეტიუზის გონებაში დარჩა გასულ წელს წარუმატებელი გამოსვლის გამოცდილება და აქედან საჭირო დასკვნებია გასაკეთებელი. ნიკოლა ბატუმისთვის აუცილებელია თავის ემოციურ მდგომარეობაზე მუშაობა. ამ მხრივ, ხელმძღვანელობის ნდობა ახალი კონტრაქტის სახით, შესაძლო, კარგი წინაპირობა გახდეს წარმატების მისაღწევად.

საბოლოოდ, დღეისთვის "პორტლენდს" ჰყავს: ახალი მწვრთნელი, ახალი გენერალური მენეჯერი, ორი ახალი მოთამაშე სასტარტო ხუთეულისთვის. დამდეგ სეზონში იქნება ბევრი წაგება. შეიძლება იმდენიც, რომ გუნდმა "იბრძოლოს" კონფერენციაში ბოლო ადგილისთვის. ყოველ შემთხვევაში, გუნდს ისევ გაუჩნდა წარმატებული მომავლის იმედი.

**საერთო შეფასება:** 3 პლუსით



ოლდრიჯი ისევ გუნდის ლიდერი იქნება

ახალი ამბები

# ბრაიანტი: ალბათ 2014-ში წავალ

## კობიმ 300-ათასიანი ფერარი შეიძინა

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერმა **კობი ბრაიანტმა** თავისი თაყვანისმცემლებისთვის არასასიამოვნო განცხადება გააკეთა. ასოციაციის ერთ-ერთი მთავარი ვარსკვლავი აქტიურ კარიერას მიმდინარე კონტრაქტის ამოწურვის შემდეგ დაასრულებს. შეგახსენებთ, რომ მისი ხელშეკრულება კლუბთან 2014 წლის ზაფხულამდეა ძალაში.

*„ასეთ ასაკში ძალიან რთულია მაღალ დონეზე თამაში, ფორმისა და ჯანმრთელობის შენარჩუნება და სათამაშოდ მუდმივი მზადყოფნა. 36 წლის ასაკში მცველისთვის კარგი თამაში ძალიან რთულია. თუმცა ჯერ არაფერში არ ვარ ბოლომდე დარწმუნებული"*, - ამბობს ბრაიანტი ამერიკულ პრესასთან კომენტარში.

კობი ამჟამად თავის კლუბთან ემზადება ახალი სეზონისთვის და გუშინ ახალი მანქანით გამოცხადდა ვარჯიშზე. ვარსკვლავის ახალი ავტომობილია - Ferrari 458 Spider. ბრაიანტმა ავტო ამ დღეებში 300 ათას დოლარად შეიძინა.

აღსანიშნავია, რომ „ლეიკერსის" ლიდერი ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოთამაშეა. 2012-13 წლების სეზონში ის დაახლოებით 28 მილიონ დოლარს მიიღებს.

■ ■ ■

ამასობაში, „ლეიკერსის" ყოფილმა დამრიგებელმა, ლეგენდარულმა **ფილ ჯექსონმა** აღიარა, რომ სავარაუდოდ, არ განაახლებს სამწვრთნელო კარიერას. მანვე ისიც დაამატა, რომ უარს არ იტყოდა რომელიმე გუნდის გენერალური მენეჯერის პოსტის ჩაბარებაზე.

*„ჩემთვის საინტერესო იქნებოდა გუნდის ორგანიზებაში ძალების მოსინჯვა, შემადგენლობის შიგნით სათანადო ატმოსფეროს შექმნა, კლუბის მწვრთნელებთან და სკაუტებთან მუშაობა*, - ამბობს ESPN-თან საუბარში ჯექსონი. - *ეს მართლაც მაინტერესებს. ეს არის ერთადერთი სამუშაო კალათბურთში, რომლის გამკლავება შემიძლია. მთავარი მწვრთნელი ყოველთვის მოედანზე უნდა იყოს კალათბურთელების გვერდით. ფიზიკურად მე ასეთ დატვირთვებს ვერ გადავიტან".*

■ ■ ■

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ყოფილმა ვარსკვლავმა **ტრეისი მაკგრეიდიმ** ვერ შეძლო NBA-ში კლუბის მოძებნა და ჩინეთში გადაწყვიტა კარიერის გაგრძელება. როგორც yahoo! sports წერს, თითქმის გადაწყვეტილია ტი-მაკის ამ ქვეყანაში გადასვლა. ვეტერანი მცველი მოლაპარაკებებს აწარმოებს ჩინური ლიგის ბინადარ „ქსინდაოსთან" და პრაქტიკულად შეთანხმებულია ერთწლიანი კონტრაქტის დეტალები.

შეგახსენებთ, რომ NBA-ში მაკგრეიდის ბოლო კლუბი „ატლანტა ჰოქსი" იყო.



კობის ახალი მანქანა

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

NBA. საკონტროლო მატჩები

**ტორონტო-რეალი 102:95**

29:22, 21:26, 25:25, 27:22

ტ: დეროზანი (18+6 მოხსნა+3 ჩაჭრა), ლუკასი (16), ბარნიანი (14), ჯონსონი (12+6 მოხსნა), როსი (10), დევისი (3+10 მოხსნა), კალდერონი (9+8 პასი).

რ: მიროტიჩი (17+12 მოხსნა+3 დაფარება), პოჩიუსი (15+5 მოხსნა), ფერნანდესი (10), ლიული (10+8 პასი).

**კლივლენდი-მონტეპასკი 91:85**

17:22, 16:14, 30:24, 28:25

კ: სამუელსი (14+7 მოხსნა), ხლოუნი (13+3 ჩაჭრა), ტომპსონი (12), უეიტერსი (11), მაილზი (10+3 ჩაჭრა), ირვინგი (10).

მ: ბრაუნი (22+7 პასი+3 ჩაჭრა), ჯენინგი (21+5 მოხსნა), ჰეკეტი (14+5 მოხსნა), ეზე (5+10 მოხსნა).

**გ. სტეიტი-იუტა 83:80**

19:21, 23:12, 27:25, 14:22

გ-ს: ლი (19+14 მოხსნა+5 პასი+4 ჩაჭრა), რაში (14), ტომსონი (11).

ი: მარ. უილიამსი (13), მილსეპი (13+6 მოხსნა), კანტერი (12+11 მოხსნა), მო. უილიამსი (11+6 პასი).

ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

### ევრო 2013. UNDER 19

| | |
|---|---|
| ჰოლანდია-მალტა | 5:0 |
| პოლონეთი-სან მარინო | 2:0 |
| შოტლანდია-სომხეთი | 4:0 |
| შვეიცარია-რუმინეთი | 1:1 |

### ინგლისი. კონფერენსი

| | |
|---|---|
| ალფრეტონი-გრიმსბი | 0:2 |
| ბაროუ-საუთპორტი | 3:2 |
| დარტფორდი-ტელფორდი | 1:4 |
| ფორესტ გრინი-ტამუორტი | 1:2 |
| გეიტშიდი-მაკლსფილდი | 2:2 |
| კიდერმინსტერი-ჰაიდი | 3:0 |
| ლუტონი-ბრენტრი | 2:3 |
| მენსფილდი-ლინკოლნი | 0:0 |
| ნიუპორტი-ებსფლიტი | 1:0 |
| ნანიტონი-ჰერეფორდი | 0:0 |
| უოკინგი-კემბრიჯი | 2:1 |

### ინგლისი. League Trophy

| | |
|---|---|
| დონკასტერი-ჩესტერფილდი | 1:0 |
| ლეიტონი-ბარნეტ | 1:0 |
| პლიმუტი-ალდერშოტი | 2:1 |
| შრიუსბერი-ქრიუ | 1:2 |
| ჰარტლპული-ბრედფორ. | 0:0 პენ. 2:3 |
| როჩდეილი-ბერი | 1:1 პენ. 4:5 |
| ბრენტფორდი-ქროული | 1:0 |
| ჩელტენემი-ოქსფორდი | 2:4 |
| მორეკამბი-პრესტონი | 2:4 |
| ნორთჰემპტონი-კოლჩესტერი | 2:1 |
| პორტსმუთი-უიკომბი | 1:3 |
| საუთენდი-დაგენჰემი | 2:0 |
| ტორკი-იეოვილი | გადაიდო |
| უოლსოლი-პორტ ვეილი | 2:2 პენ. 2:3 |
| იორკი-ქოვენთრი | 0:4 |

### უელსი. ლიგის თასი

| | |
|---|---|
| ბალა-ბანგორი | 6:1 |
| ბრინტირიონი-კარმარტენი | 1:2 |
| პენრინკოკი-ეირბასი | 0:1 |
| ლანელი-აფან ლიდო | 6:3 |

### რუსეთი. II დივიზიონი

| | |
|---|---|
| უფა-ენისეი | 1:2 |
| ტომი-ტორპედო (მ) | 2:1 |

### ესტონეთი

| | |
|---|---|
| კურესაარე-კალიუ | 0:1 |
| ფლორა-ტრანს ნარვა | 0:1 |

### უნგრეთი. ლიგის თასი

| | |
|---|---|
| დიორი-დირმოტი | 5:1 |

## ჰოკეი

### კჰლ

| | |
|---|---|
| დონბასი-სევერსტალი | 4:1 |
| დინამო (რ)-დინამო (მნ) | 2:1 (ო) |
| ლევ პოპრადი-დინამო (მ) | 0:1 |

### გერმანია

| | |
|---|---|
| კიოლნი-მიუნხენი | 3:0 |

### დანია

| | |
|---|---|
| სონდერიისკი-ფრედრიკშავნი | 1:3 |
| ჰერლევი-ჰერნინგი | 2:3 (ბ) |
| ესბერგი-ოდენსე | 3:4 |
| როდოვრე-ოლბორგი | 1:5 |

### ნორვეგია

| | |
|---|---|
| სტავანგერი-რუსენბორგი | 5:2 |
| ვოლერენგა-ფრისკ ასკერი | 5:3 |

### [illegible]

| | |
|---|---|
| ზვოლენი-[illegible] | 8:[illegible] |
| პოპრადი-მარტინი | 3:4 |
| ტრენჩინი-ბისტრიცა | 3:4 |
| კოშიცე-ჟილინა | 5:0 |
| პიესტანი-ნიტრა | 3:2 |

### ფინეთი

| | |
|---|---|
| საიპა-ლუკო | 2:4 |
| ჰიფკ-ჰამეენლინა | 3:0 |
| იუვიასკიულა-ტპს | 1:2 (ბ) |

### ჩეხეთი

| | |
|---|---|
| ვიტკოვიცე-პარდუბიცე | 3:2 |

### შვეიცარია

| | |
|---|---|
| ამბრი-ბერნი | 3:5 |
| კლოტენი-ბილი | 3:4 |
| ლუგანო-ლანგნაუ | 7:3 |
| სერვეტი-რაპერსვილი | 8:1 |
| ცუგი-დავოსი | 2:3 (ო) |
| ციურიხი-ფრიბურგი | 3:4 (ბ) |

### შვედეთი

| | |
|---|---|
| აიკ-მოდო | 0:4 |
| ბრიუნესი-როგლე | 4:3 |
| ვექსიო-ფერიესტადი | 2:1 (ბ) |
| ლულეო-ჰ371 | 1:1 *შეწყდა* |
| ტიმრა-ფრიოლუნდა | 1:3 |
| შელეფტეო-ლინჩოპინგი | 4:1 |

## ჩოგბურთი

### ATP. შანხაი

| | |
|---|---|
| ანდერსონი-**ისნერი** | 6:7, 7:6, 6:7 |
| ტომიჩი-**ფ. მაიერი** | 4:6, 0:6 |
| რამოსი-**ვავრინკა** | 6:7, 6:7 |
| **ისტომინი**-ბერლოკი | 4:6, 6:2, 6:1 |
| **ნიშიკორი**-ვუ | 6:2, 6:4 |
| **ტროიცკი**-იუჟნი | 6:3, 2:6, 6:4 |
| **ლოპესი**-ფალა | 6:3, 1:6, 6:3 |
| მატოშევიჩი-**რაონიჩი** | 6:7, 3:6 |
| **ჩილიჩი**-კლიჟანი | 7:5, 6:1 |
| მელცერი-**სიმონი** | 4:6, 2:6 |
| ფონინი-**ბაღდატისი** | 2:6, 2:6 |
| **ლუ**-ჟანგი | 6:0, 6:2 |
| **შტეპანეკი**-ჰიუიტი | 7:5, 6:1 |
| მონაკო-**ვერდასკო** | 4:6, 2:6 |

### WTA. ლინცი

| | |
|---|---|
| **სუარეს ნავარო**-რიბარიკოვა | 6:3, 6:4 |
| **ოპრანდი**-კადანტუ | 6:2, 6:1 |
| **ფლიპკენსი**-კორნე | 6:4, 6:3 |
| პერვაკი-**ბურდეტი** | 3:6, 4:6 |
| კასტანო-**ბეგუ** | 0:6, 4:6 |
| **მატეკი**-პაჩეკი | 6:2, 6:4 |
| **გორგესი**-ჰანტუხოვა | 6:4, 7:6 |
| ბ. ზახვალოვა-**პეტკოვიჩი** | 6:7, 2:6 |

### WTA. ოსაკა

| | |
|---|---|
| **სხეპერსი**-გლეტჩი | 6:4, 6:1 |
| ლუანგნამი-**რაზანო** | 3:6, 3:6 |
| მარტინეს სანჩესი-**ჟენგი** | 6:4, 5:7, 4:6 |
| დანილიდუ-**რობსონი** | 4:6, 2:6 |
| **მედინა გარიგესი**-ჯორჯი | 3:6, 6:2, 6:2 |
| **პუჩკოვა**-სკიავონე | 6:4, 2:1 უარი |
| **ტანასუგარნი**-შვედოვა | 6:3, 6:2 |
| **ჟოუ**-ნარა | 7:5, 6:4 |
| **ლუჩიჩი**-კუმხუმი | 4:6, 6:3, 6:4 |

TV პროგრამა

**10 ოქტომბერი. ოთხშაბათი**

### GMG-ფეხბურთი

**10:00** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტურის მიმოხილვა.
**11:30** იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. VII ტური. აუგსბურგი-ვერდერი.
**14:00** ინგლისის ჩემპიონატი. VII ტური. ვესტ ჰემი-არსენალი.
**16:00** არგენტინის ჩემპიონატი. X ტური. ბელგრანო-ბოკა ხუნიორსი.
**18:00** ინგლისის ჩემპიონატი. VII ტურის მიმოხილვა.
**19:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. VIII ტური. ტვენტე-ალკმაარი.
**21:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. XXVIII ტურის მიმოხილვა.
**21:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**22:00** ინგლისის ჩემპიონატი. VII ტური. ჩელსი-ნორვიჩი.
**00:00** გერმანიის ჩემპიონატი. VII ტური. ბაიერნი-ჰოფენჰაიმი.

### GMG-სპორტი 1

**10:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ნიუკასლი-მანჩესტერ იუნ.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ინდიანა-მაიამი.
**14:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**15:00** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-უტრეხტი.
**17:00** რაგბი. ოთხი ერის თასი. არგენტინა-ავსტრალია.
**19:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ზენიტი-მილანი.
**22:00** მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები. ჯორჯ ბესტი.
**23:00** კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ინდიანა-მაიამი.

### GMG-სპორტი 2

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. შანხაი. ჩინეთი (LIVE).
**18:00** სპორტ-NEWS.
**18:30** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ლივერპული-უდინეზე.
**20:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. შანხაი. ჩინეთი.

● კალათბურთი

# ისტორიული ნახტომი

საინტერესო ინფორმაცია გავრცელდა ამერიკული სტრიბოლის შესახებ. **კირკპატრიკ მაკოულიმ** ისტორია შექმნა! ის Venice Beach-ის ლეგენდარულ სტადიონზე ფარის ზედა კიდეს ხელით შეეხო.

ბევრისთვის ცნობილია ლეგენდარული ისტორია **ირლ მენიგოტზე**, რომელიც ფარის ზემოთ შემოდებულ ხურდას იღებდა. ლაპარაკია 3,96 მეტრ სიმაღლეზე! ჯერ ერთი, ეს მხოლოდ მითია და მეორე - არასწორი ინფორმაცია. თავად მენიგოტმა აღიარა, რომ სინამდვილეში ეს ისტორია **"ჯამპინგ" ჯეკი ჯექსონის** სახელს უკავშირდება. მაგრამ ფილმ Rebound-ის პროდიუსერებს (და საერთოდ ყველას) უფრო ირლისკენ იხრებიან.

შემდეგ იყო ერთი ბიჭი, სახელად **დეივიდ ტომსონი**, რომელმაც თითქოს ასევე ჩამოიღო ხურდა ფარიდან. ის თავად არ უარყოფდა ამ ფაქტს, მაგრამ გუნდში მისი პარტნიორი საწინააღმდეგოს ამტკიცებდა.

"ნიუ იორკის" ვარსკვლავი **ამარე სტაუდმაიერი** ამბობს, რომ მას ფარის ზედა კიდემდე დაახლოებით 8-10 სანტიმეტრი აკლდება. **ლებრონ ჯეიმსმა** კი თქვა: "არა". რა ხდება ამ მხრივ დუაიტ ჰოვარდის შემთხვევაში, რომელმაც 3.66 მეტრის სიმაღლეზე ფარზე საკუთარი სახე "მიაწება"?

"მე შემიძლია. არ ვიცი არავინ, ვინც შეძლებს ამის გაკეთებას, მაგრამ მე მოვახერხებ ფარის ზედა კიდემდე ხელის დადებას. პირველად ეს ჯერ კიდევ სკოლაში გავაკეთე, როცა 17 წლის ვიყავი. დღეს მე ალბათ ვერ შევძლებ იქიდან ხურდის ჩამოხსნას, მაგრამ იქამდე ახტომა ნამდვილად შემიძლია", - თქვა ჰოვარდმა.


კირკპატრიკ მაკოულის ნახტომი

როცა ESPN-მა სცადა ამის დასამტკიცებელი ვიდეოს მოპოვება, ვერაფერი იპოვა...

ერთადერთი ადამიანი, რომელმაც თავისი ნახტომი გადაიღო - **ჯეიმს უაიტია.** ის ძალიან ახლოს იყო მიზანთან, მაგრამ მაინც არ გამოუვიდა მიზნის ასრულება.

და აი ახლა, ყველასთვის უცნობმა კირკპატრიკ მაკოულიმ (203 სმ) თავისი ნახტომით ისტორია შექმნა. Venice Beach-ზე To the Top-ის კონკურსის (ის სწორედ ირლ მენიგოტის ხსოვნას ეძღვებოდა) დროს, კირკპატრიკი მიწვდა 3 მეტრი და 96 სანტიმეტრი სიმაღლის ნიშნულს, რომელიც ფარის ზედა კიდის გასწვრივ იყო გადებული.

● ჰოკეი


დომინიკ ჰაშეკი

# საბოლოოდ წავიდა

ლეგენდარულმა ჩეხმა მეკარემ **დომინიკ ჰაშეკმა** კარიერა დაასრულა. 47 წლის გოლკიპერი სპორტს ჩამოშორდა იმის გამო, რომ ახალი კლუბის მოძებნა ვერ შეძლო. „დომინატორს" ჰოკეის ეროვნულ ლიგაში დაბრუნება სურდა და ორ კლუბთან - „ვანკუვერ კენაქსთან" და „კაროლინა ჰარიკეინზთან" აწარმოებდა მოლაპარაკებებს, მაგრამ მათთან შეთანხმების მიღწევა არ მოხერხდა.

ჰაშეკს NHL-ში ორი კლუბის რიგებში უთამაშია - „ბაფალოსა" და „დეტროიტში". „ბაფალოს" რიგებში ის ექვსჯერ გახდა ლიგის საუკეთესო მეკარე, „დეტროიტის" შემადგენლობაში კი 2002 და 2008 წლებში ორჯერ მოიპოვა სტენლის თასი.

2008 წელს, „დეტროიტიდან" წასვლის შემდეგ, ჰაშეკმა სეზონი გამოტოვა, შემდეგ კი ჰოკეიში დაბრუნდა და ჩეხეთის „პარდუბიცესა" და მოსკოვის „სპარტაკში" ითამაშა.

ჩეხეთის ნაკრების შემადგენლობაში, ჰაშეკი 2008 წელს ნაგანოს ოლიმპიადის ჩემპიონი გახდა, 2006 წელს კი ტურინის თამაშებზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა


ფორტუნა Fortuna

აიღეთ ფორტუნა ბარათი!
გახდით იღბლიანი 77-ე და
თქვენ ფორტუნა ანგარიშზე
ჩაგერიცხებათ
77 ლარი!
გაიგეთ მეტი: fortuna.emoney.ge



შეავსეთ თქვენი ბალანსი ონლაინ სათამაშო
პორტალებზე და გამოიტანეთ თანხა მარტივად!
დარეგისტრირდით უფასოდ ან მიიღეთ ფორტუნა ბარათი
ლიბერთი ბანკის ფილიალებში დღესვე!
fortunacard.ge
fortuna.emoney.ge
255 55 00



ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი;** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** *ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:* **გოტფრიდ ლენცი**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**
*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge* ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:15
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608